

1987/2

ISSN 0134 3459

# ქართული

საერთაშორისო  
გაზეთი



2

1987

# ქორონი

გამოცემის

თარიღი

29-მარტი

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მშენებლობის კავშირისა და აშარის განყოფილების ორგანო

რა მშენებელი ზღვა ვეაქვს, აჭარა,  
რა მოძავალი, ქვირფასი ბედით...  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბ. ტაბიძე

2

1987

მარტი  
აკრძილი



გათუხი

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

- ჭაბუა ამირეჯიბი — ახალი რო-  
მანიდან (IV კარის ფრაგმენ-  
ტები: ლანგთემური; კორიდა) 3  
ქსენია მჭავია — ლექსები 24  
ჯანგულ ჯიქიძე — ნაცრისფერი  
(მოთხრობა) 26  
დინარა კასრაძე — ლექსები 40  
ქეთინო გიორგაძე — ლექსები 42

### ახალი თარგმანები

- ვლადიმერ ბოგომოლოვი — პირ-  
ველი სიყვარული (მოთხრობა.  
თარგმნა ტიტე ხინთიბიძემ) 44

### ჯეჯილი

- მარიამ კენჭუაშვილი — გიორგი  
მასწავლებელი (მოთხრობის  
ერთი თავი) 48



**დიდი ოპტიკების 70-ე  
წლისთავის შესახებ დრად**

ალექსი ნანობაშვილი — ოქრო  
აჭარის ლაგუარში 52

**ილია ჭავჭავაძის დაბადების  
150 წლისთავისათვის**

აბდულ მიქელაძის წერილები 59

**ფერილები**

შოთა ქურიძე — დრო მოითხოვს 65

იოსებ ბეჭირიშვილი — „მე თქვენი  
ქართული კილოც მიყვარს“ 70

თინა შიოშვილი — ზნეობრივი აღ-  
ზრდის ტრიბუნა 76

გლისაბედ დაღაშვილი — კიდე  
ჩამოვალ თქვენთან 81

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ნელი დუმბაძე — ოცდაათიანი  
წლების ქართული პოეზია 84

**მედიუზა**

რევაზ სანადირაძე — ვარიაციები  
საფეხბურთო თემაზე 91

მიხეილ მოღვაძე — ნუ უმეგობ-  
რებ 92

გასულ ორ თვეში 93

**მთავარი რედაქტორი  
ალექსანდრე ზამხორაძე**

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,  
გიორგი ბაჩიაშვილი,  
ზურაბ გორგილაძე,  
მამია ვარშანიძე,  
(პასუხისმგებელი მდივანი),

ზორბა ზორიძე,  
დავით თედორაძე,  
გიორგი სალუშვაძე,  
ჯემალ ქათამაძე,  
ალექსანდრე ჩხაიძე,  
ფრიდონ ხალვაში,  
დავით ხახუბაიშვილი,  
ჯემალ ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,  
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 6.2.87, ხელმოწე-  
რილია დასაბეჭდად 23.2.87, საგამომ-  
ცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 499,  
გმ 01743, ქაღალდის ზომა 60X90<sup>1/16</sup>.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-  
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის  
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-  
თანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-  
ской ССР по делам издательств, по-  
лиграфии и книжной торговли. По-  
лиграфическое производственное  
объединение Аджарской АССР,  
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

**ჭაბუა ამირეჯიბი**

## ახალი რომანიდან

IV კარის ფრაგმენტები

### ლ ა ნ გ თ ე მ უ რ ი

გამოჩნდა ვინმე თემურ, შუა აზიის დამპყრობ პირველმოწოდოთა ერთ-ერთი ტომის ჩამომავალი. თუმც იყო ბევ თარაღის ძე, მაგრამ ყრმობიდანვე მპარავობასა და ძარცვას მიჰყო ხელი. ეს თემურ მეუღლებელი იყო. ხმა დადიოდა, — ჭაბუკობაში ცხვარის მოპარვისას დასჭრეს და ამით დაკოვლდაო. ასე შეერქვა ლანგ თემურ, გნებავთ, თემურ ლენგ, ხოლო სხვათა ენაზე ტამერლანც.

„ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუყვლეველ არიან გზანი მისნი“!..\* — მიანიჭა ღმერთმა თემურს საოცარი უნარი მპარავთა, ავაზაკთა და მკვლელთა მონებრ დამორჩილებისა და მათზე მბრძანებლობისა. შემოიკრიბა მან ურიცხვი ბრბო ბოროტის მოქმედთა და დასცა შიშის ზარი მავერანაჰრს მიმდგომი სამეფოებიუთრთ. ვერსაიდან გამოჩნდა თემურლენგის ალღავი ძალა, რადგან ბრბონი მისნი — უმრავლეს კენჭისა; გონება მათი — წყვდიადი გაუტანელი; სისხლის წყურვილი — უმეტეს პირველმოწოდოთა; ხარბნი და უძლენი — ვით ხროვა მშვირთა მგელთა; ცრუნი, ცბიერნი და ფიცისა არად მიმჩნევი — ვით წინამძღოლი მათი; მოუხელთებელნი — ვითა გრიგალი ტრამალისა. ქარი ეცვათ, თავსამაუთლად ცა ეხურათ და ლოგინად უდაბნოს ქვიშა ეგოთ.

რაკილა ველარ გამოინახა ხერხი და საშველი ლანგთემურის დასაოკებლად, მისცა მას ბალხისა და სამარყანდის მფლობელმა — ჰუსეინ — დაი თავისი ცოლად და გააწესა ვილაიეთის მმართველად. ვერც ამან გააძღო პაღვი ლანგთემურისა, წარსტაცა ყოველი სამფლობელო ცოლის ძმას თავისსავე, დაჯდა ემირად სამარყანდს, დაეპატრონა მთლიანად მავერანაჰრს და, ჩინგიზხანის პირდაპირი მემკვიდრის სახელის მიმთვისებელმა, მალე დაიპყრო სრულიად შუა აზია. ურჩთა ყათლანს\*\* ბრძანებდა, მორჩილთაგან მძევალი გამოჰყავდა და მერმეთ ანადგურებდა მათ სამფლობელოებს. იპყრა

\* პავლე. „რომაელთა მიმართ“ — 11.33.

\*\* ყათლანი (ძვ.) — ამოყლელთა, ნადგურისცემა.



ახე უდიდესი და უხალხმრავლესი საბრძანებელი, როგორც სამოვარი ერთი, გალაღვი, მოიყარა ღონე, აღშფოთდა გული მისი, რომ ცისა ქვეშე სხვაც მრავალი იყო ერთი და ქვეყანა დაუპყრობელი, საქურჭლე და ქონება მიუტაცებელი მისგან და ვით მხელ ბოხელში გამოზრდილი შავი ბულა, გამოიჭრა დიდ ასპარეზზე თვისი ურდოებითურთ.

დაიპყრო უპირველესად ავღანეთი, გაიმავრა ზურგი და მომართა წინა აღმოსავლეთს. ჰგონებდა ფლოქვთა ცხენთა მისთა და ფეხთა მოლაშქრეთა თვისთა საჩეკველად ხმელსა და ზღვას სრულად, რაც იპოვებოდა მზისა ქვეშე.

იყო კავკასიის სამხრით ვიდრე ინდოეთის ოკეანემდე და სპარსეთის ყურემდე სამეფო მრავალი და ცხოვრობდა სხვადასხვა მოდგმისა და წნის უთვალავი ერი. ხდებოდა მათ შორის უთანხმოებაც, ომებიც, რადგან იყვნენ აღმსარებელნი მაჰმადის, ქრისტესი და სხვა წინასწარმეტყველთა მოძღვრებისა, მაგრამ უმეტეს მშვიდობა, აღებ-მიცემობა და კეთილმეზობლობა სუფევდა მათ შორის.

მოვიდა თემურ სამხრის ნაპირებთან გურჯანისა, ეკვთა პირველსავე დამხედურს და სძლია მას. ეკვთა სხვით და სძლია მათც. წინააღუდგნენ დანარჩენი სამეფონიც და იძლიენ ისინიც. ზოგ-ზოგთ შესთავაზეს ზავი, მორჩილება და ხარკი უმძიმესი. მიიღო თემურდგნმა ესე ყოველი და მანც ააოხრა მათი სამფლობელოებიც. მოედო ლაშქარი მისი ამა ქვეყნებს ვითა მკალი. მიჰყო ხელი ძარცვას განურჩევლად საქურ-ჭლეთა მდიდართა, ფლასთა ღატაკთა, ნგრევას კეთილადნაგთა შენობათა, ციხე-გალავა-ნთა, სახლთა სალოცავთა, მიწურთა გლეხებისა და განუკითხვად ჟღერდა მსახლობელთ მოხუციდან ჩრვილამდე. ბრძოდა თემურ შემდგომსა ქვეყანას და მაშინ კვლავ ერჩოდნენ წინადაპყრობილნი, ბრძოდა მათ ხელახლა და წინააღუდგებოდნენ სხვანი. ბრძოდა მათაც და დაუსრულებლივ ასე, რადგან იყო ლანგთემურ უაზროდ და უმიზნოდ მრისხანე და ვერა გაიგებოდა რა მისი, თუ რაი სურდა, თვინიერ ძარცვისა, ნგრევისა და კლვისა.

სხვა განდგომილთ ადვილად იმორჩილებდა ლანგთემურ, რადგან იყვნენ ისინი მაჰმადიანნი — ერთმორწმუნენი მისნი, და აღარცა ძალი შესწევდათ გამკლავებისა აკლებულ-აოხრებულობისა გამო. ზოლო ვერა მოუხერხა რა ქართველთ, რომელთა მიმართ ჰქონდა თემურს სიძულვილი საგანგებო და მოუხერხებელი მარად. მიჰყვინძოდა მისა — უპირველეს, ქრისტიანობა მათი, რამეთუ თავად იყო ბრძიდ მორწმუნე მაჰმადისა, ჯიჰადობით\* მძებნელი სამოთხეში სასუფევლის დამკვიდრებისა და, მეორეს მხრივ, ჰგონებდა გულის მოგებას წინა აზიის ხალხებისას ქრისტიანთა ჟღერით. ეძიებდა ხელში ჩაგდებასაც და გადაკეტვას გადმოსავალი გზებისას ჩრდილოდან სამხრით, რადგან ჰშიშობდა ოქროს ურდოს მბრძანებლისა და ყოვლის ჩრდილოეთის მპყრობელის — თოსთამიშ-ნანის გამოსვლას. უმეტეს გამწარდა და გამხეცდა ლანგთემურ იმით, რომ ზუთგზის ილაშქრა ქართველთა წინააღმდეგ და ვერ მიადწია მიზანს თავისას რომელიმეს. ეგრეც ძალით, ეგრეც მუხანათობით, ეგრეც მოღალატეთა მოხუციდვით, ეგრეც ზავისა დარღვევითა და ფიცისა გამტეხელობით მოერია ქართველთ, ვერ ააღებინა ხელი გამუდმებულსა და გააფთრებულ წინააღმდეგობაზე. იყვნენ ქართველნი რიცხვით მცირე, მაგრამ შედგარნი ფრიალ, მაშულისთვის თავდადებულნი, ქრისტეს რჯულისთვის სიკვდილის არდამრიდენი, მსახობელნი ნებისა ღმრთისა და მომხდურთა ოტებისათასწლოვანი გამოცდილების მქონებელნი. არაფერს იშურებდა თემურ ამოწყვეტისათვის ქართველთა — არცა ზარალს ნივთიერს, არცა დანაკარგს ხორციელს და ქართ-

\* ჯიჰადი (არაბ.) — მაჰმადიანთა წმინდა ომი არამაჰმადიანთა მოსასპობად.

ველთა ნებისყოფის დათრგუნვით ჰგონებდა დასრულებას მიუგებელი ომისა. ხოლო ქართველნი იხიზნებოდნენ მთებში და იქიდან ბრძოდნენ დუმანებს მისას.

გაგრძელდა ასე ათსა წელიწადს.

იხსავლეს დაპყრობილთ ბუნება წყობათა და ხერხები ომისა ლანგთემურის ლაშქარითა და სულ უფრო უჭირდა მას დაოკება წინააღმდეგობისა. ხეს უჩნდება ჭია, რკინას ეკიდება ჟანგი და ყოველსა სულიერს მუხლთა სიმარჯვეს სტაცებს უამთა ხვლა. არც თემურს გადაჩა დაწაქარგსა და დაღლას და ამან უწინდელზე მძაფრად გაუღვივა სიზარბე და დაუოკებელი წყურვილი სისხლისა და მიტაცებისა.

თოხთამიშხან არა ბრძოდა თემურს პირისპირ, არამედ ჰსასოებდა, მრავალსა და გამუდმებულ ომებში თემურლენგის ძლიერების დაკნინებას და შემდგომდა შემბასა და ძლევას. არც თემური ერჩოდა თოხთამიშს, რადგან ეკრძალებოდა წყობათა შინა შემ-მართებლობას პირველმონგოლთა მრავალრიცხოვანის მოდგმისა. გავიდა ასერიგად ზე-მოსხენებული ათი წელიწადი უმძიმეს ომებში — თემურისთვის და ვითარებათა ლო-დინში — თოხთამიშისთვის. ბოლოს გამოვიდა იგი უთვალავი ლაშქრითურთ, მგონე-ბელი ლანგთემურის დაუძლურებისა და შორწმუნე თვისი ძლევამოსილებისა. გამოვიდა იგი ვითარცა მხსნელი მრავალი დამონებული ხალხისა და სამეფოსი, მოიმედე უდი-დესი ალაფისა და უფრო მეტი სარგებლისა სამხრეთის სამეფოთაგან, თემურლენგი-საგან მათი განთავისუფლებისათვის.

გვეთნენ ერთურთს მონგოლნი ცივის და ცხელის ქვეყნებისა თერგის დაბლო-ბებში. იყო ომი ფიცხელი და სამკედრო-სასიცოცხლო. მოსწყდა ორგანივე ურიცხვი-იძლია თოხთამიშ და მიმართა სივლტოლად. სდია თემურ მას და თუმც აღიღო სატახ-ტო ქალაქი მისი — სარაი-ბერქე, დასწვა იგი, გაასწორა მიწასთან და გამობრუნდა ალაფით დიდთა-დიდით, მაგრამ თავდაც იწვნია ზარალი სწორი წაგებულის ომისა. მოიფინა ტრამალები მოკლული კაცით თუ ცხენით, აყროლდა ცა მისთა მოლაშქრეთა ჭრილობების ლპობით და დაბრუნდა ლანგთემურ სამხრეთს ქანცაწყვეტილი და სისხლგაღმომდინარე.

სანამ ლაშქრობდა თემურ და მერმეთ ესევითარი გამარჯვებით განცდილ ზარალსა და წყლულებს იშუშებდა და ლაშქრის აღდგენით იყო გართული, კვლავ განუდგნენ დამორჩილებულთაგან ვიეთნი და ვიეთნი და კვლავ იწყო მან ოთხივე მხრით ბორგვა და ნადგურისცემა. აღარ იყო იგი პირვანდელი თემურ, მაგრამ შესძლო მაინც ურჩთა კვლავ დამორჩილება მით, რომ ამოწყდა ხალხი, აოხრდა მთა-ბარი, აღარავინ დარჩა მხენელი, მთესველი და მბრძოლი დიდის ზიანის მიმყენებელი მისთვის. მაშინ მიანება თვი აქაურ გადაბუგულ, დამშეულ ქვეყნებს, დაუტოვა ძეს თვისას ლაშქარი დედა-წულითურთ და მიაშურა სამარჟანდს. ხოლო ქართველნი, თუმც იყო მათი მიწა-წყალი განადგურებული და ერი ამოწყვეტილი ყოველგნით, სადაც დაიდგა ფეხი თემურისა, ჩვეულებისამებრ გამოვიდნენ ბარად, მრავალგზის სძლიეს მონგოლთ, დაიბრუნეს უმე-ტები წილი თვისის სამფლობელოებისა და იწყეს ბრძოლა სრულიად განდევნისათვის თემურიანთა.

დაჰყო თემურლენგმა აზიაში სამსა წელს, მიიერთო მარაქაფი, გაძლიერდა კვლავ, არცა მეზობელი ვინმე დააყენა, არც თავად დაცხრა და რა ესმა წინა აღმოსავლეთსა და კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნების განდგომილება, დაუტოვა სხვა ძეს თვისას ჩრდილო ინდოეთი და წამოვიდა ისევ დასასჯელად ურჩთა.



მოვიდა იგი სამარყანდით განრისხებული, განრისხდა უარესად და კვლავ არიძრა ქართველთა მოღმის ერთხელ და სამუდამოდ განადგურებისათვის.

კიდევ სამგზის შეიჭრა იგი საქართველოში, სამგზისვე მიიღო სხეულები მისი ძლევამოსილი მხედრობისამ კრილობები მოუშუშებელი და განუკურნებელი. ამოდ იშლიდნენ გაღაბულ მინა-წყალზე თემურის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ნავთადა-სხმული და ცეცხლიცემული პირუტყვივით, თითქოს არ იპოვებოდა სხვა ანაბრები, ქვეყანა, ერი, რკული, საძარცვი, სანგრევი და საუღეტი მიწის პირზე. პენსტორივით თვით თემურლენგისამ აღნიშნა მატინეში, — ჩემს მბრძანებელს დანარჩენ ციხევე-შეთში არ დაუნგრევია იმდენი ნაგებობა, რამდენიც საქართველოში დაანგრაო! იმ ომების თანამედროვესი და მონაწილის — გრიგოლ ბანდაიძის ნაწერი მოწმობს, — მონგოლებმა სამი ვაჟი, სამი ქალი და ცოლი დამიხრცეს, ხუთი სახლი თავისი საბძელ-ბეღლით დამიწვეს და დავრჩი გაპარტახებულ ქვეყანაზე სრულიად მარტო და მიუხა-ღარიო!

თვრამეტ წელს ბრძოდა თემურლენგ ქართველებს, მათი ნებისყოფის მოღრეკას იმედოვნებდა. რვაჯერ მიეჭრა, რომ გაეწყვიტა მათი სინსილა და სახსენებელი.

ორმოცდაათ წელიწადს იომა აღმოსავლეთის კაციჭამია ვეფხვმა და ვერ შექმნა ის, რისთვისაც იღვწოდნენ უდიდესი დამპყრობლები — სახელმწიფო. მოხუცდა, ნიჭმა და გამოცდილებამ სიბრძნე შესძინა და მიხვდა, რომ უქმად, მდაბლის მიწნებით ბრძოლას შეაღია ღმრთივ ბოძებული ყველი სიცოცხლისა. მიუხედავად ხალხის მტერთან პირის-პირობისა, სისხლის ღვრისა და ზეგების სიმდიდრეთა. მოსწყურდა განმარტოება, განსჯა ყოვლის სურათა გამო და გაირინდა, ვითა სიკვდილის მომლოდინე, მრავალგზის კოდ-ვილი ცხოველი ერთი.

ამ დროის დადგომას ელოდნენ ქართველნი. აახლეს თემურლენგს ელჩები დიდის ძღვენითა და მამებელი, მაგრამ ყალბი ზავით. მიიღო მან ძღვენი უმდიდრესი, თვრამეტ მისხლიანი მანათობელი ლალითურთ და დიდხანს უჭვრიტა მას განცვიფრებით, არა მშვენიერებისა გამო კეთილშობილის ქვისა, არამედ მინიშნებისთვის ქართველთაგან იმ თვრამეტის წელიწადისა, მათთან ბრძოლაში ამაოდ რომ დაშვრა მაჰმადიანთა უდიდეს ჯიშადგირთაგანი. განჭვრიტა თემურ ორმხრივი მუსხანათობა და უპირობა იმა ზავისა დაახვა ბეჭედი მაინც, აიყარა, მიაშურა ბნელეთს, საიდანაც თავდაპირველად მოველი-ნა ქვეყნიერებას და, თითქმის, მისვლისთანავე აღესრულა შობითგან სამოცდამეცხრე წელს.

აუგეს სამარხი მშვენიერი თანამედროვეთ. აუშენეს უცვლავსაყოფი პალატები შთამომავალთ და გამოფინეს შიგ თემურლენგის მიერ შინ მიტანილი ნაძარცვიდან რაიც გადაურჩა დროთა დინებას.

ქართული იქ ერთადერთი რამ არის — ყანწი, გლახა ხელოსნის ნაცოდვილარი და არც სხვათაგან მიტაცებული ჩანს რაიმე სულად თუ ფულად მნიშვნელოვანი.

ჩვენ ერთმანეთი მადრიდის პლასა დე ტოროსის<sup>1</sup> სუვენიერების ბაზარზე გავიცანით. მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგაც ერთხანს, თბილისში რომ „ჩიხო-მახო“ ბაზარი იყო, ისეთი რამ არის მადრიდშიც იმ განსხვავებით, რომ ჩვენში ენით აუწერელი ძველმანით ვაჭრობდნენ, ხოლო პლასა დე ტოროსთან — ენით აუწერელი ნაირსახეობისა და რაოდენობის სუვენიერებით. ქვაფენილზე რაღაც საფენებია გაშლილი, ზედ საქონელი აწყვია იმ ორმოცდახუთი მილიონი ტურისტისთვის, ესპანეთი ყოველწლიურად რომ მასპინძლობს და ვაჭრობაც საკმაოდ მარჯვეა. სუვენიერების ბაზარი პლასა დე ტოროსს სარტყელივით აკრავს და მის შემოვლას რამოდენიმე საათი უნდა თუ კაცს ყველაფრის ნახვა აქვს განზრახული.

კორიდა ორიოდე კვირის წინ სევილიაში მქონდა ნანახი. ის პირველი ნახვა იყო. იმ ღამესვე ივანე კორიდას სასტუმროს ჰოლში ტელევიზიით ვუყურე. დიდი ვერაფერი სიამოვნება მივიღე, მომეჩვენა, რომ საცოდავი ცხოველის წამებით სიკვდილის აქტი ხორციელდებოდა და სხვა არაფერი, მაგრამ ქვეცნობიერებაში ცნობისწადილი ჩამესახა. იმავე დღეებში, მგონია, მაღაგაში კვლავ ტელევიზიით სხვა კორიდა ვნახე და ვიგრძენი, რომ ჩემს ფანტაზიაში რაღაც ბუნდოვანი სქემა დაისახა. მადრიდში თბილისს ნამყოფი ნაცნობი მყავდა, მაგიერი პატივისცემის სახით კორიდაზე დამპატიჟა. დონ ხოსე არტიგას — ასე ჰქვია კასტილიელ არისტოკრატს, რომელიც იმჟამად ესპანეთის წიგნის პალატის ხელმძღვანელთაგანი იყო და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით მადრიდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კათედრა ებარა. ის კორიდა ელიტარულ რესტორანში ვახშმით გაგრძელდა. ჩვენი საავტორო უფლებათა სააგენტოს წარმომადგენელი გეთარჯიმნობდა. იმდღევანდელმა სანახაობამ კორიდაზე ჩემეულ კონცეფციაში საკმაო სინათლე შეიტანა. ვახშმობისას სიტყვა სიტყვას მოჰყვა და მასპინძელს ჩემი შეხედულება გავუზიარე. ყურადღებითა და ინტერესით მომისმინა. მერე სხვა თანამესუფრეებს — თავის მეგობრებს, ესაუბრა და მკითხა:

— რამდენად იცნობთ სხვა უცხოელთა აზრს კორიდაზე?

— რაც რუსულზე და ქართულზეა თარგმნილი, ვფიქრობ, ყველაფერი მაქვს წაკითხული. რა ვიცი, იქნება, გამომჩნა კიდეც რაიმე.

— ჩვენ ესპანელები ვართ, — ღიმილით მითხრა დონ ხოსე არტიგასმა. — მოგეხსენებათ, კორიდა ჩვენი ცხოვრების ნაწილია. რა არ დაწერილა, მაგრამ ჩვენ, ამ სუფრასთან მსხდომთ, თქვენეული განმარტების მაგვარი

1 სტადიონი, სადაც კორიდა იმართება (ესპ.)



რამ არსად შეგვხვედრია. თქვენი თქმისა არ იყოს, იქნება, არის კიდევაც და გამოგვრჩა.

გამეცინა, ქათინაურისთვის მაღლობა მოვახსენე.

— დროს თუ გამონახათ, დაწერეთ, რაც გველაპარაკეთ, — მორცხვად შემომთავაზა ღონ ხოსე არტიგასის ერთ-ერთმა მეგობარმა. — ესპანეთში რამოდენიმე ბეჭდვითი ორგანო უყრის თავს და აქვეყნებს უცხოელთა აზრს კორიდიის თაობაზე. დაწერეთ. ანგარიშსწორება — დაუყოვნებლივ, გამოქვეყნებამდე, — სიცილით დასძინა მან.

— დიდად გმაღლობთ, მაგრამ ჩემი შეხედულება შესამოწმებელი და დასაზუსტებელია. დაწერას არ ვაპირებ. მიიღეთ ჩემგან ეს ნახევარფაბრიკატი საჩუქრად, თუკი რაიმედ ღირს. დაწერეთ თქვენ.

იმან, რომ ჩემმა ნათქვამმა კორიდიის საქმეებში ესოდენ განსწავლული კაცების ყურადღება მიიპყრო და მსჯელობაც კი გამოიწვია, უფრო მეტად შემაგულიანა, აზარტის გრძნობა შემიჩინა. დილაადრიან ესტრამადურაში გავემგზავრე, იქ სამი დღე დავყავი, ღამით დავბრუნდი და დილით თავში უკვე კორიდა მიტრიალებდა.

საქმე არაფერი მქონდა, უკეთ ვთქვათ, გულმა სხვაგან არსაით გამიწია, პლასაზე ბარე სამი საათით ადრე მივედი. სანამ სალაროები გაიღებოდა, სუვენირების ბაზარზე ვიფრატუნე. ბოლოს და ბოლოს, სალაროების გაღების დროც დადგა და ბილეთის შესაძენად გავწიე.

ფულა შემოღევაზე იყო, უიაფესი ბილეთების სალაროსთან მივედი — რვაასი პესეტა! მცირე რიგი დამხვდა. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალი იდგა, ჯინსი ეცვა, უდავოდ ტურისტი იყო. ესპანელები და, მით უმეტეს, ესპანელი ქალები ამ შარვალს იშვიათად ხმარობენ. თავისი სტილი აქვთ და ერთობ საინტერესოც. ამერიკელმა ქალებმა ჯინსის ტარება იმიტომ დაიწყეს, რომ, როგორც ფილოსოფოსი, ბატონი ზურაბ კაკაბაძე ბრძანებდა, ეს სამოსელი სექსუალურ კვანძებს უსვამს ხაზს, ამკაფიოებს მათ და ქალს მიმზიდველობას ამ გზით მატებს. მოდა, მართალია, ელვის სისწრაფით იცვლება, მაგრამ ქართველი ქალების ჩაცმა-დახურვის სტილის ძირითად მახასიათებლად მაინც ის რჩება, რომ ისინი მამაკაცის ყურადღების მიპყრობას ძვირფასი, უხვი რაოდენობისა და საკმაო გემოვნებით შეკერილი ტანსაცმლით ცდილობენ. ბევრი მონძები! ასეთი ტანსაცმელი სხეულის შეგრძნებას გაკარგვინებს. ძალიან ლამაზი ესპანელი ქალი იშვიათად მინახავს — რა თქმა უნდა, ქართველებში დამკვიდრებულ სილამაზის ნორმებს ვგულისხმობ, თორემ ესპანური ნორმების მიხედვით, იქნება, ყოველი მათგანი მზეთუნახავია. ასეა თუ ისე, ესპანელ ქალებს საკუთარი, ერთადერთი და განუმოვრებელი სტილი აქვთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ აცვიან და ახურავენ კიდევ, არც მეტისმეტ სიშიშვლეს ეტანებიან და მათი სხეულის არამარტო ფორმები, არამედ სინატიფე, სიმკვრივე და თრთოლ-

ვაც კი ტანსაცმლის ქვემოდან, თითქმის, ხელშესახებად იგრძნობა. მამაკაცის ყურადღების მიპყრობის უკეთესი ხერხი, განა, არსებობს? ვერაფრით მიუხვდი, რა თარგითა თუ ქსოვილით ახერხებენ ამას. ეს ფენომენი შესაძლოა, მათი პლასტიურობით აიხსნება, ისინი გამორჩეულად გრაციოზულები არიან...

ჩემს წინ რომ ქალი იდგა, შემოტკეცილი ჯინსი და კარგად გაღალეღილი მაისური ეცვა. ყოველივე ეს მშვენივრად ასრულებდა ამერიკული რაციონალიზმის მიერ დასახულ პირდაპირ მიზანს. რამოდენიმეჯერ ცვა-ლუ, სახეში შემეხედა. არაფერი გამომივიდა, რადგან ორ, ვიწროდ დას-რულ მოაჯირს შორის ვიდექით და ქალს კი შემოტრიალება ან განზე გა-ხედვა აზრადაც არ მოსვლია. თვალიერებამ მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ თმაშე ჭალარა აღმოუჩინე და კარგა ბლომდაც — ორმოც წელს მი-ტანებული უნდა ყოფილიყო. ბილეთი შეიძინა, წასასვლელად შემობრუნდა. თეთრი ქალი იყო, ცისფერი, დიდრონი, ნუშის გულივით თვალები ჰქონდა და ქუთუთოების გადასწვრივ — მცირე რამ ნაოჭები, სხივებს რომ ეტყვიან. შევდიმე, შემომდიმა და წავიდა. მოლარეს ფული გადაეწოდე და გავი-ფიქრე, — ამ ქალს ტრიბუნებზე ვნახავ-მეთქი. უფრო ადრე ვნახე.

ბილეთი ჯიბეში დავიგულე, კორიდამდე ბარე ორი საათი რჩებოდა, საქმე არაფერი მქონდა, ბაზრის შემოვლა-დათვალიერება განვაგრძე. იმდე-ნი ვიყიადე, რომ ფეხები დამაწყდა. აქა-იქ გრძელი, მკვიდრი მერხები იყო. უახლოესისკენ გავეწიე, ჩამოვჯექი და მერელა შევნიშნე, რომ გვერდით ის ჯინსიანი ქალი მეჯდა, წიგნს კითხულობდა. თვალი გადავაპარე. სქელი წიგნი იყო, ინგლისური და ფოტოებით უხვად დასურათებული. ერთერთი, ფოტოდან, არც მეტი — არც ნაკლები, პენსნიანი კაცი იყურებოდა. ჯერ ელდა მეცა. მერე სიცილი ამიტყდა, — ეს ურჩხული აქ საიდან და როგორ-და გამომეცხადა-მეთქი?.. ქალმა გაკვირვებით შემომხედა. წიგნი ვთხოვე. ზომცა. გარეკანზე უშველებელი ასოებით CGB და კიდევ რაღაცაები ეწე-რა, ავუხსენი, რაზეც მეცინებოდა და აქვე უნდა ვთქვა, თუ რა საშუალებე-ბით ზორციელდებოდა შემდგომში ჩვენი სიტყვიერი ურთიერთობა. მე ვიცი სულ ცოტა გერმანული, სულ ცოტა ინგლისური, კაი რუსული და ქართუ-ლი ხომ ჩემი დედაენაა. ქალმა იცოდა ცოტა რუსული, ცუდი ესპანური, კაი ფრანგული და ინგლისური მისი დედაენა იყო. ამასთან ერთად, ხელთ მქონდა რუსულ-ესპანური სასაუბრო, რითაც საკმაოდ მარჯვედ ვსარგებ-ლობდი. ჩვენი საუბრის მოსმენას, ღმერთმანი, არაფერი ჯობდა. ფრიად გულდია და კონტაქტაბელური არსება აღმოჩნდა. უმაღლ მაცნობა, რომ მა-მაკაცის სახელი — ტომში ქვია. იქვე შევთანხმდით, რომ მე თამარსა და თამარიკოს დავარქმევდი, ხოლო იგი — გორს ან გორას. მითხრა, რომ უნი-ვერსიტეტის ისტორიის მასწავლებელია, მშობლებიც პროფესორები ჰყავს, რომ გაუთხოვარია, ორმოცს მიტანებული და ქმარი არასოდეს ეყო-



ლება. ესპანეთში მოგზაურობდა, როგორც მარშრუტებით შეუზღუდავი ტურისტი. სახეზე ერთთავად დიმილი ჰქონდა გადაკრული. ნახევარდღისა-  
თიც არ იყო გასული, რომ უანლოესი მეგობრები ვიყავით, ჩვენს მსყუანკო-  
ვანი საუბრის გამო ორთავე სიცილით ვიზოცებოდით და არც ერთი არ მო-  
კრიდებივართ იმ ირონიზმს, რომელმაც ჩვენს ურთიერთობაში რატომ-  
ღაც თავიდანვე დაიბუდა. განწყობილებამ მოიტანა, ამერიკელი ქალის ჩა-  
ცმულობის ჩემეული ვერსია გავუზიარე, ცხადია, სექსუალური კვანძების  
მოხსენებით. არც ესპანელ და ქართველ ქალებს დაეკელი ყურადღება და  
რეაქციას დაველოდე. ტომშიმ თავის მარადიულ დიმილს ოდნავ სერაოზუ-  
ლი ინტონაცია მიანიჭა და მითხრა:

— ესპანეთში მოგზაურობისთვის არშიყობა და გატაცებები არ კამით-  
გალისწინებია. არა მგონია, რაიმე შეიცვალოს... მისტერ გორ, კორიდაზე  
ნამყოფი ხართ?

— ნამყოფი?.. ამ საქმის თეორეტიკოსი, მკვლევარი და ექსპერტი  
გახლავართ! საკუთარი კონცეფციაც კი მაქვს, რომელსაც, იმედია, ახლო  
მომავალში ხარებთან მეგრძოლი ყველა ერი გაიზიარებს!.. თქვენთვის ეს  
პირველი კორიდაა, თამარ?

— დიახ.

— რას ბრძანებთ!.. ჩემი შეხედულებების პროპაგანდისთვის საუკეთე-  
სო ობიექტი ბრძანებულხართ. ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებ.  
დამიგდეთ ყური და ნუ გამოქმედებთ, თორემ ისედაც ჯერ კიდევ კარგა  
დასალაგებელი აზრები მთლად ამერ-დამერევა.

— გისმენთ.

— ისტორიკოსი ხართ და უთუოდ იცით, რომ ესპანეთში რეკონკისტა<sup>1</sup>  
მერვე საუკუნეში დაიწყო. კორიდამ აქ, თავისი პირველყოფილი სახით,  
ბალკანეთიდან მეთერთმეტე საუკუნეში შემოაღწია, ხოლო ბალკანეთში  
უნსოვარ დროს — კოლხეთიდან. შესაძლოა, ეს სანახაობა სულაც ბასკებმა  
მოიტანეს შავი ზღვისპირეთიდან.


— ეგ პიპოთეზა ჩემთვის ცნობილია.

— კმაყოფილი ვარ!.. რეკონკისტის დასაბამად 718 წელია მიჩნეული.  
დასასრულად — გრანადის საამიროს ლიკვიდაცია — 1492 წელი. გამოდის,  
რომ რეკონკისტას, თითქმის, შვიდი საუკუნე დასჭირდა, ესპანეთის ხალ-  
ხები და ტომები დამპყრობლებს შვიდასი წლის მანძილზე ებრძოდნენ!..

— შენ რამდენი წლისა ხარ? — რუსულად მკითხა ტომშიმ და, ვფიქ-  
რობ, ამ ნაბიჯით ურთიერთობების სრული გამარტივებისკენ მომიწოდა.

— იეშუა გო ნაცრი ჯვართ რომ აცვეს, ოცდაცამეტი წლისა ვიყავი.  
თითქმის, მარადისობა ვარ.

1 სახელმწიფოების ბრძოლით დაბრუნება



— მეგობრობდით?

— კი, ბავშვობიდანვე. მერე, იუნკერთა სასწავლებელში, განხეთქილებამ დაგვაშორა. ძალიან ჯიუტი კაცი იყო, ერთმანეთს ვერ შევხვდით. ვეუბნებოდი, — არ გინდა, მოეშვი, ეგ საქმე შარს გადაგიდებს-მეთქი. არ ღაიშალა!

— განხეთქილების მიზეზი რა იყო?

— აზირებული ჰქონდა — „რომელმან გცეს შენ ყურიძალსა შენსა მარჯვენასა, მიუპყარ მას ერთკერძოცაო“.<sup>1</sup> მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“.<sup>2</sup>

ციტირება ქართულად მომიხდა, თარგმნით წამებას კარგა ხანი მოვანდომეთ — უკეთ ვთქვათ, დრო სიცილ-ხარხარმა წაიღო, კარგი, რომ საზარებისა რიგიანად გაეგებოდა...

— უბრალოზე აშლილხართ, — შენიშნა ტომიმ, როცა დაეშოშმინდით.

— განვარდობ ლექციას!.. გამუდმებით მეომარ ხალხს დამყრობელთან, მტერთან ბრძოლისა და გამარჯვების ამსახველი რაიმე თამაშის შექმნა რომ მოსწყურებოდა, განა საკვირველია? ხალხი ზენა-თესვისა და მოსავლის აღების შესატყვის ცეკვა-სიმღერებს თუ იგონებს, ბრძოლისა და გამარჯვების გამომხატველმა თამაშმა რა დააშავა? ერების უმრავლესობას აქვს ამ ფუნქციის მატარებელი გასართობები, სანახაობები თუ მისტერიები. ცნობილია, კორიდას თავდაპირველად სხვა ხასიათი ჰქონდა. მერე, დროთა ვითარებაში, ესპანელებმა იგი თავის მოთხოვნილებებს მიარგეს და ხუთასი წლის მანძილზე ამ სანახაობას ბრძოლისა და გამარჯვების დამყრობის განადგურების პროპაგანდისტვის იყენებდნენ. მართალია, ჩვენს სინამდვილეში კორიდას პირვანდელი დანიშნულება აღარა აქვს, მაგრამ ახლა იგი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაზე, ქვეცნობიერებაში გადabარებულ გრძნობებზე მოქმედებს, თორემ სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ესპანურენოვანი ხალხებისა და სხვა ხალხების კორიდათი დაინტერესებაში განსხვავება?...

— გორა, რამდენი შვილი გყავს? — შემაწყვეტინა ტომიმ და ღიმილის საშუალებით მაცნობა, რომ გასაგებს ვუღეჭავდი.

ამ ქალს განწყობილების ყველა ნიუანსისთვის ცალკე, განსხვავებული ღიმილი ჰქონდა.

— ბევრი შვილი მყავს და ყველა შენსავით დაუდგრომელი. ერთი თვე ერთად თუ დავყავით, ენა აღარ დამჭირდება, შენი ღიმილით მივხვდები ყველაფერს. წავიდეთ, ადგილები დავიკავოთ.

1 ოთხთავი. მათე — 5. 39.

2 ოთხთავი. მათე — 10,34



პლასა დე ტოროსის ამფითეატრის კიბეებზე ავდიოდით. ტომშიმ მით-  
ხრა:

— კორიდაზე და შენს კონცეფციაზე აღარაფერი თქვა! ყველაფერს მიეხვდი. თვალ მინდა გავერკვე. თუ გსურს, მეარშიყე!

ასე, დაკვეთით არშიყოფა არასოდეს მიკისრია. დავიბენი, კარგა ხანს ვიყავი ჩუმად.

ერთ-ერთი ბოლო რიგთაგანი იყო და ეგრეთ წოდებული სოლი! — მზის გული. შემოსასვლელში ნაქირავეები ბალიშები დაგიდეთ, დავსხედით და ვკითხე:

— მე ფული შემომეღია და ამ მოსახრავაკაზე წამოსასკუპებელი ბი-  
ლეთი ამიტომ ავიღე. შენც შემოგელია?

— არა. ფული საკმარისი მაქვს. თუ დამჭირდა, კიდეც გამომავზავ-  
ნიან. მითხრეს, — კორიდა საზარელი საყურებელიაო. ვიფიქრე, — შესაძ-  
ლოა, წერვებმა ვერ გამიძლოს და გავიქცე-მეთქი. აქედან გაქცეულს რვა-  
სი პესეტა მეკარგება. სომბრადან<sup>2</sup> — ოთხი ათასი. რომელი ჯობია?..

— ყაირათიანი არსება ხარ! — სხვა რა უნდა მეთქვა. — როგორ გვო-  
ნია, რამდენი გრადუსია?

— ცნობარებიდან ვიცი, აქ ივლისში, დღის მეორე ნახევარში, იმდენი  
გრადუსია ზოლმე, ესპანეთში რამდენი მილიონი მცხოვრებიც არის —  
პლუს ორმოცდაერთი, ორმოცდახუთი ჩრდილში!.. რა საზარლად ცხელა!  
სომბრაზე უნდა მეყიდა ბილეთი... სომბრაზე? მაშინ შენ ვეღარ შეგხვდე-  
ლოდი. აქ ჯობია!

— გმადლობ, სენიორა! რით დავიპყარი შენი კეთილგანწყობა?

— კეთილგანწყობა არაფერ შუაშია. შენი კონცეფციის მოუსმენლად  
ეს სანახაობა ჩემთვის მხოლოდდა ხარის მოკვლის პროცესი იქნებოდა. აქ,  
მართალია, კუბრში ვზივარ, მაგრამ თან ცოდვებს ვინანიებ, თან ცნობის-  
მოყვარეობის იაფად დაკმაყოფილების იმედი მაქვს.

— მეგონა, ჩემი გულისთვის გერჩივნა აქ ჯდომა.

— მიაქციე ყურადღება: აქ რომ ზიხარ, სომბრაზე მსხდომთ რომ გას-  
ცქერი და თუ გავიწყდება, რომ ცელსიუსას ორმოცდასამი არც მათ აყე-  
ნებს ნაკლებ დღეს, მაშინ სოციალურ წინააღმდეგობათა მიზეზი და ბუნე-  
ბა ადვილად გასაგები ხდება, — სიტყვა ბანზე ამიგდო ტომშიმ.

— რევოლუციების საწვავი და კატალიზატორი, — აღვნიშნე მე.

ტომშიმ აღარ გამომხმაურებია, ტრიბუნებს ათვალიერებდა.

— ეს კაცობრიობაა! მთელი კაცობრიობა, რომელიც იყო, არის და  
იქნება!

1 მზე (ესპ.)

2 ჩრდილი (ესპ.)

— ეგ მხატვრული სახეა თუ ის, რასაც ხედავ?

— ერთიც და მეორეც. საიდან იშვება სახე თუ არ არის რეალია?

პლასა დე ტოროსი პირთამდე იყო სავსე. იმ დღეს სახელგანთქმული

პატადორს — ლუის რეინას უნდა მოეკლა ხარი. ქუადრილიის<sup>1</sup> პასეო,<sup>2</sup> რო-  
გორც ყოველთვის, ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობდა. ამფითეატრე-  
ბის მშფოთვარე მოლოდინი ჟრიამულსა და შემახილებში იძირებოდა. ქუ-  
ადრილიას წინ სამი მატადორი<sup>3</sup> მიუძღოდა. შუაში — თვით ლუის რეინა.  
მარჯვნივ და მარცხნივ—არანაკლებ ცნობილი ესპადები.<sup>4</sup> შემდეგ, შუბოსანი  
მხედარი—პიკადორი,<sup>5</sup> რომელიც ძალიან ჰგავდა წმინდა გიორგის, მხედ-  
ველობაში თუ არ მივიღებთ, რომ ჯაგლაგზე იჯდა და თვით ჯაგლაგს მუ-  
ცლის არე სქელი, მკვრივი, რქაგუმტარი საბნით ჰქონდა დაცული. პიკა-  
დორს სამი ბანდერილიერი<sup>6</sup> და მომღვენო რიგში სამი კაპეადორი<sup>7</sup> მოჰყე-  
ბოდა, შემდეგ პუნტილიერი<sup>8</sup> — მებრძოლი, რომელმაც მატადორის მიერ  
დამნით სასიკვდილოდ დაჭრილ ხარს კისერში დანა უნდა ჩასცეს და  
სულთბრძვა შეუწყვიტოს. მსვლელობას აბოლოებს ორი ქუადრილია დე  
არასტრე<sup>9</sup> სათრეველაში შებმული ორი ცხენითურთ. ეს ჭრელჭრულსა და  
ღაჩითულ-ამოქარგულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ხაზგასმული ღირსე-  
ბით მოძრავი ჯამათი რამდენადმე სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ აფი-  
სიონადოები,<sup>10</sup> რომელთაც ხართან ბრძოლის ორსავე წესი, ილეითი და  
ხერხი ზეპირად იციან, ამფითეატრიდან სრული სერიოზულობით ესაღმე-  
ბიან ქუადრილიის, ანუ მოძავალი ბრძოლების მონაწილეებს.

ქუადრილიამ პრეზიდენსიას<sup>11</sup> ჩაუარა და გასასვლელს მიაშურა. ჩემი  
აზრი პასეოს კომიზმის შესახებ ტომპის გავუზიარე.

— კი, სასაცილოა. კაცობრიობის წარსული რომელიმე მემატთანეს იუ-  
მორით რომ დაეწერა, იქნება, ყველაზე ჭეშმარიტი ისტორია გამოსვლოდა.

პასეო დამთავრდა. ასპარეზზე კაპეადორები და ბანდერილიერებიდა  
დარჩნენ. ესენი, სანამ კორიდის პრეფექტი ხარის გამოშვების ნიშანს მის-

1 კორიდის ყველა მონაწილას მწყობრი (ესპ.)

2 ქუადრილიის მსვლელობა, აღლუმი (ესპ.)

3 მებრძოლი, ვინც უნდა მოკლას ხარი (ესპ.)

4 იგივე, რაც მატადორი, ტორეადორი (ესპ.).

5 შუბოსანი მხედარი (ესპ.)

6 ბანდერიელებით ანუ მანჭვლებით მებრძოლი (ესპ.)

7 კაპა — ჟოლოსფერი წამოსასხამი ხარის გასაღიზიანებლად (ესპ.)

8 დანოსანი (ესპ.)

9 ვინც მოკლული ხარი ცხენებს უნდა გამოაბას და ასპარეზიდან გაათრიოს (ესპ.)

10 თავდადებული გულშემატკივრები (ესპ.)

11 ლოჟა, სადაც კორიდის წარმმართველი, პრეფექტი ზის (ესპ.).



ცემდეს, ასპარეზზე უსაქმოდ დაყიალობენ. ზოგი ერთმანეთს ესაუბრება. ამ სურათმა ერთგვარი ტრანსკრიფცია განიცადა და ჩემს ფანტაზიაში ანამოფალიზებული სახეების რიგი ახალი დეტალით შეივსო: ეს ასპარეზი აღამიანთა, ერთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის ადგილია — ჩვენი მრგვალი ცთომილი დედამიწა, ზედ მცხოვრები ხალხებით. ამფითეატრები — კაცობრიობა ერთ რომელიმე ისტორიულ მონაკვეთში. ზვად აქ სხვა კაცობრიობა იჯდება, ზევ სხვა, მაზევ სხვა, მაგრამ მარადის იჯდება სხვა თაობათა კაცობრიობა ისევე, როგორც სხვა ხალხები იმოქმედებენ, აგერ, იმ ასპარეზზე. ყველაფერი ცვალებადია, გარდა იმ ქვეცნობიერი მოლოდინისა, რომ მოედანზე ვიღაც მოძალადე შემოიჭრება და ჰამონიას ქაოსად აქცევს. ეს მარადისია!

ამ ფაქტში ვიყავი გართული, თვალი ვერ მოვკარი პრეზიდენსიაში როდის აიჭნიეს ხელსახოცი. ხარი ასპარეზზე გიჟივით გამოვარდა და გაშეშდა, თვალი კაშკაშა მზემ მოსჭრა. ბრძოლის დაწყებამდე რამოდენიმე საათის განმავლობაში ბნელ ბოსელში ჰყავთ ხოლმე, სინათლე უცბად ვერ იგუა.

— დამპყრობლები უმთავრესად ბნელი ბოსლებიდან ევლინებიან ქვეყნიერებას, — ვთქვი და ტომმის განუშმარტე ხარის გარინდების მიზეზი.

ხარმა მზეს თვალი მიაჩვია, ჟოლისფერი კაპა დაინახა, შეუჭტია. კაპე-აღორმა ხარის რქები ილეითთ აიციდინა და გაიქცა. ხარი გამოეკიდა, კაპე-აღორმა საფარში შეასწრო. ასეთი სამალავი ასპარეზის ირგვლივ შემოვლებულ ბალავარში რამოდენიმეა, როგორც ბრძოლა წაგებული მოწინააღმდეგე მიაშურებს ცახეს, ისე იმალებიან საფარებში ხარისგან ოტე-ბული მოცოს დე კაპები.<sup>1</sup> ერთი რომ თავს შეაფარებს, ხარს მეორე კაპე-აღორი აღიზიანებს, მერე მესამე, ისევ პირველი და ასე შემდეგ. დესჯილ<sup>2</sup> კარგა ხანს გრძელდება — იქამდე, სანამ პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პიკა-დორის გამოსვლის დროა.

— კაცობრიობის ისტორიაც ასეა: შემოჭრა, მოგერიება, გაქცევა, გაშეშება, დამარცხება, გამარჯვება. კიდევ რა? — თქვა ტომმამ.

— კიდევ? ყველაფერი ის, რა მიზეზებითაც დაპყრობა იწყება, რა მიზეზებითაც იმარჯვებენ თუ მარცხდებიან და რაც ამას მოხდევს, მაგრამ ას, რაც ასპარეზზე აშუამად ხდება და კიდევ მოხდება — უმნიშვნელოვანესია.

— დიას! — დამიდასტურა ტომმამ. — უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ ეს ომია. ომი — ყველაფრის ბოლო და ყოველივე ახლის დასაწყისი. ომი, ანუ ძალადობის ზეიმი სიკეთეზე და იმავე ძალადობის სიკვდილის

1 იგეგვა, რაც კაპეაღორი (ესპ.)

2 ხარის გაღიზიანება (ესპ.)

დასაწყისი. ხარი, აგერ, იმ უსუსური წინააღმდეგობით იღლება, იქანცება,  
ძალა ეცლება და იწყება მისი სიკვდილი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— სუერტე დე მუერტე!¹ ამ პროცესს ასე ჰქვია.

ტომმიმ შემომხედა, მიყურა და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. სუერტე დე მუერტე? ეგ ზომ ყვე-  
ლანაირ ვითარებაზე ვრცელდება...

ასპარეზს სქელ ძონძებში გახვეულ-შეფუთულ ჯაგლაგზე ამხედრებუ-  
ლი პიკადორი მოევლინა. მხედარს ფეხები მუხლს ქვევით ლითონის თო-  
რებით ჰქონდა დაცული, რომ ხარს ვერ დაეშავებინა. ხელთ გრძელი, მძი-  
მე შუბი ეკავა. შუბს წვეტიდან ერთი ციდის მანძილზე ჯვარედინი კაპი  
ჰქონდა. ეს იმისთვის არის, რომ ხარის ქედში მახვილი ღრმად ვერ წავი-  
დეს და მატადორის მოსაკლავად გამოშვებული ცხოველი, შემთხვევით,  
პიკადორს არ შემოაკვდეს.

— შეხედე, გორ, შუბი ჯვარით თავდება! — შენიშნა ტომმიმ. — ნუთუ  
ამას ქრისტიანული ღმობიერების მიმნიშნებელი ფუნქცია აქვს?

— შენ გინდოდა გეთქვა, — ქრისტიანული პირმოთნეობისაო? მიაქციე  
ყურადღება, ხალხი იცინის, უსტვენს. ასეთი რეაქციის მიზეზი რა უნდა  
იყოს? მაგ ფარისევლობის გამო ზომ არ მზიარულობენ?

— ალბათ. მგონია, მაგ საქმეში მხედრის გაბღენძილი, ამპარტავანი  
ვარგვნობაც უნდა ერიოს. კომიკურ სიტუაციას ისიც ამახვილებს, რომ  
ხალხმა იცის, ეგ წმინდა გიორგის, მხსნელის სიმბოლოდ მოვლენილი, ფა-  
რჩა-ხავერდში გამოწყობილი ფანჯარონი არაფრის მაქისისია და ვერაფერი  
გმირია.

ამასობაში, გაგულისებულმა ხარმა პიკადორის ცხენს რქები მუცელში  
ატაკა, მაგრამ ვერა ავნო რა — დამცველი პერანგი ვერ გაიტანა. პიკადორ-  
მა პაუზით ისარგებლა და შუბი ქედში ჩასცა. სისხლმა თქრიალით გადმო-  
სეთქა, შავ ფერდზე შინდასფერ ღვარად ჩამოიარა. ხარი გამწარდა, ცხენს  
რქები მუცელში ზელმეორედ შეუყო. ჯაჯგური დაუწყო, პერანგისგან თა-  
ვისუფალ, შიშველ ადვილს თუ ეძებდა. პიკადორმა შუბი კვლავ ჩასცა. მა-  
შინ ხარმა ცხენი რქებზე აიტაცა და ნიადაგზე დაავორა. მხედარს ფეხი  
ცხენქვეშ დაჰყვა. ხარი საკვეთებლად დაიძრა, მაგრამ კაპედორებმა ალყა  
შემოარტყეს, გაღიზიანება დაუწყეს. ხარი დაიბნა, გაშეშდა. სხვები ჯაგ-  
ლაგსა და პიკადორს შემოეხვივნენ. ერთნი ცხენის აყენებას ლამობდნენ,  
მეორენი — პიკადორის ცხენქვეშიდან გამოძრობას. ხალხი ხარხარებდა.  
ასეთი ღრიანცელი იდგა, რომ ტომმიმ ყურებიც კი დაცო.

ხარი, როგორც იქნა, განზე გაიტყუეს, დესფილე გაგრძელდა. მხედარი  
ცხენქვეშიდან გამოათრიეს, ცხენი ააყენეს. პიკადორი შეჯდა და სარბიე-  
ლი კვლავინდელი მედიდურობით დატოვა.

¹ მოკვდინების, სიკვდილის პროცესი (ესპ.)



— თამარ, მიუხედავად შეთანხმებისა, რომ კორიდაზე აღარაფერს გიტყვოდი, ერთი მოსაზრება უნდა გაგიზიარო, მისი მართებულობის შემოწმების მიზნით. მომისმენ?

გეორგი  
გეორგი

— თქვი.

— დამპყრობელს დასაპყრობად განზრახულ გეოგრაფიულ რეგიონში მრავალი, ან რამოდენიმე ერი თუ სახელმწიფო ზღვება. მათ რიცხვში აუცილებლად არის ძლიერებით გამორჩეული, აღზევებული სამეფო და, ამდენად, რეგიონის ლიდერი. როცა ჯიპადგირი გამოჩნდება, ლიდერი უფრო სუსტი მეზობლების წინააღმდეგობის შედეგებს ელის. არამართო ელის, არამედ აქეზებს კიდეც მათ და, ხშირად, რაიმე სახის დანაშაულებასაც უწევს, რომ მომხდური დაასუსტოს, გამოფიტოს და თავად მერედა ეკვეთოს. ამ ლოდინსა და დაყოვნებაში ის განზრახვაც დევს, რომ გამარჯვების შემდეგ, რაშიც გაყოფილებულს ეჭვი, თითქმის, არც ეპარება ხოლმე, წვრილფეხობის მიერ დაკარგული სამფლობელოები, როგორც ძღვევამოსილმა და განმათავისუფლებელმა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიითვისოს და ახლად შემოერთებულ მოსახლეობას, სიხარბითა და გაუმაძღრობით, იქნება, დამარცხებული დამპყრობელიც კი მონატროს. ყოველივე ეს ხალხებმა მშვენივრად იციან და ასეთი ლიდერის მიმართ თავისი უარყოფითი განწყობილება, კერძოდ, ესპანელებმა კორიდის მეშვეობით პიკადორის კომიკურ იერში გამოხატეს. პიკადორის მხატვრული სახის ასეთი ანალიზი მართებულად მიგანია?

— იცი, გორ, — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გამომელაპარაკა ტომში, — მიუხედავად იმისა, რომ შენს ანალიზში ძალთა ურთიერთდამოკიდებულებას, ვითარებათა დიალექტიკას სრულიად ვეთანხმები, პიკადორის ეპიზოდის, როგორც მხატვრული სახის, შენეული განმარტება ხელოვნურ წარმონაქმნად მეჩვენება. კორიდა ხალხის მიერ შექმნილი სანახარიაა. ხალხი კი ეკოდენ რთული კატეგორიებით ვერ აზროვნებს...

— სწორია, — ჩაუვრთე მე, — და ამიტომ არის, რომ ხალხი თავის ქვეცნობიერებაში არსებული იდეების მხატვრულ სახეებს, ვთქვათ, მუსიკის, ვოკალის, ქორეოგრაფიისა თუ სპორტული თამაშების საშუალებებითა და მეშვეობით ქმნის. ესპანელებს თავისი ქვეცნობიერი დამოკიდებულება, ხომ შეეძლოთ, პიკადორის სახით გამოეხატათ?..

— რა თქმა უნდა, გორ, მაგრამ სხვა რამ მაქვს სათქმელი. ესპანელები და თქვენც, ქართველები, დამპყრობლებთან საუკუნეების მანძილზე ნაბრძოლ-ნაომარი ხალხები ხართ. მართალია, ესპანელებმა რეკონკისტის შემდეგ დაპყრობებს თავად მიმართეს და კორიდა ცირკად სწორედ მას მერე იქცა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ალბათ, არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ — ამერიკელები, მხოლოდ უსასტიკესი, დაუნდობელი დამპყრობლები ვიყავით და ჩვენს მიწა-წყალზე არავითარი ჯიპადგირი არ გაჭაჭა-

ნებულა. თქვენ — ქართველებს და, შესაძლოა, ესპანელებსაც, თქვენი წარსულის ტკივალს გაქვთ და კორიდას ამ პოზიციიდან ანალიზებთ. ჩემში ოქვენული ისტორიულ-ფსიქოლოგიური წინაპირობები ძნელი საგნებია. მაშ, როგორ უნდა გვკონდეს, თუნდ კერძოდ, ამ მხატვრული სახის ერთნაირი განმარტება? იქნება, სწორედამის გამოა, შენი განმარტება ხელოვნურ წარმონაქმნად რომ მოძუჩვენა. მე — ამერიკელს, ჩემმა ისტორიულ-ფსიქოლოგიურმა წინაპირობებმა სხვა განმარტება მიკარნახა. ეს ოპორისტული ელემენტი — პიკადორის ეპიზოდი — ქრისტიანული რელიგიის მიმართ ხალხში არსებულ ოპოზიციად მივიჩნიე და იმის აღნიშვნად, რომ ქრისტიანობა, თავისი ღმობიერებითა და მიმტვევბლობით, მკაცრ, რადიკალურ რელიგიებთან დაპირისპირებისას, წარსულში, შედარებით სუსტი და უმწეო ჩანდა ზოლმე.

— ან ორივეა სწორი, ან — არც ერთი!.. — რატომღაც ცხენქვეშ ფეხდაყოლილი პიკადორი მომაგონდა. — იმ ეპიზოდმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარიის კოლომანის ლაშქრის სასტიკი დამარცხება არ მოგაგონა?

— კი! — გაიცინა ტომშიმ. — მაკედონელს ჰყავდა ერთადერთი ფალანგა, ანუ ორმოცდაათ ათასამდე სილატაკეში აღზრდილი, მოწინააღმდეგეზე უარესად შეიარაღებული, მაგრამ კარგად გაწვრთნილი მეზრძოლი. დარიოსს — რამდენიმე ასეული ათასი, სხვა ცნობებით მილიონამდე, ფუფუნებით განებივრებული, ამპარტავანი იდიოტი. მაკედონელებმა იმ ბრძოლაში ათასამდე მარტო მზარეული ჩაიგდეს ტყვედ!..

ორგზის შუბით დაკოდილი ხარი კვლავ და მეტი გამწარებით დასდევდა კაპეადორებს. ერთერთს დაეწია კიდეც, რქა უკანალში უთავაზა. ირიბად გამოუვიდა, აცურებით მოხდა. კაპეადორი დაეცა, ორიოდ მაღაფიც გადაიარა, ხალხს სიკვდილის სუნი ეცა, გაინახა, მაგრამ სხვა კაპეადორებმა იმარჯვეს, ხარი ალყაში მოაქციეს, განზე გაიტყუეს, უიღბლო მოცოს დე კაპა ღუნდულის გახევას ბეწვზე გადარჩა, რის კაი-ვაგლახით წამოდგა და სამალავისკენ კოჭლობით წავიდა.

— კარგი ხარია, — აღვნიშნე. — რაც გამოიჭრა, მას მერე არ გაჩერებულა. აგრესიული, მეზრძოლი ხარია.

— ძალიან აქტიურია!.. მაგრამ არ მესმის, რა უნდა. დაარბენინებს ამ საწყლებს, ხან რომელს დაიფრენს და შეამწყვდევს და ხან რომელს. ცხადია, პირუტყვს რაიმე გაცნობიერებული მიზანი არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თავად ეს უაზრო, უთავბოლო სირბილი და გამოღევნება, თუ შენს კონცეფციას მივეყვებით, რაღაცას უნდა ასახიერებდეს. ხომ ასეა?

— ყოველი დამპყრობელის მიერ ქვეყნიერების დაწიოკება, ერების დამარცხება, სახელმწიფოების განადგურება, ვანა, უაზრო, და უთავბოლო სირბილი და გამოკიდება არ არის? უზოგადესი საზომით რომ მივეუდგეთ,



რომელ დამპყრობელს რა შერჩა და მისი დანაპყრობიდან რა დარჩა?! „ჯადო სპარსეთო, მოთარეშევე ძველსა ომებში, შირაზის ლომო, ქართლის რისხვავ, შენგან რა დარჩა? შენი გმირები გადასახლდნენ შენს ქოქებში და აბჯრის ნაცვლად ზურგით დაგაქვს ნოხი და ფარჩა!..“ ეს ქართულია, როდისმე გადმოვითარებინი. კორდოვის ხალიფატიდან რა დარჩა? აი, ეს მისტერიალა დარჩა, კიდეც ცოტა რამ და ორიოდ საუკუნის შემდეგ აღარც ეს იქნება, როგორც აღარაფერი დარჩა, ვთქვათ, გიკოსებისა და პაჭანიკებისაგან. ყველაფერი უაზრო, უთავბოლო სირბილი და გამარჯვება თუ დამარცხება იყო.

— მაგ გადმოსახედიდან, ალბათ, ევრეა, მაგრამ შეხედე, როგორი სიხარბითა და გაუმაძღრობით დასდევს ხარი, ავერ, იმ ჟოლოსფერ ზიზილ-პი-პილოს. ეგ სუფთად პრაგმატისტული მომენტია. დამპყრობლებიც ევრე დააშლივინებენ თავიანთ მრავალრიცხოვან არმიებს სხვათა სიმდადრის ჯელში ჩასაგდებად!..

— შენ გინდა თქვა, რომ მოქმედება, მოწის, პორფირის — როგორც საიმპერატორო რეგალიის — ჯელში ჩაგდებისა და მითვისებისათვის ბრძოლას ასახიერებს, არა? გეთანხმები. ამ მისტერიაში ყველაფერი გათვალისწინებულია, მშვენიერო თამარ!

ხარი კი გაშმაგებით დასდევდა კაპებს. როცა დაღლილობამ ფეხი მუხლში მოუკეცა და წააბორძიკა, პრეზიდენტმა ბანდერილიერებს ნიშანი მისცა. დესფილირება შეწყდა, კაპედორებმა თავის საღიზიანებლები მკლავზე გადაიკიდეს, ხარს გაეცალნენ, ბანდერილიერების მუშაობას შორიანლოდან გამოსცქეროდნენ.

ეს პროცესი, მართლაც, ულამაზესი სანახაურია. თითის წვერებზე ატოტებულ ბანდერილიეროს ზეაყრობილ ხელებში ასე, ორი მტკაველის სიგრძის თითო ბანდერილია უჭირავს. მანჭვლები დაჭრელებულია და ტარზე წითელ, როფრიალუ ჭაფუები ჰკიდია. ხარი დგას, შედგებული სისხლით დაფარული შავი ფერდები საბერელებივით დაუდის. თითის წვერებზე შემდგარი ბანდერილიერო ხარს უახლოვდება, სულ რაღაც ორ, სამ ნაბიჯზე ჩერდება და „ტორო“-ს შემახილებით აგულიანებს, — მეკვეთეო! ხარი აყიუნებს, ალბათ, ფიქრობს, გამომწვევად აჭრელებული ტორერო! რქებზე რა ზერხით აიტაცოს, მერე ადგილს წყდება, კამარას კრავს და ეს თავგანწირული ძეგრება, თითქოს, საბედისწეროა, თითქოს, ხარის რქებზე უნდა დაასრულოს ამ კოხტა კაცმა თავისი თამაშოვით, სიცოცხლე... მაგრამ ბანდერილიერო, მხოლოდ მისთვის ცნობილ რომელიღაცა მომენტში, ულამაზეს პირუეტს ასრულებს, ხარის საზარელი თავი გასწვრივ გაივლევს, ტორერო ოდნავ ახტება და მიწას მოწყვეტილი ზეაყრობილ ბანდერი-

1 მებრძოლი, კორდის ყველა მონაწილეზე ითქმის.

ლებს გაწბილებულ პირუტყვს ქედში ჩასცემს... მანჭვლებით დაკოდა კორიდის ყველაზე ესთეტიური ილეთია და, ალბათ, ამიტომ იგი სამჯერ მეორდება, სამი ბანდერილიერო ერთმანეთს გამბედაობაში, ოსტატობაში და გრაციოზულობაში ეჯიბრება.

ხარს უკვე შვიდი ჭრილობა აქვს, მის ფერებს სისხლის შვიდი ნაკადული ჩამოსდევს და თავის მტანჯველებს გახელებული, უკიდურესობამდე გაშწარებული დასდევს. ამ სანახაობის საშინელება კიდევ ის არის, რომ შლიგინის დროს ხარის ქედში ჩარჭობილი ბანდერილიები ტორტმანებენ და ეს, ადამიანური საზომების მიხედვით, აუტანელ ტკივილს უნდა იწვევდეს.

— კორიდა პრეზიდენტს მიჰყავს, — თქვა ტომშიმ. — ყოველი მომდევნო ქმედება მისი ნიშნით ხორციელდება, შემსრულებლები მის ნება-სურვილს ემორჩილებიან. იგი მართავს, როგორც ღმერთი კაცობრიობის გრანდიოზულ მისტერიას. ღმერთი ყველაფერს სჭირდება!

პრეზიდენტმა მატადორის შემოსვლა ბრძანა.

კაბადონის სამ მეოთხედზე გადახრილი მზე ასპარეზის აღმოსავლეთ ნაწილის ნახევარს და სწვდება და როცა კორიდა მზიანზე გადმონაცვლებს ხოლმე, მაშინ ფერები იფეთქებენ, აკიაფდებიან და სანახაობას ლაზათი ერთი ორად ემატება. მეგრძოლთა ნაირფერად დაჩითულ-მოქარგული სამოსელი, ოქროცურვილი ნიადაგი, ჟოლოსფერი კაპიების რბეჯა, ხარის ქელსა და კისერში ჩარჭობილი ჭრელტარიანი ბანდერილიების ტორტმანი, მათი წითელი ბაფთების აღმგზნები ფრიალი და გავეშებული ცხოველის შავ ფერებზე შინდისფრად შედედებული სისხლი მზის გულზე ფერთა უმშვენიერეს ფანტაზიას ქმნის. ამ მოძრავ მრავალფერიანობას ტრიბუნების გადარეული ღრიანცელი აერთმთლიანებს, მისტერია ხმათა ქაოსის ფონზე მიმდინარეობს და მარადისობის ილუზია ჩნდება.

— შეხედე, თამარ, რას სჩადის მზე! — თავი ველარ შევიკავე. — ტრიბუნება, თითქოს, ხარს თანაუგრძნობენ და არა მის მწვალებლებს. ამას მზე სჩადის! გასსოვს, ჰეზინგუეი, — კორიდაზე მზე აუცილებელიაო, „სიკდილი ნაშუადღევს“ — თუ არ ვცდები.

— ჰეზინგუეი მაგ ნათქვამში მხოლოდ კორიდას არ გულისხმობდა. ეგ ნაწარმოების შინაგან სინათლეს უნდა ნიშნავდეს, ესაზნელები ღუენდეს რომ ეტყვიან. აქ მან კარგა ხანს იცხოვრა, ღუენდეს მნიშვნელობა ვაიკო და შინაგანი მზე დაარქვა. ეგ ის არის, რასაც, ვთქვათ, შესრულების უმაღლესი ტექნიკა დახვეწილი არტისტიზმის მშვენიერებამდე აყვავს. ის, რაც უკლებლივ ან ყურით კი არ იგრძნობა, არამედ რაღაც იდუმალი ვხეებით შემოდის ჩვენში. შინაგანი მზე, ღუენდე!

— მე იმ მზეზე მოგახსენებ, ჩვენ რომ ასე დაუნდობლად გვეპყრობა და რომლის სხივებში ხარი მშვენიერია, ხოლო ჩრდილში — საზარელი. დააკ-



ვირდა ტრიბუნების რეაქციას აქ და იქაც, როცა ხარი ჩრდილში გადავიდა,  
კორიდამ მალე სომხრახე გადაინაცვლა და ტრიბუნების ღრიალსა და  
აშკარად სხვა, გაბოროტებული ხმოვანება შეიძინა.

— სიმაროლესა ჰგავს, — ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა ტომში, გულდასმით დამთვალიერა და თქვა: — რაც მეტს გისმენ, სულ უფრო მეტად  
ძეგვენება, რომ გონიერი არსება ხარ. საურთიერთოდ მთელი სიცოცხლის  
ნანძილზე სულელი მამაკაცები მერჩივნა. ამ ბოლო დროს გულმა ჭკვიანე-  
ბისკენ გამიწია. სიბერის ნიშანი თუა. ასეა თუ ისე, ადვილი შესაძლებე-  
ლია, რომ change my mind about you...<sup>1</sup>

— კარგია, რომ მითხარი. კაცი უიმედოდ — არ ვარგა!

ტომშიმ ჩემს რეპლიკას ყური არ ათხოვა. იქნება, ვერც გაივინა, სხვა  
რამ იქცა:

— მაგ დეტალში ერთი საგულისხმო მომენტიც არის... ნუ მეარშიყები,  
ხელი წაიღე, ცხელა. ყური მიგდე! ამკლები, თითქოს ცხადია, უარყოფით  
დამოკიდებულებას უნდა იმსახურებდეს, რადგან მისი წარმატებები სხვათა  
დათრგუნვის შედეგია, მაგრამ მიაქციე ყურადღება, რაც უფრო მეტს ძალა-  
დობს იგი, ანგრევს, ანადგურებს და ჟღერს, გმირის სახელი მით მეტად  
უმკვიდრდება. ნათქვამია და ასეც არის — გმირს ჭრილობები ამშვენებს.  
როცა დამპყრობელი ამდენად იღბლიანია, რომ ბრძოლებში მიღებული  
ჭრილობების მიუხედავად, განაგრძობს თავის შავ საქმეს, მაშინ მისი გმი-  
რობის შარავანდედი მეტ ელვარებას იძენს თუ, რა თქმა უნდა, ხალხები  
ამ დაჭრა-გამოჯანმრთელების შესახებ ინფორმირებული არიან, ანუ  
თუ ფაქტს სინათლე ეფინება. ამ მივინვარე ცხოველის ჭრილობებსა და  
სისხლს მზე ამშვენებდნენ, მის გარეგნობას, მოძრაობას ემოციურობა ემა-  
ტება და აქედან ტრიბუნების, ანუ როგორც ჩვენ შევარქვით, კაცობრიობის  
ბეჭტი თანაგრძნობაც, ვიდრე მაშინ, როცა ჭრილობების მიღების ფაქტი  
ჩრდილში რჩება.

მატადორი დინჯი ნაბიჯით, ღირსების გრძნობით გამოვიდა, პრეზი-  
დენტის ლოჟის ძირას დადგა, თავსამკაული მოიხადა, ბრძოლის დაწყე-  
ბის უფლება ითხოვა. თანხმობა მიიღო, ქუდი ერთერთ მოცოსს გადასცა,  
მუღეტა<sup>2</sup>, გამოართვა და ხარისკენ გასწია.

მატადორი კორიდის მთავარი მოქმედი პირია, ხარი ამან უნდა მოკ-  
ლას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ცხოველს არაქათი გამოეცლება, როცა  
ჭრილობები, დაკარგული სისხლი და დაღლილობა მძაფრი შეტევებს  
ილაჯს დაუკნინებს. ეს პროცესი კიდევ ათ, თხუთმეტ წუთს გრძელდება,  
ხარს გააჩნია. იგი მუღეტას უტევს და მატადორმა მასი ძვერებები უნდა

1 აზრი შემიცვალა შენზე (ინგ.) — ერთ-ერთი სიმღერის ფრაზა

2 კაშკაშა წითელი ფერის სალიზიანებელი ქსოვილი (ესპ.)



აიკლნოს. ეფექტი ისაა, რომ მატადორის სიცოცხლე ყოველი კვეთებისას ზეწვზე უნდა ეკიდოს. მატადორის სხეულის რომელიმე ნაწილის გაწვდით ისა თუ სიკვდილის მაგალითები იშვიათობას არ წარმოადგენს. არის ილეთები, რომელთა გამო ოცდახუთი ათასი მაყურებელი აღტაცებით, აღფრთოვანებით ღრიალებს და, პირიქით, მატადორის მიერ უხეიროდ შესრულებული ილეთი და, დაიფაროს ღმერთმა, შიშის, სიმხდლის გამო-კლინება ისეთ აღშფოთებას იწვევს, რომ ტრიბუნებიდან ათასობით ბალი-ში ცვივა და სტვენასა და ყიჟინას ყურთასმენა მიაქვს. მატადორს დახვე-წილი პლასტიკა, სიმშვიდე და არტისტიზმი ისევე მოეთხოვება, როგორც ხარის აგრესიულობა და განუწყვეტელი შეტევების ილაჯი. არის შემთხვე-ვები, როცა ხარი პასიური, უვარგისია და მაშინ ტრიბუნები მის შეცვლას მოითხოვენ. მეგრძოლი ხარების გამოზრდასაც თავისი ცოდნა და საგან-გებო წესების დაცვა სჭირდება. არის დევნები,<sup>1</sup> რომელთა ავტორიტეტი უმაღლესია და იქ გამოზრდილი ხარები ერთი ათად ფასობენ. ერთი სიტყ-ვით, ხარი, ტორერო, კორიდა ესპანეთისა და ესპანურენოვანი ქვეყნების სახალხო მეურნეობის ერთი მნიშვნელოვან დარგთაგანია, ხალხის მატე-რიალური და სულიერი სარჩოა. ეს პორტუგალიაზეც ვრცელდება.

მატადორი მუშაობს, ხარის ფიზიკური ძალების გამოცლის პროცესი, სუესტე დე მუერტე ვრძელდება იქამდე, სანამ ესპადა პრეზიდენტისაგან ესტოკადის<sup>2</sup> უფლებას მოითხოვს.

მოითხოვა, მიიღო, დაშნა წამოიღო, ხართან მივიდა. თავისი სისხლის-ფერი მუღელთა დაშნაზე ჩამოვიდა და ხარის გაღიზიანება, მისი კვეთებ-ბის უღამაზესი ილეთებით აცილება, უკანასკნელი ძალების გამოფიჭვა კანაგრძოლ...

მოვიდა დრო, მატადორი და ხარი პირისპირ დადგნენ. ესპადა მუღე-ტას მარცხენა ხელით არხევს, ხარს ძგერებისათვის აჯულიანებს. მარჯვე-ნაში წინ გაშვერილი დაშნა უჭირავს და იმ ერთადერთ ადგილს უმიზნებს, სადაც ხარმა სასიკვდილო ჭრილობა უნდა მიიღოს — ქედში, რომ ზერხე-მალს უწიოს. ხარი დგას, სულს ითქვამს. მერე გადამწყვეტ ნახტომს ასრუ-ლებს. მატადორი ქედში დაშნას სცემს და თავად კი ღერძის ფეხზე უღამა-ზეხი ბრუნით ეცლება ხარის ვეება რქებს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ დაშნის ჩარჭობისა და ბრუნის მომენტის აღქმას თვალი ვერ ასწრებს. და-შნა საკმაოდ ღრმად არის წასული, მაგრამ ხარი ფეხზეა. ტრიბუნები ღრი-ალებენ. მნელი მისახედრია იმიტომ, რომ მატადორს ალეთი მოუწონეს, თუ იმიტომ, რომ ხარი ფეხზეა. ესპადა ხელახლა ემზადება ხარის გასაგმი-რად.

1 ყორული, სჯიშე (ესპ.)

2 სასიკვდილო დარტყმა, განგმირვა (ესპ.)



მეორე ესტოკადა ეფექტურად შესრულდა. ხარი ქედში გარჯობილი დაშნით ერთხანს გაყუჩებული დგას, თითქოს, ამ წარმოუდგენელ ღრიალში სიკვდილის ფეხის ზმის მიგნებას ღამობდეს და პოცელდებოდეს.

აღსრულდა! მატადორი ტრიბუნებს ესალმება! ხალხი გრგვინავს. ქალები წინა რიგებიდან ხილაბანდებს ისვრიან. პლასა დე ტოროსი გაპარჯებას ზეიმობს.

— გათავდა? — მეკითხება ტომმი.

— არა, კიდევ ზოგი რამ საყურადღებო იქნება.

ბუნტილიერომ ხარს კისერში დანა ჩასცა, სულთბრძვა შეუწყვიტა. მერე პრეზიდენტის ლოჯასთან მიიბრინა, დაბრუნდა, ხარს ყური მოაჭრა, ტრიბუნებს აჩვენა და მატადორს საზეიმოდ მიაართვა.

— მბრძანებელი ვიყავ — ყურმოჭრილი მონის გვამი ვარ! — თქვა ტომმიმ.

ასპარეზზე ქუადრილია დე არასტრე ორი შებმული ცხენითურთ გამოვიდა. ხარს რქებში თოკი ჩააბეს, მეორე ბოლო საბმურს მიანასკვეს და გვამი ხალხის სტვენა-ყიჟინის თანხლებით გაათრიეს.

იმავე წამს ფოცხიან-ცოცხიანი მსახური გამოჩნდა, ასპარეზს აქა-იქ მიუსვამოუსვა და ტრაგედიის ნაკვალევიც კი აღარსად დარჩა.

— გათავდა? — კვლავ შემეკითხა ტომმი.

— არა. ეს არასოდეს გათავდება. მალე მეორე კორიდა დაიწყება... როგორც ყოველთვის.

— კორიდაზე გადარეულ ესპანელებს შეუძლებელია, ამ საქმის მემკვიდრეები რომ არ ჰყავდეთ. მატადორებს, ალბათ, თავიანთი ბიოგრაფოსები ჰყავთ, მაგრამ ვიღას გაახსენდება ის მშვენიერი, თავზეხელაღებული პირუტყვი, ასე უდიერად რომ გაათრიეს ვიღაც ნამძირალებმა!

— განადერიას — მეურნეობას, რომელმაც იგი გამოზარდა! ისინი თავის მატთანებში შეიტანენ: ამა და ამ ძროხისა და კუროს ბოჩოლა ღირსეულად მებრძოლი დადგაო. ჯიჰადგირთა თანამედროვეთ და ჩამომავალთ თავიანთი პირუტყვი წინაპრის საბრძოლო ღირსებათა დაფიქსირება უყვართ, მაგრამ არ უყვართ მის ყოვლის მომსპობელ და ამომძირკვავ მოქმედებაზე სხვათა ყურადღების გამახვილება!

ტრიბუნები გრგვინავდნენ, მატადორისთვის ტრიუმფს მოითხოვდნენ.

— Кричали женщины: ура! и в воздух чепчики бросали! — ჩაილაპარაკე და ტომიმ თარგმანი მომთხოვა.

უთარგმნე. ღიმილი დაუბრუნდა და მითხრა:

— მე ეს ვნახე! მეტი აღარ მინდა. სადილის დროა. მე „ველასკესში“

1 ქალები ვაშას გაჰკიოდნენ და ჰაერში ჩაჩებს ისროდნენ (ა. გრიბოედოვი).



ვცხოვრობ. გპატივებ.

„ველასკესის“ ხსენებაზე, ტომის მატერიალური შესაძლებლობები გარშემო თუკი რამ ეჭვი მქონდა, მყისვე გამიქარწყლდა. ეს სასტუმრო და მისი რამოდენიმე რესტორანიც უმაღლესი რანგისაა.

— მდიდარო და მშვენიერო ქალბატონო თამარ! მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი საფულე ხმელზე ამოგდებულ თევზივით დაფავს სულს. მინდა გაცნობოთ: ჩემი მამრობითი სქესის მშობელი უახლოეს მეგობრებსაც კი არასოდეს წაჰყოლია რესტორანში, თუ მთელი სუფრის საფასურის გადახდის გარანტია არ ჰქონდა...

— ხშირად ქეიფობდა?

— საკმაოდ.

— ჩემზე მდიდარი და მშვენიერი ყოფილა!

— ეჭვი მეპარება, მაგრამ ეჭვს გარეშეა, ისე დაასრულა სიცოცხლე, რომ ქალს მისი სადილის ფული არ გადაუხდია. ქართველებში ასეა მიღებული. კაფეში შევიდეთ, თამარ!

— გორ, რაც ვნახე, დავწერ და შტატებში გამოვაქვეყნებ. რა თქმა უნდა, აღენიშნავ, რომ კონცეფცია შენია — გვართ, სახელით, გორ! ჩვენი ქვეყანა იდეებში მეტ ფულს იხდის, ვიდრე საქონელში. „ველასკესში“ შენ წილად რაც დაიხარჯება, კუთვნილ ჰონორარად ჩათვალე.

— მოვდივარ! — ხელი ჩავიქნიე.

სადილი, თითქმის, დამთავრებული გვექონდა, ჩაროზს შევექცეოდით. მოგზაურობათა ბიუროს კაცი მოვიდა, ტომის თვითმფრინავის ბილეთი მოუტანა. კორდოვაში მგზავრობასა და იქ სასტუმროში მოწყობაზე იყო საუბარი.

— როდის მიფრინავ, თამარ? — გულდაწყვეტილ ვკითხე, როცა კაცი წავიდა.

— ხვალ დილით, რვა საათსა და ათ წუთზე მადრიდის ღროით! — თითქოს ნიშნისმოგებით მითხრა.

— სამწუხაროა! — მივუგე მე გულწრფელად.

ტომიმ ერთერთი თავისი ღიმილი შემომანათა და თქვა:

— შენ საშინელი კაცი ხარ, გორ! შელეწილი და მიწასთან გასწორებული ციხე-ქალაქების ქვა-ღორღით აშენებული. ვშიშობ, შენთან ამ ხანმოკლე ურთიერთობამაც კი სილაღე და ღიმილი ჰირქუშობით არ შემიცვალოს.. სჯობს, ცალ-ცალკე აღვასრულოთ ჩვენი სუერტე დე მუერტე!

მაგიდას რამოდენიმე ნაბიჯით გამოცილებული ვიყავით, უკან მივიხედე, „CGB“ მაგიდაზე იღო.

— წიგნი გრჩება, თამარ! — ვაცნობე და მოსატანად გავიწიე.

— არ გინდა, დარჩეს, აღარ მჭირდება! — შემაჩერა ტომიმი. — მე ეგ დღეს, კორიდაზე ვნახე.

ერთმანეთისთვის მისამართები არ გამოგვირთმევია.





წინაპარს ჩემსას  
უცხოვრია მართლა კაცურად,  
ღვევებს ეომა,  
მთაც მოდრიკა,  
ზღვაც გადასცურა...  
იყო ძლიერი,  
არ ეჭირა თავი ზვიადად,  
ხეს შეჭხაროდა,  
ყურს უგდებდა ია-იათაც.  
იყო მაღალი, —  
თვალი ცისკენ არ გაურბოდა,  
მთელი პლანეტის  
ლამის გულში ჩაკვრა უნდოდა.  
იყო, მდიდარი,  
თუმც არ ედგა სრა-სასახლენი,  
ფველა სიმდიდრეს ანაცვალა  
კაცის სახელი;  
დროშა სიმტკიცის,  
დროშა რწმენას  
ხელში სჭერია  
და ასე უთქვამს:  
— აჰა, ახლა თქვენი ჯერია!



მესიზმრა: ბავშვი გავედი ვეღად  
და შენთვის ვკრეფდი ვარდებს  
მეწამულს...  
არა, სიზმარის არასდროს მეჯერა,  
ეს სიზმარი კი მინდა ვიწამო.

სასწაულებიც ხანდახან ხდება:  
ცა გადმოგაუფნს მთელ მის  
სინაზეს,

ხე შემოგცინებს,  
ხან შემოგწყერება,  
ჩიტი მოგძახებს კაცის ენაზე.  
ისევ მოგაგნებს გაზაფხულები,  
როცა ყოველი, ფიქრობ,  
მოთავდა...  
მიტომაც გვჯერა სასწაულების,  
გავვიადვილოს ყოფნა მოკვდავთა.



ბავანთ და მავანთ აღარ ვახსოვარ,  
მეგობრებსა და სახლიკაცებსაც,  
ვისი ღიმღილიც სულს ჩამექსოვა,  
თვალს მიხარებდა და გულს  
მტაცებდა.

თუმც დარდის ჭია აღარ  
ბასვენებს,  
მაინც არ მინდა ვინმეს მივწერო,  
ვინც დამივიწყა, თავს არ  
ვახსენებ,  
ნეტა სიკვდილმაც არ გამიხსენოს!



ცელის ტოტი აყვავილდა  
ჩემთან სურამი,  
ვინატრე გულში:  
იყვავილოს ბარემ სულ ასე!

კეთილი გულით მომაწოდა  
ხელმა კეთილმა,  
მიტომ იხარა  
ოთხ კედელში გამოკეტილმაც.  
და ელიმებათ  
მშვიდად,  
ჩაზად,  
თბილად,  
ტკბილადაც  
ყვავილებს —  
ჩემი მყუდრო ბინის  
ლამაზ ბინადართ...  
იელო ჩემო,  
მე რა მოგეც,  
რა გიწილადე,  
ეგ იყო მხოლოდ,  
არ გაკლებდი წყალს და  
სინათლეს...

გწითლდები ზოგი უმაღური  
კაცის სიმდაბლით, —  
სულსაც მისცემ და  
არ დაგიმადლებს.

დღეო, დღეო, პირნათელო,  
გავსილხარ და ნეტარ შეგნი;  
მუდამ თვალს რომ მარიდებდი,  
რა მეძართა ნეტავ შენი?  
მე კი შორი-შორით გცნობდი,  
(ვინც ვერა გცნობს—ბრალი მისი!)  
განა რამე შემოგებდე  
უმგევანი და უკადრისი:  
ნურც ნიავექარს შემადარებ,  
ნურც გეცვლები მძინარეში,  
გეყო, ნულარ შემაცურებ  
დავიწყების მდინარეში!

ჩემივე ფიქრით ვლელავ და  
ვხარობ,  
ოცნებას ცისფერ აფრებად  
გავშლი.  
წამოდი, ზღვაში კენჭები  
ვთვალოთ,  
მაგრამ, თუ გაჯობს,  
ნაბირზე დარჩი.  
ვუსმინოთ ქართა საამურ  
ჟღერას,  
ღულში სინათლედ აგვინთებს  
კოცონს,  
მინდვრის ყვავილებს დაგიკრეფ  
ფერადს,  
მაგრამ შენ იქნებ  
აყაჩაო მოგწონს?  
თუ გამიმჟღავნებ ნატვრას და  
სურვილს,  
შენს შესაწირად მავედრე გამჩენს,  
უკვდავების წყალს მოგართმევ  
სურით,  
მაგრამ შენ იქნებ  
წყაროს წყალს არჩევ?





## ნაცრისფერი

...შეფი კვახია, კვახია უფუნწო...

შარშან ზამთარში საბეჭდი მანქანა მაჩუქა (დაბადების დღის აღსანიშნავად). ჩემი ხელმოკლეობის ამბავი კარგად იცის, მაგრამ მაინც არ ველოდი მისგან ასეთ რამეს — გამიკვირდა. ამაყ ქალად მთვლის. ხელი გამიშართა ტაქტიანად ვითომ... მეორე კვირაში რაღაც აბღა-უბღა მოჭიტანა დასაბეჭდად (სამ ეკუმპლარად) და ამიხსნა, რომ ამით „სიგარეტისა და ხესესერისათვის საჭირო ფულის გაკეთება“ შეიძლებოდა...

ეშმაკი და მოხერხებული კაცია-მეთქი, რომ ვთქვა, — არ იქნება მართალი, მაგრამ ეს ამბავი კი კარგად გამოუვიდა. კარგად—ე. ი. მოხერხებულად... ადრე მეგონა, რომ მაგისი მოკლე ჭკუიდან ნაშობ აზრებს კილომეტრიდან ამოვიცნობდი. მთლად ასეც არ ყოფილა, თუმცა მაინც კვახია; კვახია უფუნწო... ვბეჭდავ ამ აბღა-უბღას და ვუშვებ უამრავ შეცდომებს (ლათინურის გაგებაში არა ვარ)...

...რაო — იკითხა ხმამაღლა. ჯერ ჩუმაღ იყო ერთხანს, მერე ენის ბორძიკით წაიკითხა, — ადი-პოზურ-გენიტ-ალური დისტრო-ფია...

„...შარშანდელი ზამთარი სულაც არ გავდა წლევეანდელს. უფრო სწორად, — პირიქით... წელს ძალიან ურევს ამინდი. შარშან იანვარში ქლიავი აყვავდა. მაშინ გუნებაში ვხუმრობდი, ქლიავი გამოქლიავედა-მეთქი და მეცინებოდა. ჰო, მართლა!...“

...ჰო, მართლა! ქლიავს რვა საათზე უნდა შევხვდე კაფეში, — თქვა ხმამაღლა. გაიდიმა და დაუმატა (ისევ ხმამაღლა), — ბოლო პაემანი ყოველთვის საინტერესოა, თუ ალიყურით არ მთავრდება. სანაძლეოს ვდებ (ორი კვირა ხმას არ ამოვიღებ), თუ ქლიავი შეფხე არ ეჭვიანობდეს. რაო? — წამოიძახა, — ჰოო, ევნუ-ხო-იდიხში... ჰმ, საცოდავები!

განაგრძო ფიქრი და ბეჭდვა.

„...თუმცა ნამდვილად აქვს საფუძველი, თავი დამანებოს. არ მიყვარს, თითქმის მომბეზრდა. იმას კი არ სცალია (სადაცაა „საკანდიდატოს“ დაცვს — მოკლედ, მწიფდება...) ორი კვირის წინ შეფი ნახა ჩემთან. გამოხედვაზე შევატყვე — გადარიდა. თუმცა შეფი მართო კი არ იყო ჩემთან. თავის ბავშვთან ერთად იყო...“



ბავშვი კი არა, — წიგნია! — წამოიძახა...

„...მაგ რომ ტიტინს დაიწყებს, ასე მგონია, სამეცნიერო-პოპულარული ფილმს უყურებ. არა-და, მამამისი როგორი სიამოვნებით უსმენს ხოლმე (აქაო-და, რა ჭკვიანი შვილი მყავსო)... არა, ასფურცელას გარეგნულად გტყობა, რომ სხვანაირი ბავშვია. ყველაფერი იცის. ისიც კი იცის, შეფი ცოლს იმიტომ გაშორდა, რომ ეს უკანასკნელი მაკრატლთი ჭრიდა კარტოფილს“...

ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა და გადასაბეჭდი ტექსტიდან ხმამაღლა ამოიკითხა — ლანგერჰან-სის კუნძულები!...

„...საინტერესოა, ეს თუ იცის?! სად არის. ლანგერჰანსის კუნძულები. აუცილებლად უნდა ვკითხო... თუ არ იცის, რუკაზე დაუწყებს ძებნას, ჰიჰ!.. მაშინ კი ნამდვილად გამაკვირვა, ჩემთან რომ იყო სტუმრად. შეფი სავარძელში მოკალათდა, მისი ასფურცელა კი ტაბურეტზე აბობლდა, ფანჯარაში გადაეყუდა და შიდა ეზოს ჩააცქერდა, ქვემოთ კი (ე. ი. შიდა ეზოში) ტყუპები: კოკა და კოლა თამაშობდნენ და კინკლაობდნენ. საერთოდ, არ მიყვარს, როცა ბავშვებს ყასიდად ეფერებიან ხოლმე, მაგრამ მაინც კეფაზე მივუალერსე და...“

რაო? — წამოიძახა, — სეპტიკო-ემია... ჰო!..

„...ჰო! მივუალერსე და ვკითხე, გინდა, დაბლა ჩავიდეთ ეზოში? კოკა და კოლა ჩემი მეზობლები არიან, გაგაცნობ-მეთქი... მომიბრუნდა და შემომიბღვირა, — კოკა და კოლა შენი მეზობლები კი არა, ტროპიკული მცენარეები არიანო. მიბრუნდა და ჩააცქერდა ისევ ეზოს. დავიბენი. შეფისკენ გავიხედე, იმას არაფერი გაუგონია (ნაბეჭდებს ათვალეერებდა კორექტორის თვალით). არ გაუგონია, თორემ... და მაინც, როგორ გამეხარდა, როცა ასფურცელაში ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა. ჩამობობლდა ტაბურეტიდან (სხვათაშორის, ექვსი წლის არის ერთიც და მეორეც), მაჰამისს გასაძახა, ძალე დავბრუნდებიო, გააღო კარი და დინჯად დაუყვა კიბის საფეხურებს“...

...რაო? გლიცერინიო? — რატომღაც გაუკვირდა და ტექსტს კირკიტი დაუწყო. ჰო, ნამდვილად ასე სწერია, — დაასკვნა და „ხმამაღლა“ დაბეჭდა ღამრცვლით, — გლი-ცე-რი-ნი!..

„...გლიცერინის საცხი მჭირდება. აუცილებლად უნდა ვიყიდო ხვალ-კე... შეფი კვახია: კვახია უყუნწო... ასფურცელამ კარი გაიხურა თუ არა, ჯგერევე მომაშურა (მე ტაბურეტი გვერდზე გავაჩოჩე და ფანჯარასთან ვდგავარ), აქაო-და, ჩემი შვილი სად წავიდაო, არაფერი მოუვიდესო. მოვიდა და მომეკრო მარცხენა ბეჭზე. ვითომ ბავშვზე წუხს. ლაპარაკობს და ამონასუნთქ ჰაერს ყურში მათრთქლებს. ჰმ! საცოდავი! რა ეშველებოდა, ფანჯრის ორივე კალთა რომ გამოღებული ყოფილიყო. მაშინ ზომ ფანჯრიდან „გადასაყუდებელი“ ადგილი ორი ადამიანისათვის საკმარისი იქნე-



ბოლა. ახლა ვითომ სივიწროვის გამო მეწებება, შიდა ეზოს ჩასცქერის კისერწაგრძელებული; ჰმ, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ ის კი არ აინტერესებდა, ასფურცელა ვისთან თამაშობს, არამედ...

...ენ-ტე-როო-რე-ცეპტო-რე-ბი, — ლამის ენა მოიტეხა ამოკითხვისას...

...თითები მტკივა. რომელი საათია, ნეტავ?... ადგომა მეზარება. ე. ი. სანამ არ დარეკავს, ვერ გავიგებ... არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ ღღეს გავიგებ, რომ შეფი თავისი ჯიბიდან მიხდის ფულს. მოკლედ, ტყუილად მაბეჭდინებს. ეს კიდეც, საბეჭდი მანქანისა და ბეჭდვის იდეა, სულაც შეიძლება თავისი მეზობელი მესამეკურსელისაგან დაეხადა... ასფურცელა, კოკა და კოლა ერთად დადგნენ და ხითხითი დაიწყეს. ფანჯარას მოვშორდი, სავარძელში ჩავჯექი და ტრანზისტორი ჩავრთე..."

...ჰმ, კარგი რამ არის ტრანზისტორი, — ჩაიქირქილა...

...ჭახ! — ბუდაპეშტი, ტკაც! — ტელ-ავივი, ბაც! — ბომბეი..

ექვსი შესრულებულა... ათ წუთში დავუსვამ წერტილს ამ აბდაუბდას... ერთი წუთის შემდეგ შეფიც მოშორდა ფანჯარას, სავარძელი მოაჩოჩა და გვერდით მომიჯდა. შევხედე თვალებში. როგორი თვალები აქვს, იცი?... ექთანი მეუბნებოდა, ღორს აქვს ეგეთი ფერადი თვალები; ღორისათვის თვალებში არასდროს ჩამიხედავს, მაგრამ იმ ქალის ნათქვამი დავიჯერე და რატომღაც კარგად დავიმახსოვრე... ვიცი, ჰვონია, ასფურცელა მოხერხებულად მოვიშორე თავიდან და ველოდები სასიყვარულო სიტყვების კანონადას... სწორად გამოვიცანი. დაიწყო... შენ ჩემთვის ესა ხარო, ისა ხარო. გამომიჭედა ყურები (თან ხელზე ხელს მიჭერს ისეთი ძალით, რომ ლამის მეზობლებს მოვუხმო საშველად...) ახლა რომ ვაანალიზებ, ეტყობა, ცოლობას მთხოვდა. პასუხზე ნუ იჩქარებო, — მეუბნება. მე კიდეც, მელიძემა (ხელს აღარ მიჭერს), გრძელ ტალღაზე რაღაც სასაცილოს ყვებოდა წრიბინა ხმა... "

...ოლიგოდენ-დრო-გლია, — სწორად ამოიკითხა და შეცდომით დაბეჭდა. გაასწორა შეცდომა და ჩაიცინა...

...იხე, ჩვენში ღარჩეს, საკმაოდ სწრაფად ვებეჭდავ. მერე რა, რომ შეცდომებს ვუშვებ? მთავარია, რომ სწრაფად ვებეჭდავ. ალბათ სტუდენტები კმაყოფილები არიან, რადგან დროულად ვუბეჭდავ ამ აბდაუბდას... მხარზე მომხვია ხელი, დიდხანს ამზადებდა ტუჩებს საკოცნელად. ის-ის იყო, „დაიდრა“ ჩემსკენ, რომ სივარეტი გავიჩარე პირში და ვეუბნები, მომიკიდე-მეთქი... საცოდავი! ლამის ყბა ჩამოუვარდა სასოწარკვეთისაგან. ძლივს მომიკიდა... გავაბოლე... მერე უცბად, არ ვიცი რატომ მაინცდამაინც იმ მომენტში, ანაზღუელად ვეკითხები, — რატომ ჭრიდა შენი ცოლი კარტოფილს მაკრატლით-მეთქი... ჰა-ჰა! სულ წახდა... დამუნჯდა ლამის; ამასობაში ასფურცელა შემოვარდა ბრახუნით, შეფს კალთაში ჩაუხტა და ეკითხება, — მამი, დავუშვათ არასრულწლოვანმა ჩაიდინა სისხ-

ლის სამართლის დანაშაული, გამოძიების პროცესში კი — ასაკი შეუსრულდა, როგორ დასჯიან, როგორც არასრულწლოვანს, თუ როგორც დამანებეთ! — იკივლა შეფმა. შევხედე. არა, სახეაჭარხლებულ მამაკაცს ნამდვილად არ უხდება ჭაღარა...“

...აი, ოზენას კი ნამდვილად უხდებოდა, — ჩაილაპარაკა წარბშეჭმუნით, — მორჩა, ესეც — ასე! ხვალ დილით მივართმევ კაბინეტში.

საბეჭდი მანქანა გვერდზე გადადგა. დაბეჭდილი თაბახის ფურცლები ერთად მოავროვა, დათვალა. თვრამეტი მანეთი, — ჩაიბუტბუტა...

„...ახლა დაიწყება ისევ ძველებურად: ჯერ სიჩუმე ჩამოვარდება, მერე ღუმილი ამეკვიატება. არა, ზოგჯერ ხმამაღალია, უნდა ვილაპარაკო ისევ, ტრანზისტორიც უნდა ჩაერთო“...

...ჩართო და მიაყურადა...

„...რას ერჩიან სპარსელები ერაყელებს, თუ პირიქით... კერ გაძივია. იაპონიაში მიწისძვრის ამბავს რომ დაამთავრებენ, დაიწყება კონცერტი „თქვენი თხოვნით, ძვირფასებო“... ვინ იცის, იქნება საინტერესოც კი აღმოჩნდეს... კონცერტამდე და კონცერტისას ჩემს თმებს მივხედო, სჯობს... ძალიანაც კარგია, რომ წარბების გამოქნა არ მჭირდება“...

...სარკესთან მივიდა, დაჯდა და ტრანზისტორიც გვერდით მოიდგა. შეხედა საკუთარი თავის ანარეკლს. გაუღიმა გაცრეცილ სევდიან სახეს, დაღლილ თვალებს, აწურულ მხრებს. შეათვალიერა დაუვარცხნელი (უფრო სწორად დასავარცხნი) თმები, პატარა თავი მაღალ კისერზე. ჩაფიქრდა ისევ...

„...თქმები უნდა შევიღებო, აუცილებლად... მაინც, რატომ მიყვარს სარკესთან ჯდომა, ჰა? სულაც არა ვარ პრანჭია (ოზენა ამაში ტყუილად). არც თავი მაქვს დიდი (ამაშიც ტყუილად)... ალბათ იმიტომ ვიყურები სარკეში ხშირად, რომ ჩემივე სახე არ დამავიწყდეს. ცხოვრება ისე მაქვს აწყობილი, სულ სხვის სახეებს ვუყურებ... ჩემი მსგავსი გარეგნობის ქალი რომ შემხვდეს სადმე, შეიძლება ვერც კი მივხვდე, რომ მგავს... ასეა, ასე!.. ოჲო, უკვე დამაღა თავს ღუმილი!... კიდევ საათნახევარი უნდა გავუძლო. თუ ვეღარ გავუძლებ, დავიწყებ ისევ ლაპარაკს — ე. ი. ხმამაღლა ვიფიქრებ. მაშინ კი მომეშვება... არა, მაინც ვისა ჰგავს ღუმილი, ჰა?... არცერთ ჩემს ნაცნობს და ნაცნობ მსახიობს — ყოველ შემთხვევაში. ღუმილი ალბათ ჰგავს სიკვდილს. ეს უფრო შეიფერება, მაგრამ სიკვდილი არ მინახავს. ღუმილი იგრძნობა ზურგსუკან უფრო მძაფრად, ვიდრე ცხვირწინ, ამაში დაერწმუნდი დიდი ხანია. გულხელდაკრეფილი ღუმილა ზურგსუკან მძიმეა — მაწვალებს. აი, როცა დასაძინებლად ვწვები, მაშინ ხომ მაფორიაქებს და წერეებს მიშლის — ჩამოძივდება საწოლზე ფეხებთან და მიყურებს თვალებში დაჟინებით, როგორც ახლა. არა, უფრო დაჯინებით და გამჭოლანად, ვიდრე ახლა... დავიწყებ ხოლმე ბუტბუტს უაზროდ, მერე ხმამაღლა



ვლასარაკობ. ღუმილი მისმენს და ხმას არ იღებს, არც ადგილიდან იძვრის, სანამ რამეს აზრიანს არ ვიტყვი, აზრიანი წინადადების თქმას კი ძალის-  
წინ ვონების საკპარისად დაძაბვა ჭირდება, ეძაბავ ვონებას. ბოლოს ეძა-  
ბობ, როგორც იქნა, აზრიან სიტყვებს — ბავშვობას ვიგონებ. ვვებობ, რო-  
გორ მოვიპარე ვაშლი მეზობლის ბაღიდან. ღუმილს ვაძევებ, მაგრამ აღარ  
ბეძინება. სიჩუმე იმდენად არ მაწუხებს. (ფანჯარა ქუჩის მხარეს ყოველ-  
თვის ღია მაქვს, ტრანზისტორი — ჩართული) — ეს იოლია... რული მომე-  
კარება თვალს თუ არა, ისევ ამეტუხება და ისე უხეშად ჯდება (არა, კი  
არ ჯდება, დაეხეთქება ხოლმე საწოლზე ჩემს ფეხებთან), რომ ვკრთები  
და ვუხიზლდები... ისევ ისე ზის და მიყურებს დაჟინებით და გაძჭოლა-  
ვად... მინდა ვიტირო, ვიბავლო, ცვოფდები. ღუმილის მოხრჩობა მინდა.  
წამოვვარდები და ხელის წაწლებას ვცდილობ“...

...ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა...

„...უხორცოს ვერ მოიხელთებ. უსულოს ორსულობა უკვირს... მერე  
რა? მერე ის, რომ თავი და თავი ჩემი მარტოობაა. ვებრძოდი ყოველთ-  
ვის, მაგრამ მარტოს არაფერი გამომდიოდა... ოხენა დაიღუბა, ქლიავი არ  
გამომადგა, შეუი კი კვანია. კვანია უყუნწო... კონცერტიც დაიწყო!.. ვვე-  
ლაფერს ამას ბოლო მოეღებოდა, ბავშვი რომ მყოლოდა... ჰო, ახლა მეორე  
ოთახში რომ ჩვილი ბლაოდეს, მეშველებოდა... მაგრამ სად არის მეორე  
ოთახი? — არა მაქვს!...

...სად არის ბავშვი? — იკითხა ხმამაღლა, — მთავარი... ეს არის და  
არა მეორე ოთახი... ისე, თუ მოვინდომებ... (თითებზე ითვლის) ჰო, ივლი-  
სში ან აგვისტოს დასაწყისში გავავორებდი ბავშვს... ოღონდ აუცილებ-  
ლად გოგო უნდა იყოს. ბიჭი თუ იქნა, ქლიავს დაემგვანება... გოგო... აუცი-  
ლებლად?... სასაცილოა.

„...მაინც როგორ მიყურებს ღუმილი, ჰა? ფეხსაც არ იცვლის ხოლმე.  
არ იღლება მაინც?... დღეს ნერვები არ მეშლება — რა კარგია!... იდგეს და  
მიყუროს რამდენიც უნდა... არც თოვს, არც წვიმს, ყველაფერი ნაცრისფე-  
რია... როგორც ჩემი თვალის უბეები, ჰმ!.. ოხენა ამბობდა ხოლმე, — ღუ-  
მილი ამოჩაწული ტანსაცმელივით უხერხულიაო... ჰმ, ზოგჯერ მომწონდა  
კიდევ მისი ნათქვამი, მაგრამ მერაღი ენა არავცს უზდება, ნამდვილად...  
გადაამლაშებდა და საშველს აღარ დააყენებდა ხოლმე... მერე რა, რომ არ  
მესმის ის, რაც იმას ესმოდა? ქალებს ორასი გრამით ნაკლები ტვინი  
გვაქვს მამაკაცებთან შედარებით... ასეა, ასე!.. მარტოობა იმასაც უჭირდა.  
მარტოობა ყველას უჭირს... განდევნისაც. მარტოობა ცუდია. აი, განმარ-  
ტოება კი ყველასათვის საჭიროა. ადამიანი თუ არ განმარტოვდა, ისე საკუ-  
თარ თავს ვერ ჩაუღრმავდება. საკუთარ თავში ჩაღრმავება კი ყველასათვის  
აუცილებელია... შეფისათვისაც... მართალია, კვანია, მაგრამ იმისათვის სა-

ჭირია... როცა აქეთ-იქეთ აწყდება, შენი თავი გავიწყდება — ცუდია, ყველაფერზე ცუდია...”

სავარცხელი ნელ-ნელა გადაისვა თმებზე. ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ. გერე შუაზე გაყო შლილი წაბლისფერი — ნახევარი მარცხნივ გადავარცხნა, მეორე ნახევარი, რა თქმა უნდა, მარჯვნივ. ჩაეცინა.

„...ვარცხნილობა... რა მარტივია და რამდენად დიდმნიშვნელოვანი... კაცისთვისაც, ქალისთვისაც... ვარცხნილობა როგორ ცვლის სახის გამოქვეყნებას?! მოხდენილი ვარცხნილობით ყვეენი შეიძლება სანდომიანს დაემსგავსოს...”

...მოვწიო, — დაეკითხა საკუთარ თავს, წამოდგა, თითები გაატკაცუნა. ახლალა შენისა, რომ აქამდე ფეხს აბაკუნებდა იატაკზე მუსიკის რიტმის შესაბამისად.

„...მართალია — მუსიკაში ყველაზე იოლად აღსატქმელია რიტმი. ამიტომ არის — ყველა აკაკუნებს, როცა უსმენს, უმრავლესობა ცეკვავს. ზოგიერთი ცეკვავს მოხდენილად ისე, რომ არც კი უსმენს მელოდიას...”

სივარეტს ეძებს... ცარიელ კოლოფს მიაგნო, ამოიხვინა და დაჭმუჭნა. არა მქონია, — დაასკენა...

...არა-და მქონდა, კარგი იქნებოდა — სარკის წინ მოვწევლი. რა ახირებული ვარ?... რატომღაც დღეს ყველაფერი ნაცრისფერი?... ზამთარია, უქმური ზამთარი... მაგრამ სხვა დროს არ ყოფილა ასე ნაცრისფერი... არც გუშინ... ნეტავ, სხალ როგორი იქნება?... ოზენას არ უყვარდა ზამთარი, ოზენას უყვარდა ზღვა და მზე, ყველგან და ყველაფერში ეძებდა სითბოს, არ უმართლებდა... მე მგონია, რომ ვუყვარდი, თუმცა გარეშე ვერ შეატყობდა გულის ნადებს. ვინმეს შეიძლება „მსახიობიც“ ჰგონებოდა... არა-და, არ იყო... მამბრანებდა — თავკომბალას მეძანდა... სულაც არა მაქვს დიდი თავი...”

მიუბრუნდა სარკეს და ჩამოჯდა ისევ უწინდებურად.

„...დღემილი არ მომეშვება, სანამ ბავშვობის მოგონებებს არ გადმოვულავებ... უკვე ნერვები მეშლება, არ ვარგა?... ნერვები მეშლება... ქლიავმა პაემანი კაფეში დამითქვა და არა — სხვაგან (მაგალითად, ბარში), კონკრეტული და მკაცრი ფესტია, ჰმ! ...ადრე ბარში მპატიჟებდა ხოლმე, ჰმ!... ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემთან ცეკვა არ უნდა და ამას ხაზს უსვამს... როცა ჯერ გსურს იცეკვო იმასთან, ვისთანაც სიამოვნებით გიცეკვია ადრე, ეს შვევ ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს... ასეა!... დღევანდელი პაემანი ბოლოა და ნაცრისფერი. რაღაც მენანება, რაღაცას დაკარგავ მაინც... არ ვიცი — რას, მაგრამ უეჭველად დაკარგავ, ვგრძნობ. ქლიავი, რა თქმა უნდა, თავისი გზით წავა... ოზენა მეუბნებოდა, — „ჩვენ შემთხვევით აღმოვჩნდით ერთმანეთის გვერდით, როგორც შუქნიშნის წითელ შუქზე ორი მეზობელი მანქანა, გაივლის დრო, ისევ შეჩერდები შუქნიშნთან, გაიხედ-გამოიხე-



დავ-სხვების გვერდით აღმოჩნდები... გული დავწყდება, მაგრამ მაინც ვე-  
ლაფერს დაივიწყებ“... ოხენა ჩემზე და საკუთარ თავზე ლაპარაკობდა... მი-  
სი სიტყვები ქლიავთან ჩემს ურთიერთობას დაშენებოდა. <sup>გაფრთხილებს</sup> ~~გაფრთხილებს~~  
სულაც არ მომწონებია ოხენას „ხატოვნება“. ეგ კი არა-და, გაცნობილებუ-  
ლმა საფერფლე ვესროლე... იმან კიდეც, შეიგინა მყარად, როგორც იცო-  
და — ისე... საფერფლე არ გამტყდარა, მაგრამ იმ დღეს ტომატის ქილა  
მაინც გავტეხე: რძისათვის ჩავედი მაღაზიაში (ოხენას რძე უყვარდა, თა-  
ნაც — ცივი). გამყიდველს ვეკითხები, რძე გაქვთ-მეთქი. არაო, — მპასუ-  
ხობს. ოხენასაგან ნერვებმოშლილმა დაუჟკაკუნე, — ყოველთვის გქონდათ  
და რაღა ახლა აღარა გაქვთ-მეთქი... მერძევემ ამხედ-დამხედა (არ უნდა  
დამეწყო ჭიჭყინი), ჩაიცინა და მითხრა, — გამიშრაო... ამაზე სულ გავცო-  
ფდი, ავიღე ჩანთა და დავახეთქე დახლზე, — თქვენ მე ვინ გგონივართ-  
მეთქი, ტომატის ქილამ ჭახანი გაიღო... მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა ჩან-  
თაში, სწრაფად მოვბრუნდი და გამოვვარდი მაღაზიიდან. მოვდიოდი და  
მოვატყეპმალებდი ტომატს ჩანთით... გული კინაღამ ამერია, როცა წარ-  
მოვიდგინე, როგორ ააზილებოდა ერთმანეთში ტომატი და ზეფირი... ავ-  
ტირდი, მთლად მომეშალა ნერვები... ავიღე და სანაგვე ყუთში ჩავუძახე  
ველაფერი: ჩანთა ტომატიან-ზეფირიანად... შინ მოვბრუნდი. საწვიმარი  
არც გამიხდია, ისე დავეგლე სავარძელზე. ოხენა იჯდა, სიგარეტს ეწეოდა  
და გაზეთს კითხულობდა. ხმაც არ ამოუღია. ეგეთი ტაპი იყო — არ შეგე-  
კითხებოდა, — „რატომ?“ — თუნდაც კისერი მოგეტეხა მის თვალწინ.  
თვითონაც ვერ იტანდა იმ „რატომ“-ს და იმიტომ. მოვრთე ღრიადლი.  
ცრემლები ღაბა-ღუბით მდიოდა. ვყვებოდი, როგორ გამომიყვანა წონას-  
წორობიდან მერძევემ... მომისმინა. მერე მოვიდა, წკიპურტი წამკრა და  
მითხრა, — მშაო. მაშინ კი დაუჟკივლე, — თავიდან მომწყდი-მეთქი...  
მხრები აიჩეჩა. აკი გეუბნებოდი, თავკომბალა ხარო, — თქვა, ჯახურა კა-  
რი და წავიდა...

...რვის ნახევარი ყოფილა, — ჩაიბუტბუტა...

„...ისე ვიბრანჭები, ვითომ წერტილის დასასმელად კი არ მივდიოდე  
ქლიავთან, არამედ... რა უცნაური! არა, აბა ფეხთუმივით ხომ არ მივაღ?...  
ქალი ყოველთვის მოხდენილად უნდა გამოიყურებოდეს (მაშინაც კი —  
როცა არავინ უყურებს)...“

...მშაო, — თქვა და დაიჭყანა...

„...ჯობდა, სულაც არ ჰქონოდა ადამიანს კუჭი. ანდა, ისე ჯობს,  
მიუნჯაუხენი რომ ამბობდა — გამოაღებდი, ჩაალაგებდი სტომაქში და მო-  
რჩა — გაძლებოდი... რა უღმობელი კანონია: თუ არ ჭამე — მოკვდები.  
თუ მაღა არა გაქვს, ძალად უნდა ჭამო, რომ არ მოკვდე!.. უქმად დაკარ-  
გული დროა, თუ არ ქეიფობ, როცა რაღაც გიხარია და ქეიფობ, მაშინ  
საჭმელი სულაც არ არის საკვები. მაშინ ვველაფერი არის ერთი მთლია-

ნობა დაქვემდებარებული იმაზე, რაც გიხარია... ამ ღროს შეიძლება ქათ-  
ნის ბარკლის ჭამისას მოყოლილი ანეკდოტი (უფრო სწორად, პირველი) <sup>მეორე</sup>  
ტკბილად მოგაგონდეს. მე თვითონ ბადრიჯანთან ძალიან ტკბილი <sup>შეგონებები</sup>  
ბები მაკავშირებს... ბადრიჯანზე ნიორი იყო წასმული, მაგრამ ნიორზე  
ცუდი რამეები მახსენდება... მთავარი მაინც ბადრიჯანია, გინდ ნიგვზით  
იყოს გაკეთილშობილებული, გინდაც — ხმელი სუნელით, ბროწეულით...  
დიდი სიამოვნებით გეახლებოდით ახლა ბროწეულს“...

ტანთ გამოიცვალა.

„...ჩექმებიც ნაცრისფერია, პალტოც...“

გამორთო შუქიც, ტრანზისტორიც.

„...ლუმილი კარამღე მომაცილებს. გამოვკეტავ ჩემს ნაცრისფერ ბინას.  
კარს იქით სიჩუმე ჩამოვარდება, როგორც წერტილი... მერე გაიფუყება,  
გაავსებს მთელ ბინას და დაისადგურებს. სიჩუმეც ნაცრისფერი იქნება...“

კიდევ ერთხელ გადაატრიალა გასაღები საკეტში და კიბის საფეხუ-  
რებს დაუყვა. გამოვიდა სადარბაზოდან. ქუჩა სველი იყო. ციოდა.

„...ტროტუარი განათებულ ადგილებზე ბაცი ნაცრისფერია, ჩრდილში  
— რუხი...“

საყელო აიწია, ქუდქვეშ შეიკეცა შუბლზე ჩამოშლილი თმა, შეათვა-  
ლიერა გამვლელ-გამოვლულები.

„...ყველას ცივა, აბსოლუტურად ყველას (ყოველ შემთხვევაში — ქუ-  
ჩაში მაინც). ყველას უნდა, მიაშუროს, შეიკუჭოს თავას თბილ კუთხეში.  
მერე დააკვირდეს და დატკბეს, როგორ თანდათანობით თბება ცხვირის  
წვერი და თითები, ღაწვები და ჰმ!... ზოგიერთი ადგილები... ხმაც თბება  
თურმე. ამას ოზენა ამბობდა შარშან ზამთარში, — სითბოში შემოსულ შე-  
ციებულ კაცს ხმაც უთბებაო“.

სიგარეტი სათვის მალაზიაში შეიარა, არ მოეწონა ის, რაც გამყიდვე-  
ლმა შესთავაზა.

„ალი-ტოცა“ ჯობია. ქლიავს კი აუცილებლად ექნება „ალი-ტოცა“...  
ფეხით წავიდე თუ ავტობუსით? ფეხით სჯობს. არ მაგვიანდება, თუ დამა-  
გვიანდება, არც მაგით დაშავდება რამე, ცივა... იჯდეს და მელოდოს, თუ  
დამაგვიანდა, რომ შევალ, მაგიდაზე იქნება დამხობილი იდაყვებითა და  
შვერიტით (უცნაურად), როგორც საერთოდ იცის ზოლმე — ისე... მეორე  
სკამზე ღუმილი იქნება წამოსკუბებული, მაგრამ ეს მისი ღუმილი იქნება  
და არა ჩემი... ჩემი ზომ შინ დავტოვე. ჰმ“.

შემოხვდნენ ფეხით მოსიარულები (ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ — ორ-  
ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი).

„...კინოთეატრიდან გამოსულებს ჰგვანან... საინტერესოა, კანონი  
„დამიანს არასდროს დადის მარტო (ყოველშემთხვევაში, ცდილობს მაინც,  
რომ მარტო არ იაროს)... ბაიყუში!... რომელიღაც ლექსში ამოვიკითხე და





ჩამრჩა მეხსიერებაში — ბაიყუში არის ადამიანი, რომელიც მარტოდ დგას კინოში. მართალია, ნეტავ?... ასე კი დამამახსოვრდა... რატომცაა... ვინმეზე, — ბაიყუშიაო, წარმოვიდგენთ ხოლმე იმ ვილაცას მარტოდ მჯდარს კინოდარბაზში, რომელსაც ერთი სული აქვს, როდის შეივსება მეზობელი ადგილები, რომ მისი ბაიყუშობა, დაიმალოს... ოჰო! ახლა უკვე გვარიანად შემცვივდა. ერთი გაჩერება ავტობუსით გავგორდები, ასე სჯობს“...

დადგა გაჩერებაზე...

„...ყველას საყელოში აქვს ჩაყოფილი ცხვირი, ცივა... ჩემი პალტოს ჯიბეები ძალიან „ცივია“, სარჩული უნდა გამოვუცვალო, კარგი იყო, ხელთათმანები არ დამეკარგა.

...ორი ნომერი არ მარგია“.

მაინც შეათვალიერა ჩამომდგარი ავტობუსი მგზავრებაანად. „...ისე იყურებიან, თითქოს უსიტყვოდ ამბობენ, რა ამლებინებთ ამ სიცივეში რომ დგანან და ელიან, დგანან და ელიან... აღარ ახსოვთ, როცა ეგენიც იდგნენ და ელოდნენ... ჩემსავით. ქლიავი ზის ახლა კაფეში მარტო მაგიდასთან და მერამდნედ პასუხობს. „მომხდურებს“ — დიან, დაკავებულია (თან თვალი კარისკენ უჭირავს). ჰმ! მელის!.. ზის და მელის... ოჰო, ჩამომდგარა ქლიავის კაფესაკენ მიმავალი დაფახვასებული!“

ავტობუსში ასვლისთანავე ბილეთი აიღო, ნომერს შეავლო თვალი ინსტინქტურად, შებრუნდა და დადგა სალონისაკენ ზურგით. გაიხედა ფანჯარაში.

...ავტობუსი მიძუნძულებს, ვიბრაცია ერთნაირად გადაეცემა ყველას, აქაურსაც და ჩამოსულსაც... რეკლამის ნათურები აფერადებენ ქუჩებს. რეკლამების ფერებს შორის დგას ნაცრისფერი მწუხრი. მწუხრის ფონზე გარკვევით იკითხება „ორცი“, „სტნეული“, „საურნეო საქონელი“, „გზის მაზია“ და ა. შ.

კაფედლე ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვიდა.

„...არა, არ მინდა წერტილი დაესვას ყველაფერს. მართალია, ქლიავი ქლიავია, მაგრამ მაინც... საიდან მოვიფიქრე, რომ დღევანდელი პაემანით მთავრდება... იქნებ პირიქით არის? იქნებ ქლიავს დღეს ისე აწუხებს მარტოობა, როგორც არასდროს (ე. ი. ისე, როგორც მე)... თუ ასეა, დღესაც დავზუჭავ თვალს ხვალამდე, ხვალ კი... შეფი თვრამეტ მანეთს მომცემს და მეტყვის — სტუდენტებმა დიდი მადლობა შემოგთვალესო (როგორც ყოველთვის) ამ დროს თვალის დახუჭვას გარეშე მაყურებელი თავმოყვარეობის დაკარგვას დაარქმევდა... იმიტომ, რომ“...

...მოვედი, თქვა ჩუმად და შეადო კარი.

„...რა თქმა უნდა, ავე, სხედან და მელოდებიან ქლიავიც და ღუმალიც... ერთი ჭიქა გამოუწრუპია... ეს არც ჭიქას ეტყობა და არც ქლიავს, მაგრამ სამაგიეროდ ბოთლს ეტყობა, ჰიჰ!...

გავაფრინო?“...

1 — გამარჯობა, შენ რა ღუმილს დაუძმაკაცდი? — ესალმება და ეკითხება სუფურასთან მარტო მჯდარ კაცს.

„...როგორ გაუფართოვდა თვალები ჩემს შეკითხვაზე, ჰიჰ!.. საღამზე პასუხის გაცემაც კი დაავიწყდა, ნიძლავს ჩამოვალ, თუ ორმოცდაათამდე. ღათულა არ დაჭირდეს აზრზე მოსასვლელად (ხუთმაგი ნოკაუტი), თუმცა რა გასაკვირია? რა თქმა უნდა, ვერ ხედავდა, რომ იმ სკამზე, რომელზეც მე დაეჯექი ახლახან, აქამდე ღუმილი იჯდა — იმას ხომ მარტო მე ვხედავ!.. სხვები და მათ შორის ქლიავიც, ალბათ, ზანდახან გრძნობენ... როცა არ იციან რა თქვან, ან როგორ თქვან, მხოლოდ მაშინ ეუხერხულებათ ღუმილი, რახან ეუხერხულებათ, ე. ი. გრძნობენ კიდევაც... ასეა! ოჰო, ქლიავმა ჭიქა ბოლომდე გამივსო!.. ეს რომ დავლიო, ჟუჟუნა ვავსდები, თვალ-ჟუჟუნა ქალი, რომელმაც სასმელთან ერთად გადაჰკრა სითამამე... კუჭში კი არაფერია...“

— გშია, — თქვა ჩუმაღ.

„...ასე მოკლედ იცოდა თქმა ოზენამ. ასეც უნდა იყოს!.. როცა გშია, უნდა თქვა, რომ გშია, მერე, თუ არ გაჭამეს, შენით უნდა მოძებნო... თუ ვერ მონახე მუცლის ამოსაყორი, ე. ი. არ გშიებია...“

...ასეც ვიცოდი! ისევ ბუტერბროდი „ვანი-ბზვანი“ შეუკვეთა. ერთფეროვნება გულს მიწვრილებს საერთოდ... ქლიავის ყველაზე დიდი ბინუსი კი ის არის, რომ ერთფეროვნება არ აწუხებს. რა ვქნა? უნდა „მივირთვა“ ბუტერბროდი „ვანი-ბზვანი“, თუმცა მოტკბოა...

...რაო, რა მკითხა?.. დანაყრდიო?.. დავნაყრდი, რა თქმა უნდა... ღუმილი დგას, დგას და გვიყურებს... ხელის გაწვდენა კმარა, რომ შეეხო, მაგრამ... ქლიავმა ჩემი სადღეგრძელო დალია. რაღაც უშნოდ დალია, დაიჭყანა კიდევ... არა, ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს... საიდან ისმის ნეტა სამღერა?.. ნაცნობი ხმაა ძალიან — „გთხოვთ, ჩემზე ზურგსუკან ნუ ილაპარაკებთ... გთხოვთ, ჩემზე ზურგს უკან ნუ ილაპარაკებთ“, იმეორებს ქალის ჩახლჩილი ხმა ფორტეპიანოს აკომპანიმენტის ფონზე... ცოტას მოვწრუა, რომ ჟუჟუნა გავხდე... ქლიავი ჩანგლით წიწკნის ბუტერბროდს, არ ჭამს... მაგას ნამდვილად არ შია, თორემ ასე არ გააწვალებდა საჭმელს. ეტყობა ნერვიულობს, რაღაცის თქმას აპირებს (თავისი აზრით, ძალიან საჭიროს), მაგრამ თავს ვერ აბამს... აი, ახლა კი ნამდვილად გრძნობს ღუმილს. ახლა ოზენა იტყოდა, — ის ეუხერხულება, როგორც... რა ნაცნობი ხმაა!.. „გთხოვთ, ჩემზე ზურგს უკან ნუ ილაპარაკებთ“, — იმეორებს ჩემთვის ნაცნობი და თანაც უცნობი მომღერალი ქალი...

...დამთავრდა, ნეტა, ახლა რომელი სიმღერა იქნება?.. ქლიავი ჭირსაც წაუღია თავის ღუმილიანად... ოზენას სიკვდილი გადავიტანე და მაგასთან განშორებასაც გადავიტან როგორმე... ოჰო! ლაპარაკი დაუწყია, ნეტავ რა



თქვა პირველად „მვირფასო“, „ჩემო კარგო!“.. თუ უბრალოდ დაიწყებდა, როგორც იცის ზოლზე — „იცო, რა?.. ღუმილი გაქრა, ახლა მეზობელი სულ რასთან დაადგა ვიღაცეებს. ეტყობა, ქლიავმაც საკუთარ სახლში დასტოვა თავისი ღუმილი, თორემ ის ასე იოლად არავის ანებებს თავს... რა საცოდავია ღუმილი, ჰა?.. უადამიანოდ გაძლება არ შეუძლია. საოცარია, მაინც და მაინც დღეს შემეცოდა ღუმილი, როცა ყველაფერი ნაცრისფერია...

...აჰა! თურმე რაზე ლაპარაკობს: მე „შეფი მყვარებია“, ამდენ ხანს „სულ ვატყუებდი“ თურმე, „ასე გაძლება, აღარ შეიძლება“... მოკლედ, ანგარიშს მაბარებს: როდის, სად დაუუნახივარ შეფთან ერთად (ასფურცელას არ ახსენებს)... ჩახლენილმა ხმამ ისევ წამოიწყო, — „ნუ ამიხსნი“... რა კარგია! დანარჩენი სიტყვების მნიშვნელობა არ მესმას.. მესმის მხოლოდ ორი სიტყვა — „ნუ ამიხსნი“.. არა, ჯაზი გადასარევი!.. სიმღერა დამთავრდება თუ არა, ქლიავს ვეტყვი, რომ ჯაზი გადასარევი... აუცილებლად ვეტყვი... მეზობელი სუფრიდან (სადაც ღუმილი დგას), ქალი წამოდგა... ძალიან (არ ვიცი, როგორ ვთქვა) ხაზგასმით, მკვეთრი მოძრაობით, სწრაფად ჩაიკცა აქამდე სკამის საზურგეზე გადაკიდებული კურტაკი, დაავლო ხელი ჩანთას და გასასვლელს მიაშურა... კაცს ხელის წატანებაც კი არ უცდია — დარჩა თავდახრილი, ჭიქას ჩაშტერებული... ქალი ვავიდა თუ არა, უსიამოვნებამ შემოიჭყიტა (მხოლოდ წამით), შეათვალიერა კაფეში მსხდომნი და გაქრა... კაფეს კარი დაიხურა. ღუმილი იმწასვე დაჯდა ქალის ადგილზე, გაიბადრა. კარგა ხანს ფეხს არ მოიცვლის (ეს ვიცი), შეიძლება საიმედო პატრონიც კი იშოვა იმ კაცის სახით (ამაში უკვე არა ვარ დარწმუნებული)... თუ ასეა, ბინაში ისე შეუსახლდება, ქირასაც არ გადაიხდის... ჰმ, სიმღერა დამთავრდა“...

ქლიავს ეუბნება იმას, რისი თქმაც უნდოდა... მერე ითვლის სამოცდაათამდე, სანამ კაცი მის ნათქვამს გაიაზრებდეს და ჩაწვედებოდეს.

„...ჰმ, არანორმალური ხარო... თვითონ კი ნორმალურია(!) მაინც რატომ ვარ არანორმალური? ქლიავის ნათქვამს არასდროს დავეთანხმები, თუ ბევრს გააჭირვებს, ავდგები და უსიამოვნებას გავალახინებ ქუჩაში, პირდაპირ ქუჩაში!.. უსიამოვნება, იმედია, მიცნობს, გამიხსენებს (ოზენამ გამაცნო)... ესეც შარშან იყო... ოზენა ერთადერთი იყო, ვისაც ნამდვილად ვუყვარდი...

...რაო? ოზენა ვინ არისო?... ჰოო! ხმამალლა მითქვამს, როგორც ეტყობა“...

უმეორებს, — აკი გითხარი, ოზენა ის არის, ვისაც ნამდვილად ვუყვარდი-მეთქი.

„...გაცოფდა!.. ავდგები და ერთ ჭიქასაც დავლევ... ჩემით უნდა დავიხსნა (კავალერი აღარ მემსახურება)...“

მეზობელი სუფრისაკენ გაიხედა.

„...ღუმილი, ეტყობა „შეუხმატკბილდა“ იმ კაცს, რომელიც ჭიქას ჩაშტერებია თავდახრილი... ქლიავი ჭიჭყინებს... ნეტავ რა უნდა?.. მე არანორმალური ვარ, დამტოვოს. ადგეს, დანახარჯი გადაიხადოს და წავიდე თავისი გზით. მე კი დავერჩები მარტო. ოცდაცამეტა წელიწადი მარტო გავატარე, მაგრამ ახლა მენატრება მარტოობა... შინდა მარტო დავერჩე ამ სუფრასთან და ვუყურო იმ კაცს და ღუმილს... ნეტა ღუმილიც თუ მაატოვებს იმ თავდახრილს?.. თუ ერთად წავლენ?.. მე რომ მარტო დავერჩება, შეიძლება ჩემთან გადმოვდეს (თუ ჩემთან ყოფნას ამჯობინებს, რა თქმა უნდა), მაგრამ არ მინდა... მე ჩემიც მეყოფა. ჩემი, რომელიც შინ მელიოდება მოუთმენლად...

„ალი-ტკოცა“ მართლა კარგია...

...ოჰო, ქლიავი წასვლას აპირებს. ვინ იცის, შეიძლება გამომლანძლა კიდეც უკვე. ეტყობა, ხმამაღლა არაფერი უთქვამს... იმიტომ, რომ ჩვენი მაგიდისაკენ არავის გამოუხედავს... ჰმ, ჩვენი მაგიდისაკენ... „ჩვენი მაგადა“... ჰმ!.. დანახარჯს იხდის, სიგარეტის კოლოფის აღება ავიწყდება. მის, მიხარია... რატომ გამახსენდა შეფი?.. შეფი კვახია, კვახია უყუნწო... თანამშრომლებმა პიკნიკი მოვაწყვეთ — შეფი, რა თქმა უნდა, ცდილობს დამიმარტოხელოს და მაშინდელ შეკითხვაზე პასუხი მომთხოვოს... ტბის პირას ვდგავართ. მიფრინავენ წეროები... ვეკითხები, თოფის სროლა თუ იცი-მეთქი... კონტრშეკითხვა, — რომელის, კრთლულიანის თუ ორლულიანისო?.. გამეცინა, კი არ გამეცინა — გა-მე-ცი-ნა!..

...ქლიავი წასულა. ის კაცი და ღუმილი ისევ ისე სხედან... ოჰო, ღუმილმა ჩემსკენ გამოიხედა!..“

შეკრთა, თავი დახარა და აბუტბუტდა...

„...არ მინდა, ღუმილი ჩემთან გადმოვდეს. რა მოვავგონო?.. ბავშვობას უნდა დავუბრუნდე, თორემ დანარჩენის მოყოლა უაზრობაა... დანარჩენი უაზრო იყო, ოზენას სიკვდილიც უაზრო იყო... მოვეცევი, როგორ მესროლა ჩემმა ბრაზიანმა მასწავლებელმა სამელნე, როგორ დამეთხარა საყელო ბელნით, შინ ვერ გავამხილე, რომ მასწავლებელმა მიყო ეს სიკეთე.. რა თქმა უნდა, „მომხვდა“.. ამის გამო მატირეს... მაშინ ვნახე პირველად ღუმილი. იმ ღამეს ჩამომიჯდა პირველად საწოლთან. მარტო დარჩენის არ მეშინოდა არასდროს, მიმძიმდა კი ძალიან“...

მალულად გაიხედა „მეზობლებისაკენ“.

„...ისევ ისე სხედან, მადლობა ღმერთს!.. ახლა უკვე კაცის გაბზარული ხმა მღერის, რა კარგია!.. ყველაფერი შემსუბუქდა... ჭიქა უნდა ავივსო. უკვე აღარც კი მაინტერესებს, რატომ არის დღეს ყველაფერი ნაცრისფერი, რატომ ვჭივარ კაფეში მარტო... გაბზარული ხმა მღერის, — „ეს არის ცოდვა, როცა ვინმე გიყვარს“... ესეც ძალიან მეცნობა — ეს გაბზარული ხმა. ოზენა რომ გვერდით მეჯდეს, მეტყოდა, ვინც არის, მაგრამ ამას აღა-



რა აქვს მნიშვნელობა... მიავარი ისაა, რომ ოხენა ცოცხალი აღარაა... ავტობუსმა გაიტანა... ტვინი გადმოასხმევინა ასფალტზე გასტრონომის წინ...

...მაჟრჟოლებს თუ დავთვერი?... „ეს არის ცოდვა, როცა <sup>ქრისტიანული</sup> მღვდელი გარს...“ რა კარგად მღერის, მაგრამ არა, არა, არა!.. ეს სიმღერაც ნაცრისფერია. მაზსენებს ყველაფერს, რაც უნდა მაზსოვდეს და რაც არ უნდა მაზსოვდეს... ერთად... ყველაფერი ერთად — ეს ხომ დომხალია... აჯაფსანდალია... აჯაფსანდალი მიევარს!... დიდი სიამოვნებით შევექცეოდი ახლა, მაგრამ თეფშზე მხოლოდ ბუტერ-ბროდი „განი-ბზვანი“ მიდევს, ეს კი მოტკბოა... ბუტერბროდების მომგონის დედა ვატირი!.. დავთვერი?... ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ფეხებზე მკიდია ღუმელი. ავდგები და მიუჯდები მეზობელ სუფრას, ჭიქას ჭიქაზე მიუჟაკუნებ იმ კაცს და გამოვაფხიზლებ... რაც ბოთლშია, იმასაც თან წავიღებ. შეიძლება დამჭირდეს (იქნებ იმ კაცს სასმელი შემოეღია კიდეც... აქედან ვერ ვხედავ) წავიღებ ჭიქასაც... იმ ქალის ჭიქიდან ხომ არ დავღვებ...”

მეზობელ სუფრას მიუჯდა. იღიმება.

...„აქეთ დუმილი მიზის, — იქეთ ის კაცი... დიდი დაკვირვება არ უნდა — კაცი მთვრალია... მთვრალია მარტოობით... თეფშთან წვეთი ხელთათმანი დევს. მოზღენილი ხელთათმანია... კი, ქალის ხელთათმანია ნამდვილად... უნდა მოვირგო... ჰა-ჰა-ჰა, გუშინწინ ხელთათმანი დავკარგე, დღეს — ვიპოვე!“ („ბუნებაში არაფერი იკარგება!“...) ოჰო, ეტყობა ძალიან ხმამაღლა ვთქვი, რახან მარტოობით მთვრალმა კაცმა თავი აწია და შემომხედა... ვერ ვარჩევ რა ფერის თვალები აქვს ჩემს თანამესუფერეს. თვალებში მელანდესა ნაცრისფერი ლიბრი (ფოკუსს გასწორება უნდა)... როდემდე უნდა ვუყუროთ ერთმანეთს, საინტერესოა... ალბათ მანამდე, სანამ კაცი არ დარწმუნდება, რომ მე სულაც არა ვარ „ის“, რომელმაც დღეს მიატოვა...”

ანგარიშმიუცემლად ცდილობს ხელთათმანი წამოაცვას ხელზე, მაგრამ ვერ ახერხებს. უყურებს მთვრალ კაცს, რომელიც უკვე მას აღარ უყურებს და ჯერ ხდება, რომ ასე ხელთათმანს ვერასდროს ჩაიცვამს (უკუღმა უჭირავს).

...„ღუმელი მიყურებს და მიღიმის — ე. ი. მოვწონვარ...” უარის ნიშნად თავს აქნევს ოა ამბობს, — მე შინ მელოდება ჩემი ღუმელი, რომელსაც უჩემოდ გაძლება არ შეუძლია. რომელიც ჰამინაც ჩემთან არის, როცა არავინ არ არის ჩემთან, ე. ი. როცა მარტო ვარ... აჯაფსანდალი...

...„ფოკუსი გასწორდა... თავს წამომდგომია ქალი, რომლის ადგილზეც მე ვზივარ... არა!.. მე მის ადგილზე არ ვზივარ. იმ ქალის ადგილზე ღუმელი ზის... თავს მადგას კურტაკიანი ქალი, რომლის ხელთათმანის წამოცმასაც ცეცდილობდი ცოტა ხნით ადრე... ვხედავ პომადიან ტუჩებს, რომლებიც სხარტად მოძრაობენ. მლანძღავენ ალბათ... არ მინდა გავიგონო, თორემ გავიგონებდი... რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ — რახან ხელთათმანები ვა-

პოვე, მილიციაში უნდა გამეცხადებინა!.. ხელი გამინთავისუფლდა (ალბათ ხელთათმანი წამგლიჯა), ახაროს ღმერთმა...

...კაცი რომ უგონოდ მთვრალი არ იყოს, ვეტყვოდი, რომ ოზენა ერთ-ერთი თადერთი იყო, ვისაც ნამდვილად ვუყვარდი... თუმცა არასდროს გამომცხადებია ამაში. ...პირიქით თავკომბალას მეძახდა!..

იმას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მე ვუყვარდი... იმიტომ, რომ გულით ყოველთვის თავის იდეალს დაატარებდა. შეიძლება იმიტომაც მეძახდა თავკომბალას, რომ შორს ვიდექი მისი იდეალისაგან. მერე რა?.. იდეალი ყველას დაუხატავს გონებაში ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან... მერე დგება ისეთი მომენტი... ისეთი მომენტი როცა უნდა გამოეთხოვო, შენს იდეალს და დაჯერდე იმას, რასაც იბალღი გარგუნიებს... ვინც ამას შეეგუება ან შეძლებს, ბედნიერადაც კი ჩაითვლება... ვინც ვერ შეძლებს, ეძებოს... ეძებოს ჭადარამდე... იბლღიანები ხელმოცარულებს მოწყალე თვალით უყურებენ. ამას გულუბრყვილობები ადამიანურ თანაგრძნობას ეძახიან, არა და... რა ფხიზელივით ვაზროვნებ?.. ეს კაცი კი ისევ ძველებურად გათანგულია...

...კაფეს კეტავენ?.. ჰოლიდეიც გაჩუმდა და კოკერიც... რაო?.. ეს მე ეთქვი თუ სხვამ?..

...გასაგებია, გასაგებია... წავალ აბა რას ვიზამ!.. სიგარეტი არ დამავიწყდება („ალი-ტოკოცა“ უკვე ჯიბეშია), ერთად დარჩნენ სჯობს ეს კაციც და ღუმელიც... ერთად არ მოიწყენენ, ჰმ... ოჰო, ჩვენს გარდა ყველანი წასულან!.. ახლა მე წავალ, მერე ეს კაციც წავა, ან გააგდებენ... მერე ესენიც წავლენ, ვინც კაფეს მუშტარს ემსახურებოდნენ... შუქს ჩააქრობენ...

ჩამოვარდება სიჩუმე — ნაცრისფერი წერტილი... მერე გაიფუყება, გააესებს მთელ დარბაზს და დაისადგურებს...

...ხვალ დილით სამსახურში... შეფი დიდის ამბით გადმოძვემს თვრამეტ მანეთს და სტუდენტების მადლობას... ერთი საათის შემდეგ დარეკავს ქლიავი, მეტყვის, რომ გადაამლაშა და ბოდიშს მომიხდის...

...ახლა?..

...ახლა მივალ, შინ. გასაღების საკეტში მორგებას მოვუნდები მთელ საუკუნეს... შევალბე თუ არა კარს, შემომგებება ჩემი ღუმელი და ნაცრისფერი სიჩუმე... ჩავრთავ ტრანზისტორს, ავტეხავ ფეხების ბრაზუნს, დავიწყებ ზმამაღლა ლაპარაკს, გავაღებ ქუჩის მხარეს ფანჯარას და...

მეზობლები იტყვიან, — „მოვიდა!..“







ყველაფერი არ ითქმება,  
რაც სულშია ჩარახული,  
ჰქეია უღვთოდ გარინდება  
ზღვას, მწყურვალის  
გადაცურვილს,

მაღლით ზენამ მაზიარა  
სტკვენას შაშვის მგალობელის,  
ო, როგორი ნაზია და  
ო, როგორი მახლობელი!

ფიქრში ისევ ხანძარია  
ანცი ფიფქით დათოვლილი,  
ახლა შენთვის არ მცალია,  
ზღაპარ-ზღაპარ გამოვლილი

ვნება მტკივა, ვნება ღვარად  
და ანთებულ სისხლად დამდის,  
ნეტავ, რად არ დაიღალა  
ჩემი დევნით ავი ლანდი?

რა უჩუმრად, მშვიდად კვდება  
ლურჯი სფინქსი დამხობილი,  
კვლავ ყოველი მედარდება —  
ყოფილი და არყოფილი!

სულში ისევ ხანძარია,  
ისევ გალობს მგალობელი, —  
ტკივილები რად არიან  
ერუ, მკაცრი და მახლობელი?



მელანდება, დარიალი,  
ბენატრება, არავი,  
არ მასვენებს მგლოვიარე  
სევდა იგავ-არაკის,

მიმიძღვნია საჩუქარიც,  
შემაწირავს ზვარაკიც,  
ფიქრი სოფლის სამდურავზე  
მგონი, მართლაც არა ღირს!

პატიუნი და სიაძენი  
არ დასცლია არავის,  
სიკეთეც და სივენიც  
მშვენის იგავ-არაკის...

### შოთა რუსთაველის ვრესკასთან

სიყვარულო, შენი ფერის სადარს  
რად აწვიე სინანული გზის?  
სად წაიყვან სადაურსა სადა,  
ან უნათებ ვის?

ჭარი სევდას აქეთ-იქით ფანტავს,  
უცნაურად მღლის,  
გულო ჩემო, რა სივრცეებს ხატავ,  
ან უღიმი ვის?..





### და ოცნებაში...

და ოცნებაში ხან ჟანა ღარკის,  
ხან ქეთევანის ვრეკლი  
სამრეკლოს  
ბავშვობა იმათ კოცონთან ღაწვი,  
რომ შორს გაქცევა აღარ  
გაბედოს.

თითქოს იყო და არა იყო რა,  
გზებმა უპოვარ გზებზე იარეს,  
არ ვიყავ ღედა, არ ვიყავ ბავშვი,  
ჩვილი თითები მბანდა იარებს.

მერე მოვედი და ამ ქალაქში  
ღღემდე უსახო ფრთებით  
დავსახლდი.  
ვერ შევეგუე ღრთა ბარიერს  
ხმათა სივრცეში ველი დამახილს.

ვერძნობ, აღარ ძალუძს პატარა  
ქალაქს  
ერთფეროვანი გზები წალეკოს.  
მინდა მარტის მზემ შემიცნოს  
ქალად  
და გამიტაცოს როგორც საბედო.

### დაბრუნება

ჩამოირეცხა ვნების საკინძე,  
ჩამოიბანა ზეცამ თვალები,  
ჟინი კი მაინც დარჩა ნაპირზე,  
ვით უნაპიროდ ღია კარები.

ახლა სინაზის დროა, იწამეთ  
კვლავ ფერიების ღურჯი ზმანება,  
ხარკს აღარ სწირვენ ვნებიან ღამეს,  
(გულისთქმა უნდა ზიღონ თვალებმა).

კოცნითან ჩაქრა ვნებათა ღელვა,  
მოდის ზეცათა იღუმალეზა,  
გამოიღვიძეს სანთლების შუქზე  
პეპლებმა, წამით ფერნამკრთალებმა.

მზე იღუმალად იწვის ღამეში,  
მაგრამ ჩამოჰკრეს ცისკრის ზარებმა  
და წვეთ-წვეთობით ნაგროვებ სისხლით  
მკერდი გაივსეს ამორძალებმა.





ვლადიმერ ბოგომოლოვი

## პირველი სიყვარული

ხელიხელ გადახვეულნი, ერთმანეთს მიკრულნი ვწევართ, მიწა ისეთი მაგარი, ცივი და ნესტიანი აღარ გვეჩვენება, როგორც სინამდვილეშია.

უკვე ნახევარი წელია ერთმანეთს ვხვდებით — იმ დღიდან, როცა იგი ჩვენს პოლკში მოვიდა. მე ცხრამეტისა ვიყავი, ის კი თვრამეტისა.

ერთმანეთს მალულად ვხვდებით: ასეულის მეთაური და სანიტარი. არავინ იცის ჩვენს სიყვარულზე და, რა თქმა უნდა, არც იმაზე, რომ ჩვენ უკვე სამნი ვართ...

— ვგრძნობ, რომ ბიჭია! — ჩურჩულით უკვე მეთევჯერ მარწმუნებს იგი. გულით უნდა მასიაშოვნოს: — და სულ შენა გგავს.

წინ, ხუთას მეტრში, ბლინდაჟებში, პირდაპირ სანგრებში, ჩემი ასეულის მეგრძოლებსა და სერჟანტებს სძინავთ. კიდევ უფრო იქით, საბრძოლო დაცვის ხაზს მიღმა, რომელსაც გერმანული მაშხალების იშვიათი აფეთქება გაანათებს ხოლმე, ბნელეთში მიმაღულა სიმაღლე 162.

განთიადზე ჩემს ასეულს უნდა გაეკეთებინა ის, რაც ერთი კვირის წინათ ვერ შეძლეს საჯაროში ასეულის მეგრძოლებმა — დაგვებყრო სიმაღლე. ამაზე ბატალიონში მხოლოდ ხუთმა ოფიცერმა იცოდა, იმათ, ვინც საღამოს შტაბის მიწურში პოლკის მეთაურმა გამოიძახა. ბრძანება რომ გაგვაცნო, მე მომიბრუნდა:

— მაშასადამე, დაიხსომე: აგრიადლებიან თუ არა „კატიუშები“, ცაში აიჭრებიან მწვანე მაშხალები, შენც წახვალ... მეზობლებიც შენს გვერდით იქნებიან, მაგრამ სიმაღლეს აიღებ შენ!

...ჩახუტებულნი ვწევართ. მას რომ ვკოცნიდი, არ შემეძლო მომავალ ბრძოლაზე არ მეფიქრა. მაგრამ ყველაზე მეტად მისი ბედი მაღელვებდა და შეწუხებული ვფიქრობდი: რა უნდა ვქნა?

— ...მე ახლა ორის მაგიერ უნდა ვიძინო, — თითქოს სხვათა შორის დაიწერა მან... — იცი, ღამით ხშირად მეჩვენება, რომ გათენდება თუ არა, ყველაფერი გათავდება. სანგრებიც, სისხლიც და სიკვდილიც... მესამე

წელია უკვე. მუდამ ასე ხომ არ იქნება?... წარმოიდგინე: გათენდა, მზე, ამო-  
დის, ომი კი არ არის, სულ არ არის...

— ახლა მაიორთან წავალ! — ვთქვი და უცებ ავდექი: — ყველაფერს  
ვეტყვი, ყველაფერს! დაე სახლში გაგიშვან. დღესვე!

— აბა, რას ამბობ? — წამოდგა იგი, ხელი ხელში ჩამავლო და მიმიკ-  
რა. — დაწევი!.. ო, რა სულელი ხარ!.. მაიორი ტყავს გაგადრობს!

უცებ მეთაურის დაბალ, მოუხეშო ხმას მიბაძა და დაძაბული ჩურჩუ-  
ლით დაიგუგუნა:

— თანამშრომელთან ცხოვრება არ ამაღლებს ნაწილის ბრძოლისუნა-  
რიანობას, ხოლო მეთაურები ავტორიტეტს ჰკარგავენ. გავიგებ ასეთ რამეს  
— გავაგდებ, ვინც არ უნდა იყოს! ისეთი დახასიათებით გავუშვებ, რიგიან  
ჰუბტვახტშიც კი არ მიიღებენ... მოიგეთ ომი და შეიფვარეთ, ვინც გინდათ  
და რამდენიც გინდათ. ახლა კი ვკრძალებ!..

ხმა ჩაუწყდა, კმაყოფილებით გულადმა დაწვა და უხმოდ გაიცინა,  
რომ ვინმეს არ გაეგონა.

დიახ, ვიცოდი, რომ კარგი დღე არ დამადგებოდა. მაიორი წესრიგის  
უმკაცრესი დამცველი იყო. დარწმუნებული იყო, რომ ომში ქალს არაფერი  
ესაქმებოდა, სიყვარული მით უმეტეს.

— მე მაინც წავალ მასთან!

— წყნარად! — სახე სახეზე მომადო, ოდნავი ღუმილის შემდეგ ამოიო-  
ხრა და დაიჩურჩულა: — ყველაფერს მე გავაკეთებ! უკვე მოვიფიქრე. ბავშ-  
ვის მამა შენ არ იქნები.

— რა თქვი?! — უცებ შემომენთო. — ეს როგორ?

— აბა, რა სულელი ხარ! — გაიცინა მან. — არა, ღმერთმა ნუ ჰქნას,  
რომ იგი შენ დაგემსგავსოს!.. გესმის, საბუთებში და, საერთოდ, მამა შენ  
იქნები. ახლა კი სხვას დავადებ ხელს!

იგი იმდენად ბავშვივით მიამიტი და ალაღმართალი იყო, რომ მისმა  
ეშმაკობამ შემადრწუნა.

— ვის დაადებ ხელს?

— ვინმეს მოკლულთაგან. აი, თუნდაც ბაიკოვს.

— არა, მოკლულებს თავი დაანებე.

— მაშინ... კინდიავეს.

ზემდევი კინდიავევი, ღამაში თავქარიანი ბიჭი, ლოთი, ამას წინათ სა-  
ჯარიმო ბატალიონში გავზავნეს.

გრძნობამორეულმა ფარავის კალთა გვერდზე მოვისროლე და გულში  
ჩავიკარი.

— წყნარად! — მან შიშით მომაბეჯინა ხელი მკერდზე. — თორემ ორთა-  
ვებს გავგეჭვებ! (მან უკვე მრავლობით რიცხვში დაიწყო თავისთავზე



ლაპარაკი და ბავშვებით უხაროდა ეს). შენ ჩემი სულები ხარ!.. არა, / შენ  
ბედნიერი ხარ, რომ ცხოვრების გზაზე მე შეგხვდი.

იგი გულლიად და უზრუნველად იცინოდა. მე კი სრულებითაც არ მე-  
ცინებოდა.

— ისმინე, შენ ახლავე უნდა წახვიდე მაიორთან!

— ამ ღამით?... შენ რა, შეიშალე?!

— გაგაცილებ! აუხსნი ყველაფერს და ეტყვი, რომ ცუდად ხარ, რომ  
ნეტო აღარ შევიძლია!

— მაგრამ ეს ხომ ტყუილია!

— მე გთხოვ!.. აბა აქ როგორ უნდა იყო?... შენ სახლში უნდა წახვიდე!  
გამიგე... უცებ... ზვალ თუ ბრძოლაში წავედი?

— ბრძოლაში? — იგი წამით შეცბა, ჩანს, ყველაფერს მიხვდა. — არა,  
ეს მართალია?

— ჰო.

ცოტა ხანს ხმის ამოუღებლად იწვა. მის სუნთქვაზე — რაც ასე ნა-  
ცნობია ჩემთვის — ვეგრძენი, რომ ღელავდა.

— რას იზამ... ბრძოლიდან არ გარბიან. ვერც გაიქცევი... სულერთია.  
სანამ კომისიაზე გამატარებენ, დივიზიის მეთაური ბრძანებას დაწერს,  
რამდენიმე დღე გავა... მაიორთან ზვალ წავალ. გადაწყდა?

მე ვლუმი, თავს ძალას ვატანდი, რაიმე მომეფიქრებინა, და არ ვიცო-  
დი, რა მეთქვა მისთვის.

— შენ გგონია, ჩემთვის ადვილია მასთან წასვლა? — უცებ დაიჩურჩუ-  
ლა მან. — სიკვდილი უფრო ადვილია!.. რამდენჯერ მითხრა: „იცოდე,  
ჭკუით იყავი!..“ მე კი... მერედა კიდევ კომკავშირელი...

ატირდა. შებრუნდა, სახე ფარავის სახელოში ჩამალა და ერთიანად  
აცახცახდა. უხმოდ ტიროდა. ხელი მოვხვიე და ჩავუკოცნე პატარა ტუჩები,  
შუბლი, სახე.

— გამიშვი, მე წავალ, — ფრთხილად მომიშორა და ძლივს გასაგონად  
წარმოთქვა: — გამაცილებ?...

...ბნელ, ნესტიან ზევში დავეშვიტ, სადაც ბატალიონის სამედიცინო  
პუნქტი იყო მოთავსებული. მე მის წელზე მეჭირა ხელი. მე იგი ორივე  
ხელით მეჭირა, მის თითოეულ ნაბიჯს ვუფრთხილდებოდი, რომ ფეხი არ  
დაცდენოდა და არ დაცემულიყო. თითქოს ომისაგან, განთიადზე იმ ბრძო-  
ლისაგან მისი დაფარვა შემეძლო, სადაც მას უნდა ერბინა, დაცემულიყო  
და დაჭრილები გადაეყვანა...

\* \* \*

მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა, მაგრამ ყველაფერი ისე მაჩსოვს  
თითქოს გუშინ იყო.



განთიადზე „კატიუშები“ აგრიადნენ, გახელებით ურტყამდნენ, ხაჭაპურსა და სატყორცნებს და დივიზიონის არტილერია, მწვანე მაშხალები ცაში აფრინდნენ...

და როდესაც მზე ამოვიდა, ასეულის ნარჩენებით სიმაღლეზე ავიჭერი. ნახევარი საათის შემდეგ კარგად გამართულ გერმანულ ტრანშეაში პოლკის მეთაურმა და კიდევ ვიღაცამ მომილოცეს და ხელი მაგრად ჩამოქართვეს. მე კი გაშეშებულივით ვიდექი, არაფერს არ ვგრძნობდი, არაფერს არ ვხედავდი და არაფერიც არ მესმოდა.

მზე... რომ შემძლებოდა მისი უკან დაბრუნება, ჰორიზონტს იქით გადავდებო!.. რომ შემძლებოდა განთიადის დაბრუნება!.. სულ რაღაც ორი საათის წინ ჩვენ ზომ სამნი ვიყავით...

მაგრამ იგი ამოდიოდა ნელა, უღმობლად, მე მაღლობზე ვიდექი, ის კი... ის იქ დარჩა, უკან, სადაც დაცოცავდნენ დამკრძალავი რაზმის მებრძოლები...

და არავინ, სრულიად არავინ არ იცოდა, თუ ვინ იყო იგი ჩემთვის, რომ ჩვენ სამნი ვიყავით...

თარგმნა ტიტე სინთიბიკაძე





მარიამ კეჩუაშვილი

## გიორგი მასწავლებელი

(მოთხრობის ერთი თავი)

სწრაფად და მოსწავლეთა დაუღლელად მთავრდებოდა გიორგი მასწავლებლის მათემატიკის გაკვეთილები. ისე, როგორც სოფლის არხზე ან გუბეზე გადამხტარი კაცი ჰოპლას დაიძახებს თავის სიყონადით კმაყოფილი, აი, სწორედ ასე გამოდიოდნენ შეგირდები საკლასო ოთახიდან დასასვენებლად, ორ-ორი, სამ-სამი. ოდნავ ჩაფიქრებულნი, ერთმანეთთან მობაასენი. ისევ გიორგი მასწავლებლის გაკვეთილით მოხიბლულნი, შთაბეჭდილებით სავსენი.

სიის ამოკითხვაც თავისებური იცოდა ამ მასწავლებელმა: ზოგს, როგორც წესი, გვართა და სახელით ამოიძახებდა, სხვას სახელს აკმარებდა, მაგანის სახელსა და გვარს მამის სახელსაც მიუმატებდა. ზოგის გვარზე შენერდებოდა, არას კი იტყოდა, სხვას თვალს გაუშტერებდა. ასე და ამგვარად ჩათავდებოდა მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა.

დამარცვლით რომ ამოიკითხა გვარი, იმ მოსწავლეს, ორი ხუთი და სამი ოთხი მიუღია უკანასკნელ სამ დღეს — ყოჩაღ, ბიჭო!-ს მიაწიშნებდა მდგავარი ამოკითხვა. ერთს, თვალი რომ მიაშტერა, ორი დღე გაუცდენია, ორჯერაც დაუგვიანია, მხოლოდ ერთი სამიანი, ისიც გიორგი მასწავლებლის საგანში აქვს მიღებული, — გრცხვენოდეს, კმარაო! — ეუბნებოდა მასწავლებლის თვალები.

ამ გზით მიიღებდნენ დამსახურებულ შეფასებას უსიტყვოდ და ერთობ პატარა დროში ყველა, ვისაც ეკუთვნოდა. ასე მიაწვია გიორგი მასწავლებელმა თავისი შეგირდები და ამას დიდ ანგარიშს უწევდა ორივე მხარე — როგორც გიორგი მასწავლებელი, ისე შეგირდები.

საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას ერთობ ცოცხლად და ხალისიანად ატარებდა, ორ დაფაზე ოთხი მოსწავლე მუშაობდა, ზოლო ერთი კითხულობდა თავის გამოყვანილ ამოცანას, მაგალითს. სხვებიც დაკავებული იყვნენ: ჩაჰკირკიტებდნენ საკუთარ რეულებს, თანაც ფეხდაფეხ

მიჰყვებოდნენ წამკითხველს. მასწავლებლის მიერ თვალით, თითით ახსნის მიმდევრობით მინიშნებული მოსწავლე იძლეოდა შენიშვნას:

— არის შეცდომა!

— ესაა შეცდომა! — უმატებს მეორე.

— სხვა გზით ჯობდა მაგის გამოყვანაო, — ამბობს შემდეგი.

— სხვანაირად მე გამოვიყვანე — ამატებს მომდევნო, ხოლო სხვა წერს დაფაზე ავტორის კარნახით.

ამის შემდეგ იწყება მასწავლებლის კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელთა მიხედვით ცოდნის შეფასების ნიშანი იწერება საკლასო ჟურნალში, მასწავლებლის უბის წიგნაკში, მოსწავლის დღიურში. დაუსწრელი ნიშნებიც რჩება, ოღონდ აფრთხილებს:

— მომდევნო გაკვეთილზე უნდა გამოსწორდეს — და იცის ყველამ, არ დაავიწყდება მასწავლებელს, ამიტომაც ფრთხილობს მოვალე დათქმულ დროში გამოიჩინოს ცოდნა, თორემ... ასე მიაჩვია გიორგი მასწავლებელმა, ასე და ამას ემორჩილება ყველა შეგირდი.

ახალი მასალის ახსნა ხომ არის და არის: ნელა წერს დაფაზე გიორგი მასწავლებელი, წერს და ხსნის, ხსნის და იმეორებს. მთელი კლასი მისჩერებია ნაწერს, ისმენს ახსნას და ელის, თითქმის ყველა ელის — მასწავლებელი მოუბრუნებლად გამოიძახებს ზოგს გვარით, სხვას სახელით (ამასაც თავისი მნიშვნელობა აქვს):

— რატომაა ეს ასე?

— როგორი იქნება პასუხი? — და სხვა...

მზად ვინც არაა, სხვა შეცვლის, ოღონდ პირველს არ დაავიწყდება ეს თავისი ნაკლი, ყველანაირად ეცდება გამოასწოროს თავისი შეცდომა, თორემ, არ უყვარს გიორგი მასწავლებელს ასეთი რამ. არ აპატიებს...

დაიწყება ახსნილის ირგვლივ კითხვა-პასუხი. ამის შემდეგ, როგორც დასიცხული წყურვილის მოკვლის შემდეგ, ხალისით აგრძელებს დაწყებულ საქმეს. გამოცოცხლდებიან მოსწავლეები, როცა გამოუცხადებს:

— საშინაო რეულებში გამოიყვანეთ ამოცანა (ზოგჯერ მაგალითი), დრო 6 წუთია. პირველად მოტანილი ხუთი მოსწავლის ნაშრომს გავასწორებ.

შრიალი რეულებისა, წრიბინი კალმებისა და აი, ერთმა მორიდებით დადო თავისი ნაშრომი მასწავლებლის მაგიდაზე. სამმა კიდევ მოიტანა. ორმაც მოარბენინა. მასწავლებელი ასწორებს, შენიშვნას აძლევს ცალკე, დროც ამოიწურა. ორი მოსწავლე დგას თავის მერხთან. მორიდებით, მაინც აგრძნობინებენ მასწავლებელს თავის სიყრჩაღეს, ოღონდ, დაუქმული წუთები გასულა, ამას შეუკრთია ისინი. გიორგი მასწავლებელი არ აწბილებს მათაც და ასე იწერება რვა ნიშანი, ისიც საქებარი.

წყდება ბუშაობა, დარცხვენილია ბევრი, მათგან ისინი, ვინც გამოიყვა-



ნა, შეასრულა გაკვეთილი, ოღონდ დრო... დრო... ვერ ჩაეტიენ დროში.

კლასში ისეთებიც არიან, რომელთაც სულ ვერ აუღიათ გონება. მათ წავლებელი მათ არ ტუქსავს, ორიანს ზომ არ წერს და არა. ის ხელახლა მოხაზავს, თუ როგორ უნდა გადაეწვიტათ დავალება, შემდეგ აფრთხილებს:

— ესეც უნდა შესრულდეს საშინაოდ მოცემულ მასალასთან ერთად.  
— თან უმატებს დიმილით:

— შეგამოწმებთ და თქვენს ვაჟკაცობაზე მაშინ მოგახსენებთ. — ეძლევათ საშინაო დავალება და ასე თითქმის მოუღლეულად მთავრდება ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი.

იგივე მოსწავლეები ბევრი სხვა მასწავლებლის გაკვეთილზე ყველა საჭირო სამუშაოსთან ერთად ასწრებენ გადაძახ-გადმოძახებას, იღებენ შენიშვნებს, არის შეპასუხება, დამუქრება, სიტყვის შებრუნება, ხელის ჩაქნევაც არის და ყველა ამის შემდეგ რჩება დრო გულში ნატვრისა, ზოგჯერ ეინმე გაბედული ხმამაღლაც რომ წამოიძახებს:

— აღარ თავდება ეს ოხერი?

და როდესაც გაისმის ხმა ზარიისა, ნიშანი ამ „ოხრის“ დამთავრებისა, უცებ იქუხებს, გრგვინვის მსგავსად, ყურის წამლები ხმა და კარს მოურიღებლად მიასკდება მთელი კლასი.

\* \* \*

გიორგი მასწავლებელი არის კოლეგების მრჩეველი და გულწრფელი დამხმარე. მეზობლების, თანასოფლელების სიხარულისა და ჭირის მოზიარე, საჭირო შემთხვევაში მათი ქომაგი და დამცველიც ხომ არის ყველგან, ყოველთვის.

რაიონშიც პირველთაგანად არის აღიარებული საუკეთესოთა შორის. ნაქებია ჭკუით. არის თავის საქმის სრულყოფილად მცოდნე და მისი უანგაროდ შემსრულებელი. ასე ახასიათებენ თათბირებზე, კრებებზე, პრესის ფურცლებზეც; ამიტომაც, ხელმძღვანელობამ რამდენიმე თანამდებობა შესთავაზა დაბეჯითებით, მათ შორის ბევრი სახელიანიც იყო და სარგებელიანიც. მან კი, გიორგი მასწავლებელმა, სკოლის, ისიც მხოლოდ თავისი სოფლის სკოლის მასწავლებლობა არჩია, ისურვა ასე.

მისი ნათქვამი, ისიც ერთხელ ნათქვამი, სარწმუნო გახდა თათბირის მონაწილეებისათვის, რადგან ეს ნათქვამი, ბევრი მათგანის ნანახსა და გაკონილს ავსებდა, ხსნიდა.

გიორგიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ცნობილია, რომ ქვეყნის უდიდესი სასარგებლო საქმე სკოლაში კეთდება (უნდა გაკეთდესო, — პაუზის შემდეგ დაუმატა). აქ, სკოლაში,

ბავშვის სწავლასა და აღზრდასთან ერთად უნდა მოხერხდეს განმეორება  
ცუდი ზნისაგან, ცუდი ხასიათისაგან. რაც ჭუჭყი აქვს მის სულს, სკოლაში  
უნდა მოსცილდეს, დიახ, შეჭველად სკოლამ უნდა გაათავისუფლოს მის-  
გან, თორემ აქედან წასულს, ცხოვრებაში გასულს, სკოლიდან გატანებულ-  
წაღებულ უზნეობას კიდევ დაემატება სიავე, რითაც ასცდება სწორ გზას,  
თავადაც დაიტანჯება და ზოგჯერ სხვებს, სრულიად უდანაშაულოდაც გაუ-  
მწარებს სვეს. — აღარაფერი დაამატა ნათქვამს გიორგი მასწავლებელმა.  
მაგალითის მოტანა აღარ სჭირდებოდა, რადგან ყველამ იცოდა, თუ რა,  
გადახდა მას პირადად, იცოდნენ, როგორ იხსნა გიორგი დიდმა ნებისყო-  
ფამ, ნათელმა გონებამ და უანგარო მასწავლებლად აქცია.





## ალექსი ნანობაშვილი

### ოქრო აჭარის ლაქვარდში

მსოფლიო რუკაზე აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოძებნა უცხო კაცს უსათუოდ გაუჭირდება. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, იქ, სადაც ჩვენი დიდი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი გადის, წერტილისოდენადაა აღნიშნული მისი ტერიტორია. დიახ, მსოფლიო მასშტაბებით ძალზე მცირეა აჭარა, ისევე როგორც მთელი საქართველო, რომლის განუყოფელ ნაწილსაც იგი წარმოადგენს... მზიან ამინდში ბათუმის სანაპიროდან — საქართველოს სამხრეთ საზღვრიდან — დაინახავთ მის ჩრდილოეთ საზღვარს — კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს.

ბატარა, მაგრამ რა ბევრის მოწმეა ეს მიწა-წყალი, რა ისტორიულმა ქართველებმა არ გადაიქროლეს მის მთასა და ბარზე. აჭარის წარსული ქართველი ერის ისტორიის ერთი ბრწყინვალე და ტრაგიკული ფურცელია.

საუკუნეების განმავლობაში უზღებოდა ქართველ ხალხს უშედავთო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თავისთავადი კულტურის, თავისი ულამაზესი მიწა-წყლის შენარჩუნებისათვის.

მოღიჯ, თქვენთან ერთად, ძვირფასო მკითხველებო, გონების თვალით კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ კუთხის ისტორიას, ვნახოთ ის უაღრესად ძნელი გზა, რომელიც მისმა მშრომელებმა დღევანდულობის დასამკვიდრებლად გაიარეს.

„ოქრო აჭარის ლაქვარდში“ — ასე ჰქვია დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნს, რომელიც მთლიანად აჭარისადმი მიძღვნილი. რასაკვირველია „ოქროში“ უპირველესად ამ მხარის ზღაპრული ბუნება, მისი ცისა და მიწის, მისი ზღვის სილამაზე იგულისხმება. მაგრამ ეს სიტყვა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობითაც გავიაზროთ და ის ოქროს საწმისი წარმოვიდგინოთ, რომლის წახართმევადაც გადმოსხდნენ ზღვისგაღდამელი არგონავტები.

აჭარის დედაქალაქის, ბათუმის, თავდაპირველი მდებარეობა და ცხოვრება ანტიკურ ხანას უკავშირდება — ბათუმის შემოგარენსა და მის მოსახლეობაზე საინტერესო ცნობებია შემორჩენილი ბერძნულ-რომაულ წყაროებში. ბათუმის ციხე უძველეს საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა.

ოსმალთა იმპერიის შექმნამ სამხრეთ საქართველოს მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა. მე-12 საუკუნის დამლევიდან, როცა დამპყრობლებმა მიიტაცეს სამხრეთი პროვინციები, ჯერი აჭარაზეც მიდგა. თანდათანობით ეს მხარეც მოწყვეტეს საქართველოს, მოშალეს აჭარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, ცეცხლითა და მახვილით თავს მოახვიეს უცხოური წეს-ჩვეულებები. ამ კუთხის მცხოვრებლები

ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგნენ, მაგრამ ისინი თავიანთ ტრადიციულ სწავლას არ ურიგდებოდნენ და ისტორიულ უკუღმართობას თავგანწირვით ებრძოდნენ.

დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის გამოსვლებსა და აჯანყებებს სისტემატური სა-სიათო ჰქონდა, დელასამშობლოსთან — საქართველოსთან დაბრუნების იდეა დიდი ხნის ოცნებად იყო ქცეული, რომლის რეალური განხორციელებისათვის ბრძოლა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის ჯარების ძმური დახმარებითა და ქართველი ხალხის გამართული ბრძოლით 1878 წლის აგვისტოში შესაძლებელი შეიქნა სამხრეთ საქართველოს ნაწილის — ყარსის, არტანუჯისა და ბათუმის ოლქების შემოერთება.

ამ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას აღფრთოვანებით შეეგება ქართველი ხალხი, მისი სახელოვანი შვილები გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

დღის წესრიგში დგებოდა ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ეკონომიკურად და კულტურულად უაღრესად ჩამორჩენილი კუთხისათვის ძმური დახმარების გაწევა, განსაკუთრებით საზრუნავი იყო ხალხის სულიერი ცხოვრება, სწავლა-განათლების საკითხი.

რუსი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრენკელი, რომელმაც იმ პერიოდში მოიარა აჭარა, წერდა: „აქ საქირა მოფიქრებული, საგანგებო პოლიტიკის გატარება, ვითარებისა და სიტუაციის გათვალისწინება, შედეგები და დათმობა, ყოველმხრივი დახმარება, პატიოსან, საქმიან მოხელეთა შერჩევა, მმართველობის გაუმჯობესება, გზებისა და არხების გაყვანა, სკოლების გახსნა, სახალხო მეურნეობის განვითარება.“

მრავალტანჯული კუთხე თანდათან მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ისევე როგორც მთელს საქართველოში, აჭარაში და კერძოდ, ბათუმში ფართოდ გაიშალა მუშათა მოძრაობა. აჭარა მხარეა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისა, რომელთაც მაღალ შეფასებას აძლევდა პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ბათუმის მარქსისტულმა წრემ პირველად საქართველოში თარგმნა და პექტორალ-ფზე დაბეჭდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, შემოიტანა და გაავრცელა ლენინის ადრინდელი ზოგიერთი ნაშრომი.

ბათუმის მუშათა მოძრაობამ მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალურ-დემოკრატიული სასიათო მას შემდეგ მიიღო, როცა 1901 წლის დეკემბერში შეიქმნა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. ამ პერიოდში ვ. ი. ლენინის ნაწერებში ჩნდება ბათუმის რევოლუციური მოძრაობის შეფასება. განსაკუთრებით საგულისხმოა ლენინური „ისკრის“ 1903 წლის 43-ე ნომერი, რომელშიც ვკითხულობთ: მუშათა მოძრაობის არცერთ ძველ ცენტრებში — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბრძოლაში 1902-1903 წლების მთელ საავტოცო პერიოდში არ მოხერხდა მოგვეწყო თუნდაც რამდენიმე მნიშვნელოვანი დემონსტრაცია... ამ მხრივ გამოწვევის წარმოადგენს ბათუმის კომიტეტი. სწორედ ამიტომ შეუძლია პატარა ბათუმს მიუღოცის თავის თავს მიმდინარე წლის 9 მარტის დემონსტრაცია.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსეთში გაზეთ „ისკრის“ გავრცელებას. ბათუმი იყო საზღვარგარეთიდან „ისკრის“ შემოტანის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი, სადაც გაზეთი მარხელიდან ჩამოჰქონდათ. მარშრუტი მარხელი-ბათუმი უშუალოდ ვ. ი. ლენინის მიერ იყო შედგენილი. ამ ისტორიულ ფაქტთან დაკა-



ვშირებით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის კედელზე, მისი დაარსების 100 წლისთავის  
ზეიმის დღეებში, გაიკრა მემორიალური ღაფა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა აქარაში შეტადნულ  
პირობებში მიმდინარეობდა. ეს კუთხე საკმაო ხნით ოკუპირებული იყო უცხოელი  
დამპყრობლების მიერ, რომლებმაც აქარა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ  
ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს,  
აქარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ბათუმში შემოვიდნენ მე-11 წითელი  
არმიის ნაწილები და მათი დახმარებით აქარა საბოლოოდ განთავისუფლდა უცხოელი  
ინტერვენტებისაგან. შეიქმნა ბათუმის საოლქო რევკომი. ეს იყო მშრომელი ხალხის  
დიდი გამარჯვება, რომელიც ქართველმა ბოლშევიკებმა მოიპოვეს რუსი და სხვა ხალ-  
ხების ძმური მხარდაჭერითა და დახმარებით.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ერთგული ჩვენი პარტია, საქართველოს რევ-  
კომი ითვალისწინებენ რა მხარის ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, მისი დიდი ხნით  
ჩამოცილებას დედანამშობლოსაგან, ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობასა და სამ-  
ხრეთ საქართველოს მომავლის პერსპექტივებს, სპეციალური დეკრეტით, 1921 წლის  
16 ივლისს აქარას მიეცა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახე-  
ლმწიფოებრივი ფორმა საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დღის წესრიგში  
დადგა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საკითხი, მრეწველობის აღდგენა და  
განვითარება, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ საფუძველზე. ვ. ი. ლენინი  
შეუწელებელი ინტერესით აღვივებდა თვალს საქართველოსა და, კერძოდ, აქარის  
პირველ ნაბიჯებს ახალი ცხოვრების მშენებლობის ძნელ გზაზე, მიუთითებდა მთელი  
რიგი ღონისძიებების აუცილებლობაზე ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლ-  
ად. ამ საქმეში ბელადი განსაკუთრებულ როლს ქალაქ ბათუმს ანიჭებდა.

1921 წლის მარტში ვ. ი. ლენინი პარტიის X ყრილობის დელეგატებს მიმართავდა:  
„წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსენება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე  
წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გავეხსნის  
მსოფლიო ბაზრისაკენ“.

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ შესანიშნავად დაადასტურა დიდი ბელადის  
წინასწარმეტყველური სიტყვები.

აქარის კომუნისტები, მშრომელი მოსახლეობა სისტემატურად გრძნობდნენ ვ. ი.  
ლენინის ზრუნვასა და ყურადღებას. მათ გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის სოციალის-  
ტური რევოლუციის მეოთხე წლისთავი ბათუმში პროლეტარიატის დიდი ბელადის  
ძეგლის გახსნით აღენიშნათ. ეს იყო საქართველოში პირველი და ჩვენს ქვეყანაში ერთ-  
ერთი პირველი ძეგლი ვ. ი. ლენინისა.

სოციალისტური წყობილების პირობებში ისტორიულად მოკლე დროში აქარაში  
შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, აღორძინდა  
კულტურა, მეცნიერული ჯარი, ლიტერატურა და ზელოვნება.

ვინც თვალს გადაავლებს პირველი ზუთწილებების მატინეს, მისთვის ნათელი გახ-  
დება ის დიდი შემოქმედებითი შრომა, რაც აქარის მშრომელებმა გასწიეს ლენინური  
გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. გავიხსენოთ აქარის მრეწველობის სიამაყე-  
პირველი ზუთწილების პირმო — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, აქარის-  
წყლის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გვერდში ამოუდგა გოედროს პროგრამის  
პირველ მერცხალს — ვოლზოვის ჰიდროელექტროსადგურს. ეს იყო საბჭოთა აქარის  
ახალი ცხოვრების, ახალი სინამდვილის მძლავრი ნაბიჯები.

ამ ხანებში აჭარაში იმოგზაურა გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბუსმა, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებები ასე გადმოსცა: „ყველგან ვნახე ახალმშენებლობა, განუწყობი წამოწყებებს, რომლებიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობისათვის ყველგან, ქალაქად თუ სოფლად, ვნახე საავადმყოფოები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, სამკითხველოები, ელსადგურები, ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხნები, ხიდები. ყველგან მოწმი ვიპოვე თავდადებული შრომის სოფლის მეურნეობის განსაუმჯობესებლად“.

საბჭოთა აღმშენებლის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ჩვენს ქვეყანაზე გერმანულ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა. ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად დადგნენ საქართველოს შვილებიც. მარტო აჭარიდან დიდი სამამულო ომში 24 ათასზე მეტი კაცი წავიდა. მათ შორის 600-მდე ქალი იბრძოდა ცეცხლის მოწინავე ხაზზე. აჭარის წარგზავნილებიდან 7.400-ზე მეტი კაცი დაიღუპა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მათ შორის ამ კუთხის პირველი საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ისრაფილ ჭინჭარაძე... გმირები არ კვდებიან. ხალხი მათ სხვანას წმინდად ინახავს.

ომისშემდგომი წლები აჭარაში თვალსაჩინო წარმატებების, ნამდვილი შრომითი გმირობის დაუვიწყარი წლებია.

დღეს აჭარის სამრეწველო საწარმოები უშვებენ რთულ ხელსაწყოებს და მანქანა-დანადგარებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგალითად, აჭარაში დამზადებული ნავთობპროდუქტები, კატარღები, ელექტროკარები, კვების მრეწველობის მანქანები იგზავნება უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

ბათუმს სამართლიანად უწოდებენ რესპუბლიკის საზღვაო ჭიშკარს, 1967 წელს შეიქმნა დიდი კომპლექსური საზღვაო ორგანიზაცია — საქართველოს საზღვაო სანაოსნო. ქართველმა მეზღვაურებმა ბევრი სასახელო საქმე გააკეთეს. სად, მსოფლიოს რომელ ნავსადგურში არ შეხვდებით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდებს. ბათუმის ნავსადგური კი ერთ-ერთი უძველესია შავ ზღვაზე. იგი ხალხთა მეგობრობის ორდენითაა დაჯილდოებული.

აჭარის სოფლის მეურნეობაზე საუბარს ჩვეულებრივად მეჩაიეობით იწყებენ. მართალია, მას საქართველოში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ მაინც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საკოლმეურნეო წყობილების პირმშოდ. განუზრტლად იზრდება პექტარობრივი მოსავალი, აღიზარდნენ მეჩაიეთა შესანიშნავი კადრები.

ციტრუსოვანთა კულტურები საქართველოში ცნობილია უძველესი დროიდან. მემკვიდრეთა ცნობებით, ჭოროხის ხეობა ფრიალ ნაყოფიერი იყო ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით.

აჭარაში მეციტრუსეობის ახალი აღმავლობა, მისი გეგმაზომიერი განვითარება იწყება 1931 წლიდან, როდესაც შეიქმნა სპეციალიზებული ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები, პარტიამ და მთავრობამ ამ ღარგის განვითარებას დიდი პერსპექტივა დაუსახეს, განსაკუთრებით გაიზრდება ლიმონის წარმოება.

ვაზო, შვილივით ნაზარდოო, ამბობს ქართველი კაცი... აჭარა დაფარული იყო მრავალი ჭიშის ვაზით. უცხოელ დამპყრობთა სამასი წლის ბატონობამ გააჩანაგა იგი, მაგრამ ვაზის ფესვები მაინც გაცოცხლდნენ ნაყოფიერი მიწაში. საბჭოთა სეკისუფლების წლებში ისევ აღსდგა მეურნეობის ეს ღარგი და თანდათანობით საქმაც ზედრით წილს იკავებს აჭარის ეკონომიკაში.

აჭარა ტრადიციული მეცხოველეობის მხარეა. მისი მთელი ისტორია, განსაკუთრე-



ბიზ კი საბჭოთა ხელისუფლების წლები, იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ეს დარგი კიდევ უფრო განვითარდება.

ავტონომიური რესპუბლიკის, განსაკუთრებით მთიანი რაიონების ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს მეთამბაქოეობა. და რაკი საუბარი მთიან რაიონებზე ჩამოვარდა, აქვე დავსძენთ, რომ საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულია სავანებო ღონისძიებები მთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კულტურისა და განათლების გაფორმებისათვის. ახლა აჭარა დაფარულია სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ჯანმრთელობისა და საკურორტო-გამაჯანსაღებელი კერების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო ქსელით.

საბჭოთა კონსტიტუციის შვის ქვეშ ჰყავის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის მომავალს თვით მისი შრომისმოყვარე ადამიანები სჯედენ, ისინი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თავდადებით შრომობენ პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად. მომავლის მშენებელთა რიგებში დგანან აჭარელი ქალები, რომელთა ხვედრი, ისტორიული უკუდმართობის გამო, ძალზე მძიმე იყო. მათ დიდი როლი შეასრულეს ქართული ეროვნული კულტურის დაცვასა და შენარჩუნებაში.

აჭარელი ქალები სათავეში უდგანან საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუშაობაში, მაგრამ ქალისათვის ყველაზე საპატიო მაინც დედობაა. ამიტომაც განსაკუთრებული სიყვარულით არიან გარემოსილი სახელოვანი მრავალშვილიანი დედები.

მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. მათ განკარგულებაშია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, შესანიშნავი კურორტები, თუმცა ამ კურორტების სტუმარი მარტო პატარები როდი არიან. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი აჭარა კურორტების მხარეა, განსაკუთრებით კი მისი შავი ზღვის სანაპირო. ვინ არ მოხიბლულა მისი დიდებული ზღვით, მაცოცხლებელი ჰაერით, მცხუნვარე მზით, და საერთოდ, ამ შესანიშნავი ბუნებით.

„უკვე შემოძლია გითხრათ, რომ მოჩადოებული ვარ. ბუნების ფერების მკვეთრი კონტრასტები მთელი არსებით მიტაცებს, თავს მშვენივრად ვგრძნობ, სიცოცხლეს შევხარი. ასე მსუბუქად, უზრუნველად კარგა ხანია არ ვყოფილვარ... დღეს ბათუმში ჯანმრთელმა და მხიარულმა გავიდვიძე, ჰაერი ისეთი რბილი და კარგია ჩემთვის, რომ სუნთქვით ვერა ვძლები. თვალწინ კი ისეთი სასიამოვნო სანახაობა გადაიშალა, რომ მას ვერავითარი იტალია ვერ შეცვლიდა.

ჩემი აღფრთოვანება აღუწერელია. ეს დიდებული, პირველყოფილი ღვთაებრივი სილამაზე... მცხოვრებთა სილამაზე, მათი მოხდენილი ტანსაცმელი აღტაცებით აღვსებს სულს... ბათუმში მე თავს კარგად ვგრძნობ, ბევრს დავდივარ და თავისუფლად ვსუნთქავ, თითქმის ათი წელი ჩამომციდლა მხრებიდან. აქაურობა სამოთხეა“.

ეს სიტყვები ჭერ კიდევ გასულ საუკუნეშია დაწერილი და ისინი დიდ რუს დრამატურგს ალექსანდრე ოსტროვსკის ეკუთვნის. სხვათა შორის, საპატიო სტუმარმა ბათუმის ზღვისპირა პარკში მაგნოლია დარგო, რომელსაც დღეს მძლავრად გაუშლია ტოტები და ბათუმელები მას ოსტროვსკის მაგნოლიას უწოდებენ.

დიდი მწერლები, მუსიკოსები, მხანობები, საზოგადო მოღვაწეები ხშირად ჩამო-

დიოდნენ ბათუმში და აჭაური ბუნების სილამაზეს, ამ კუთხის მცხოვრებთა სტუმართ-  
მოყვარეობას აღტაცებით იხსენიებდნენ. მათ პატივსაცემად ბათუმის სახლებზე გაკრუ-  
ლია შემორჩალონი დაფები, ქუჩებს ჰქვია ოსტროვსკის, გორკის, ჩაიკოვსკის, ენგელსის  
სახელები...

ესოდენ ბევრი და ასე იოლად ცხოვრებაში მეტად იშვიათად იწერებაო, წერდა  
მეგობრებს სერგეი ესენინი ბათუმიდან. მისი „ანა სნეგინა“, „შაგანე“ და კიდევ სხვა  
შედეგები სწორედ ბათუმში დაიწერა. ამ ქალაქს ესენინმა ლექსი მიუძღვნა.

კონსტანტინე პაუსტოვსკი ბათუმს არაჩვეულებრივ და ულამაზეს ქალაქს უწოდე-  
ბდა, სოლო ნაზიმ ჰიქმეთმა მას ახალი სამყაროს კარი დაარქვა. ნანსენმა კი, როდესაც  
ბათუმის ბოტანიკური ბაღი დათვალიერა, აღტაცება ასე გამოხატა: მაკირვებენ და  
მხარებენ ადამიანები, რომლებმაც შესძლეს დაეგროვებინათ ამდენი ცოდნა და გამო-  
ემუღანებინათ ამდენი მოთმენა, რათა ასე თავისუფლად გარდაქმნათ ბუნება.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი პროფესორმა ა. კრასნოვმა ჩვენი საუკუნის დასაწყის-  
ში დაარსა ქალაქის მახლობლად, მწვანე კონცხზე. მსოფლიოს მრავალი კუთხიდან  
ჩამოიტანა და გაახარა ეგზოტიკური მცენარეები, დღეს რომ მნახველები აღტაცებაში  
მოჰყავს... თვით ბათუმს პროფესორი ციტრუსების ბუნებრივ ორანჟერეას უწოდებდა.  
ღვაწლმოსილი მეცნიერი, ანდერძის თანახმად, თავის დაარსებულ ბაღშია დაკრძალუ-  
ლი, მის საფლავზე ძეგლი დგას.

მწვანე კონცხის სილამაზეზე წერდა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი, სხვათა შორის,  
სწორედ მწვანე კონცხზე დაწერა მან თავისი მოთხრობა „მწვანე რქა“. 1946  
წელს სწორედ აქ, ბოტანიკურ ბაღში, მუშაობდა მიხეილ ბულგაკოვი თავის პიესაზე  
„ბათუმი“.

ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი ამბობდა, თუმცა აჭარის  
რესპუბლიკა არ არის დიდი, მაგრამ მას უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა  
აქვსო. აჭარას სამართლიანად უწოდებენ 80 ქმის რესპუბლიკას, დიდი რევოლუციური  
და შრომითი ტრადიციების მხარეს.

აჭარის მშრომელთა ძმურ მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ბათუმის სოციალ-  
დემოკრატიული ორგანიზაცია, ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე რომ შეიქმნა, ქართველებ-  
თან ერთად აერთიანებდა რუსებს, სომხებს, ბერძნებსა და სხვა ეროვნების წარმომად-  
გენლებს. ისინი ერთად იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბრწყინვალე  
ფურცლები ჩასწერეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

გარძელებდა ეს სახელოვანი ტრადიცია. ხალხთა ურდევები მეგობრობა აჭარის  
მშრომელთა წარმატებების საწინდარია.

ჩვენს დროში ხალხთა ლენინური მეგობრობა გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და  
საერთაშორისო მოვლენად იქცა. 1964 წლიდან მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგო-  
მეგრადის ოკრუგის მშრომელებს შორის. ამ მეგობრობას ორივე მხარისათვის დიდი  
სარგებლობა მოაქვს.

მეტად ვფასობთ, ის გარდაქმნები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლე-  
ბში მოხდა აჭარაში. შედარებისათვის მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიშველიებთ.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ბათუმის სამხედრო ნაწილში მსახურობდა ოფიცერი  
დავით კლდიაშვილი, მომავალი დიდი მწერალი. აი, რას იხსენებს იგი თავის მემუარებში:

„ბათუმი მაშინ პატარა ქალაქი იყო, ოთხიათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუკი შეი-  
ძლებოდა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად, ზღვის პირადვე იყო  
ბაზარი — პატარა დაბალი ქოხნალები, ვითომ მაღაზიები, რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და  
მოუთერწყლავი, ქალაქის გარშემო გაშენებული ფაცხები“.



შედარებისათვის ვიტყვით, რომ მცხოვრებთა რადენობით ბათუმი კარგა ხანია საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების რიცხვს შეემატა. თუ სად იგზავნება ბათუმური პროდუქცია და რომელ ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ ბათუმის ნატარატორიდან გასული გემები, ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ.

წარმატებები, რასაკვირველია თვალსაჩინო და შთამბეჭდავია, მაგრამ ეს იმას რო-  
დი ნიშნავს, რომ ამ წარმატებებს იქით არ დავინახოთ ჩვენს მუშაობაში არსებული  
ნაკლოვანებები, ის პრობლემები, რომელთა გადაჭრა საბჭოთა ხალხს სკკპ XXVII  
ყრილობამ, 1987 წლის იანვრის პლენუმმა დაუსახა. როგორც ამ პლენუმზე ამხანაგმა  
მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, „საჭირო გახდება უდიდესი შემოქმედებითი ძალისხმევა  
და ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლა, რათა ბოლომდე მივიყვანოთ გარდაქმნის დი-  
დი საქმე, როგორც ამას მოითხოვს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ“.

....მსოფლიო რუკაზე გაგიჭირდებათ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტუ-  
რი რესპუბლიკის მოძებნა... პატარაა, მაგრამ რა ბევრის მოწმეა ეს მიწა-წყალი და რა  
დიდი ისტორია აქვს მას, რა დღევანდელობა და მომავალი!



## აბდულ მიქელაძის წერილები

„ივერია“, № 102, 1898 წ. 30 ივლისი

ს. ქედა (ქვედა აჭარა), 19 ივლისი. აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა; ისეთი საშინელი სიცხეა, რომ მიწაზე კვერცხი შეიწვის, ასეთ სიცხე-გვალვის მომსწრენი არა ეყოფილვართ. სიმინდები ისე ამოიწვა, რომ სრულიად გაყვითლებულია. რაღა თქმა უნდა, წრეულს სიმინდის მოსავალი ძალიან ნაკლები უნდა იყოს. პურისა და ქერის თესვა ჩვენში ბლომად არ იცინა. უმეტესად სიმინდსა სთესენ. თუ ვისმეს ჰქონდა პურის ყანა, ისიც ზამთრის სიცივემ გააფუჭა, სათესლე პური და ქერი აღარ იშოვება. მაღლობა ღმერთს კიდევ, რომ შარშანდელი სიმინდები ზოგიერთს მოეპოვება და ღარიბ ხალხს იმედი აქვს, მშვიერი არ დავიხოცებით და სესხით მაინც მოგვცემენო.

ხეხილსა, ყურძენსა და ვაშლ-კაკალს ჯერ კარგად ასხია, ამ მხრივ მოსავალმა არ გვიმტყუნა, ჩვენს ხალხს ხილის დიდი იმედი აქვს, სახელმწიფო ხარჯი ამითი უნდა გაისტუმროს

რამდენჯერმე აჭარაში სკოლის დაარსების შესახებ თხოვნა დაწერილი გვქონდა, მაგრამ ყურადღება არავენ არ მოგვაქცია და დარჩენილები ვართ ასე უსასწავლებლოდ. ნუთუ ამ მხრივ ხალხს ბედი არასოდეს არ გაუღიმებს?

„ივერია“, № 240, 1898 წ., 8 ნოემბერი\*

ს. ქედა. (ქვემო აჭარა). აჭარის უფროსად, აგერ ოცი წელიწადია, ტუფან ბეგ შერვაშიძე იმყოფება. იგი მუდამ ღარიბი ხალხის მოსარჩლე და სწორს გზაზედ დამყენებული იყო. აქ ყველა მისი მაღლობელია, რადგან თუ რაიმე სიკეთე გვჭირს დღეს, ეს სულ ტუფან ბეგ შერვაშიძის წყალობით. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იგი რათ ჰღირს, რომ მისის რჩევითა და მამაშვილურის დარიგებით ბევრი აღარ გადასახლდა ოსმალეთში. ეხლა ამ დალოცვილმა თავისის ნებით სამსახურს თავი დაანება ჩვენში, რის გამოც ჩვენებური ხალხი ძლიერ სწუხს...

ჩვენი ახალი უფროსიც ბ-ნი ვოსკრესენსკი, გულს მოდგინედ შეუდგა ფირალების დევნას. მოვიდა თუ არა ჩვენში, უპირველეს ყოვლისა ამ საქმეს მიაქცია ყურადღება...

წელს ძლიერ ცოტა სიმინდი მოვიდა ჩვენში. ორი-სამი თვის სარჩო ძლივს ექმნება ღარიბ კაცს. შეიძლება გაზაფხულზედ სიმინდი გაძვირდეს და ერთობ ცუდი საქმე მოგვივა. შინაური პირუტყვის გამოკვებაც გაძნელდება ამ ზამთარში, რადგან სიმინდი რომ არ იყო, ჩალა საიდგან იქმნება.

დასასრული. იხ. „ჟორბი“, № 1.

\* ვოსკრესენსკი ვლადიმერ ივანეს ძე, პორუჩიკი, ამ წელს დაინიშნა ქედის მაზრის უფროსად. (ავტორი).



როგორც ეტყობა, წელს ზამთარი შარშანდელზე ნაკლები უნდა დარჩეს. წარსულ წლებში ამ დროს ათ მტკაველამდე თოვლი იყო ჩვენში და წელს კი ჯერ-ჯერობით მაღალ მთებს არ ჩამოშორებია. მართალია, ცივა, მაგრამ საზოგადოდ ჭერ-ჭერზე უმეტესად დეზია.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 215, 1899 წ. 7 ოქტომბერი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქელა, (ქელა აქარა) წრევანდელმა გვალვამ ისე გააფუჭა ჩვენში ყანები, რომ ნახევარ აქარას ზამთრის სარჩო სიმინდიც არ ექნება. ლობიოს მოსავალი წრეულს სულ არ არის. ხეხილებიდან ვაშლი ძლიერ ნაკლებია და სხვა ხილები მსხალი და კაკალი, მაგალითად, წრეულს კარგად არის. ყურძენი, აგერ ათი წელი არის, ჩვენში არ მოსულა. წრეულს უფრო მეტი ჩხავერი და თეთრი მოვიდა. ღვინის დაყენება მაინც არავე იცის ჩვენში, რომ ჩხავერის ყურძნის ღვინო დააყენოს და რამე ისარგებლოს ღარიბმა ხალხმა. ჩხავერის ყურძნის ღვინოზედ უკეთესი ღვინო არ შეიძლება, მაგრამ ვინ გააკეთებს. მარტო ბეთმეზს და ლეჩერს აკეთებენ ჩვენში, იმას მოადუღებენ და ზამთარში ხმარობენ. სხვა ვერაფრად სარგებლობენ ყურძნით. თუ ბათუმში ყურძნად წაიღეს, ფასსაც არავე მისცემს. ზედა აქარის სოფ. ჭვანაში ყურძნის ხარდალს დააყენებენ ზაფხულობით და სვამენ. ცოტა ღვინის სუნი შეეღინა, მაშინვე დააქცევენ. ისიც არ იციან, რომ შეინახონ და ძირად აქციონ, ან გაჰყიდონ. ჩვენში ყანების ტეხვა-კრეფაა ეხლა და საქონლის საკვებს ნეკერს და ჩალას ალაგებენ.

ცამეტ სექტემბერს, შუადღეზე სოფელ მერისში უცებ ასტყდა საშინელი ქარი-შხალი. სამის სოფლის ნათესი სიმინდი სულ ერთიანად მოსპო და ჩაიტანა ხევში. ცუდმა ტაროსმა სამ საათს გასტანა, თორემ კიდევ რომ ყოფილიყო, მთელს სოფელს ჩაიტანდა აქარის წყალში. ერთს ღარიბ კაცს თურმე მოტეხილი სიმინდი ჰქონდა ნალიის ქვეშ მოგროვილი, სიმინდი ორმოც კოდამდის ექნებოდა, მაიარა ღვარმა თურმე და სულ მოსპო. დარჩა საწყალს ცოლ-შვილი მშვიერი.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 37, 1900 წ. 17 თებერვალი.

## წერილი ქვედა აზარდვან

ჩვენში ზამთარი ზაფხულად არის გადაქცეული. იანვრის დამდეგს ცოტა თოვლი მოვიდა, მაგრამ მალე აშრა; დღეს მაღალ მთებზედაც აღარ არის. ისე კარგი ტაროსებია, მაისის თვის ამინდებს ჰგავს. თბილი ქარი ჰქრის და გზები გამშრალია; ხეხილები ყვავილებს იღებს. თოვლი წამლად რომ ეძებოთ სოფლებში, ვეღარ პნახავთ. მუშა კაცის ამინდებია, ყანის თესვა და ღობეების კეთება დაიწყეს ჩვენში. ზოგიერთი ძველი კაცები ამბობენ, რომ ამნაირი ზამთარი არ გვინახავსო. ძრიელ შიშობენ წრეულს სიმინდის მოსავალი ნაკლები არ იყოს...

აჭარლები დიდს მწუხარებაში ვართ. ქვეყანაში რაც უბედურება და სიღატაკი არის, ყველას აჭარაში მოუყრია თავი...

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 116, 1902 წ. 6 ივნისი

ქედა აჭარა. აქ სკოლა გვიარსდება. თითოეულმა მოსახლემ უნდა გაიდოს თითო მანეთი. შეძლებულები მეტსაც დაჰპირდნენ სკოლას. დიდად სასიხარულო იქმნება აქ სკოლის დაარსება. ქართული წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად არის აქეთ გავრცელებული... ჩამომავლობით ქართველები ვართ, დედა-ენა არ დაგვიწუნია. ახლა საჭიროა, რომ ქართული წერა-კითხვა გავრცელდეს ჩვენში სკოლის შემწეობით. ამიტომ მოუთმენლად მოვევლით სკოლის მალე დაარსებას.

აქვე წელს დიდი სიცივეები იყო. მაისი დადგა და ჯერ კიდევ სითბოები არ დაუშვრია. ხეხილს წელს ნაკლებად ასხია. ვაზის მოსავალიც ჯერ არა ითქმის-რა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 205, 1903 წ. 25 სექტემბერი

ს. ქედა (ქვემო აჭარა) როგორც გამოირკვა 26 აგვისტოს, ოსმალეთიდან გადმოსულა ქვემო აჭარაში ერთი „ბჯელი“ ვაჟკაცი სულუნხაღა დიასამიძე, რომელიც ადმინისტრაციის მიერ გადასახლებული იყო ციმბირში, იქიდან გამოქცეულა და ოსმალეთს გადაკარგულა. ხულუს აღას ქვემო აჭარაში თავის მტრები ეგულებოდა და აქ ჯავრის ამოსაყრელად გადმოსულა. პოლიციამ გაიგო მისი მოსვლა, 30 აგვისტოს, ბათმიდან ოლქის უფროსის თანაშემწე კაპიტანი ვოიჩიკი მოვიდა დიასამიძის შესაპყრობად, ყოველი ღონისძიება მიიღო, მაგრამ დიასამიძემ თავს უშველა და ისევ ოსმალეთში გადაიხვეწა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 229, 1903 წ. 26 ოქტომბერი

ს. ქედა (ქვემო აჭარა). წელს ჩვენში სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ უფრო ნაკლებია. ზოგან საცა ჩრდილი ადგილებია, არა უშავს რა. ცხელ ადგილებშიაც კი სულ სიცხემ ამოსწვა. სამყოფი სიმინდი არ მოსვლია ღარიბ-ხალხსა. ხეხილის მოსავალი, უმეტესად კაკალი, ბევრია. შარშან სულ არ იყო, წრეთულს ორი წლისა ერთად მოვიდა. მოსწრებული კაცები ამბობენ, რომ წლევანდელი წელი კაკლის მოსავლის წელიწადიაო. უკანასკნელ მოსახლე კაცსა ასი და ორასი ოყა კაკალი მოუვიდა. ვაჭრები ბათმიდან მოდიან და ოყას ორ-ორ შაურად ყიდულობენ და ბათომში მიჰქვით. იმ დღეებში ჩვენში კაკლის ვაჭრობა და კარგი სარგებლობაც არის.

ყურძენს პირველად კარგი პირო უჩანდა, მაგრამ ბოლოს გვიმტყუნა, ისე დანაცრა, რომ ზედ გახმა, აქა-იქ სოფლებში ჩხვერი ყურძენი არის, მაგრამ იმასაც ხეირი არ აქვს.

ვაშლი შუა აჭარაში ნაკლებია და მაჭახელის მხარესა და ზედა აჭარაში შარშანდელზედ უფრო მეტი იქნება.

ერთი წელიწადია სკოლის აშენების გამო ჩვენი ხალხიც წვალებშია, აგერ ორისამი თვეა, რაც აშენდა, მასწავლებელიც მოვიდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბავშვების სწავლება არ დაწყებულა. შორ სოფლებიდან მოყვანა ბავშვებისა შეუძლებელია. ახ-



ლო-მასლო სოფლები ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზეა. გზებში პატარ-პატარა ხევები, დედეები არის და ზედ თითო ხეა ხიდათ გადებული, ამ კვერნის ხიდებზე მანქანათი წლის ბავშვების ავტარში გავლა-გამოვლა მოუხერხებელია. დედ-მამას თავის შვილებ-ბის დაღუპვა არ უნდათ, თორემ სწავლა-განათლება გულით და სულით ენატრებათ. შორ სოფლებიდან ბავშვებიც რომ მოვიდნენ, სადგომი მაინც არ ექნებათ. ჩვენი ხალხი იმდენად მდიდარი არ არის, რომ ოთახი იქირაოს და ბავშვები სასწავლებელში ამყოფოს. სახელმწიფო გადასახადსაც დიდის წვალეებით ვიხდით.

ასეთ მწუხარებაში არიან ჩვენი ღარიბი აჭარლები.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, №-87, 1904 წ. 11 აპრილი

ს. ქედა (ქვედა აჭარა) გასულმა ზამთარმა კარგად ჩაიარა, მაგრამ სიცივე — კი დიდი იყო; მარტი ისე დაილია, რომ არ გავმთბარვართ. ხეხილს ჭერ ყვავილი თამამად არ გამოსვლია, მაგრამ მაინც შში აქვთ, რომ კაკალი და სხვა ხეხილი სიცივე-ყინვამ არ გააფუტოსო. ორი დღე არ გავა, რომ წვიმა და ცივი ქარიშხალი არ მოვიდეს. ჭერ ხალხს მუშაობა არ დაუწყია ცუდის ამინდების გამო. აპრილის იმედი გვაქვს ისევ.

აგერ თვეზე მეტია, რაც ჩვენში წითელა; უმეტესად ბავშვებს ემართება და ბევრი ბავშვი იმსხვერპლა; ისე ძნელად იხდიან, რომ გადარჩენა შეუძლებელია. ტანზედ ყვავილივით აყრის და მერე უჭრება. მეტისმეტ სიცხეს აძლევს. ათს დღეში რჩებიან.

წყლები ძლიერ აღელვებულია, უმეტესად აჭარის წყალია საშიში, რომ ჩვენის ქედის ხიდი არ მოსპოს. ღმერთმა თუ შემწეობა არ მოგვცა და წაგვართვა წყალმა, გაღმა-გამოღმა გასვლა-გამოსვლა შეუძლებელი შეიქმნება.

აგერ ერთი თვეა სოფელ ზენდიდში აბდულ ბეგ-ტოლუმბა-ზადე ბეჟანიძეს ორ სართულიანი სახლი უცებ დაიწვა, მადლობა ღმერთსა; ჩვენში ორკლასიანი სკოლაა დაარსებული დღეს. ქართველი მაჰმადიანი ათი-თორმეტი ბავშვი დაიარება სამი ვერსიდან უმეტეს სოფელ ძენწმანიდან, ახლო-მანლოდან. ს. ქედიდან სომხის და ბერძნის ბავშვებიც დადიან, მაგრამ სკოლის კედლები ხომ არ ასწავლიან, როცა მასწავლებელი არ არის.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, №-165, 1904 წ. 17 ივლისი

პეტრე უმიკაშვილის ხსოვნას

(მოგონება)

ოც წელიწადზე მეტი იქნება მას აქვთ, რაც თვრამეტი აჭარელი, მათ შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერი, ტფილისში ვიყავით დაბარებული პოლკოვნიკის იასონ იოსელიანის საქმეზე. ამ დროს აჭარა ახალი აღებული იყო და ჩვენც ტფილისში პირველად ვიყავით. ჩვენს მამა-პაპურ ტანისამოსში გამოწყობილებს და იარაღში შემოსილებს ყველა გაკვირვებით გვიყურებდა და გვათვალიერებდა. ერთ დღეს, საღამოზე, მე და სამი ამხანაგი ალექსანდრეს ბაღში ვისხედით. გამლე-გამომლეი ჩვენ შემოგვიტყროდა. უცებ ჩვენი ყურადღება მიიზიდა ერთმა გამვლელმა, რომელმაც ჩაგვიარა გვერდი; შემოგვხედა თუ არა, შემოტრიალდა და დაგვიწყო ყურება. ეს იყო შუა ტანის კაცი, ახლა ჰალარა ერევოდა, შავგვრემანი, მის თვალებში სიყვარული და აღ-

ასი ინტერბოდა. რუსული ტანისამოსი ეცვა. მოგვიახლოვდა და ტკბილი ხმით მძვინვარებდა: „თა ამ სიტყვებით: „უკაცრავად, თქვენ საღაურო ბრძანდებით?“ მისმა ხმამ ჩვენი ნდობა გამოიწვია, ავდექით ზეზე და მე ეუბასუხე: აპარლები ვართ-მეთქი. აპარლები და კაცი უცებ გაბრწყინდა, წამავლო ხელი და ხმის კანკალით მკითხა: რა სოფლიდან? გავკვირვებულმა ამ ნაირის მისი მოქმედებით, მე ეუბასუხე: ჩვენ ქვედა აპარიდან ვართ-მეთქი, მე ქედლიდან, ეს ერთი ჩემი ამხანაგი ს. ზუნდაგელი, მეორე — ს. ვაიოდან. (ყავთან მახაქაძე, რ. ს.) უცებ შემოტრიალდა, მივარდა ჩემს ვაიოდან ამხანაგს და მკითხა: ახმელ აღას იცნობო? ახმელ აღა მაგის ძმა არის-მეთქი, ეუბასუხე მე. ამის თქმა და ეს ჩვენი მოსაუბრე გადაეხვია ჩემს ვაიოდან ამხანაგს და პირისახე სულ გადაუყოცნა. შემდეგ ამისა გვითხრა: მე უმიკაშვილი ვარო, აპარაში ვიყავი რამდენისამე წლის წინად; ახმელ აღა სულ ჩემთან იყო და ერთად დავდიოდით სოფლებშიო.

დავჯექით. პეტრემ გამოგვიკითხა ჩვენი ვინაობა, მკითხა აგროფე, რისთვის ჩამოდითო; და როდესაც ყველაფერი გაიგო, წამოდგა ზეზე და გვითხრა: თქვენ ჩვენი ძვირფასი სტუმრები ხართ, იმდენი პატივი დამდეთ, დღეს მე მეწვეითო. ჩვენ ხატრი ვერ გავუტყებთ. ჩავიკვინა ფაიტონში და წაგვიყვანა სახლში. მას შემდეგ დიდი ხანია და კარგათ არ მახსოვს, ერთს დაბალ სახლებში მგონი, ანჩისხატის ქუჩაზე იდგა. შემგვიყვანა სახლში და დაუძახა დედას: დედა, დედა, დედა! რა სასურველი სტუმრები მოგიყვანე, რომ გავიგებ ვინ არიან, ძალიან მაღლობელი დამრჩებიო. აბა, თქვენ იცით, როგორ პატივსა სცემთო.

გამოვიდა დედა მისი და ორი დანი, ახალგაზრდა ქალები. ენა ვერ ასწერს რა სიხარულით, რა სიყვარულით და რა პატივისცემით მიგვიღეს: როდესაც გაიგეს, რომ აპარლები ვიყავით. სიხარულით ხომ ფეხზე არ იდგნენ. ვახშმათ იქ დავრჩით. განსვენებული პეტრე სულ ფრინავდა, დიდის სიამოვნებით გველაპარაკებოდა თავის შთაბეჭდილებებზე, რომელიც აპარას მოეხდინა მასზე. გვითხრა, იქ რომ ლექსებს ვაგროვებდი, ესლა უნდა გამოცეკო.

ჩაის შემდეგ ერთმა მისმა დამ მკითხა: ქართული კითხვა არ იციო? ცოტ-ცოტა კი ვიცოდი, მაგრამ ვუთხარი: არ ვიცი-მეთქი, არ დამიჯერა. უცებ გამოარბენინა ოთახიდან გაზეთი „ივერია“, რომელიც მაშინ პირველად ენახე. გაშალა ჩემწინ. დაადგა თითი ა-ნს და მკითხა ეს რა არისო? ა-ნი მეთქი, მერმე სხვა ასოებზე მკითხა და როდესაც მათზედაც მივეუბნე, წამოხტა პეტრე ზეზე და აღფრთოვანებულის ხმით წამოიძახა: ზომ ზედავთ ამას, აი, რა არის სისხლი! ეს ხალხი ორასი წელიწადია თურქების ხელში არიან და კიდევ არ დაივიწყებიათ დედა-ენა და კითხვაო.

შემდეგ პეტრემ წამიყვანა, როგორც მერე გავიგეთ, „ივერიის“ რედაქტორთან, თ. ა. ჭავჭავაძესთან, რომელმაც დიდის სიყვარულით მიგვიღო. დიდი პატივი გცა, ილიამ მომცა ქართული წიგნები და მითხრა: აპარაში დაარიგეო. ამასთანავე დამპირდა, „ივერიას“ ყოველთვის გამოგიგზავნიო. მას შემდეგ, მართლაც მომდის დღემდის „ივერია“, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის სამშობლო ენისათვის აპარაში. მეორე დღეს თერამეტყვე აპარელი პეტრესთან ვიყავით ჩაიზე, რის შემდეგ გავვიმართეს სადილი (მგონი ვახტანგ ორბელიანმა, პოლოცენიკმა) ალექსანდრეს ბაღში, რომელზედაც დაესწრო თ. ილია ჭავჭავაძე და ბევრი სხვა თავადაზნაურონი. ათი დღე დავრჩით ტფილისში. განსვენებული პეტრე სულ ჩვენი განუშორებელი ამხანაგი იყო. ამ ცოტა ხნის ამხანაგობით იმისთანა სიყვარული დანერგა ჩვენს გულში, რომ სიკვდილამდე ჩვენგან განუშორებელი იქმნება.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ პეტრეს სიკვდილი დიდად სამწუხაროა ჩვენ აპარლებსათვის. დაგვეკარგა ერთი ჩვენთვის გულმტკივანი კაცი, რომელსაც, ჩვენივე ბევრი უშრომია. აპარა თავის დღეში ვერ დაივიწყებს პეტრე უმიკაშვილს. აქაური



ქართელი მაჰმადიანები ეაფასებთ მისს შრომას და საუკუნო განსვენებას უსტარებენ.  
ჩვენს დაუღალავს მუშაჲს პეტრე უმიკაშვილს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„თანამედროვე აზრი“, №-68, 1915 წ. 2 მაისი

ა ბ ა რ ა

(ს. ქელა, ქვემო აჭარა)

აჭარლებს ყოველთვის დიდი იმედი ჰქონდა მისი მოძმე ქრისტიანი ქართველების სწამლათ, რომ ისინი გაპირვების დროს ყველაფერს დაივიწყებდნენ და ძმურათ ხელს გაუწოდებდნენ ობოლ აჭარლებს. ცოდვა გამხელილი სჯობს; ბევრი მაჰმადიანი ქართველი და ბევრი ქრისტიანიც ფიქრობდა, რომ ჩვენ ერთ-ერთზე დაშორებული ვიყავით, ერთი-მეორის სიყვარული განელბული იყო, მაგრამ პირმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ქრისტიან ძმებს უზომოთ ვყვარებივართ. სოფ. ქელაში ბ-ნ მენაბდეს ჩვენთვის მოსდის ქართული გაზეთი „აზრი“, ისე გვიხარია ამ გაზეთის მოსვლა, როგორც ბაიზამი, გაზეთში ვკითხულობთ, თუ რა თანაგრძნობით შეხვდა ქრისტიანი ქართველები ჩვენს უბედურებას, ვგებულობთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულებას აგროვებენ. შეძლებისდაგვარად გვეწევიან თვით დამშეული სოფლელები, გვეწევიან ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, გვეწევა დიდი და პატარა, ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდება, ჩვენი ნამუსის შემბლაღავი არ დაისვენებ, დამწვარ-გაპარტახებული სახლ-კარ-გზო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიმიწდით არ გაივსება, მაგრამ თითოეული კაპეიკი, ქრისტიან-ქართველის მიერ ჩვენთვის გადაღებული, მილიონია, თითოეული თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამია. გვეწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო იმატებს, მეტათ შეგვაკავშირებს და ყველას, ვისაც ამდენ ხანს არ სწამდა, რომ ჩვენ, რაკი სხვადასხვა რჯული გვაქვს, ამიტომ არ შეგვიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, ეს ურწმუნონიც დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ერთნი ვართ. დღეს ჩვენებური კაცისა და ქალის თვალში თქვენსკენ იცქირება. თქვენი მლოცველია და თქვენგან მოელის ხსნას. ჩვენ ამდენხანსაც თქვენი ექნებოდით, მაგრამ უსწავლელობა გვიშლიდა ხელს. დღემდე დიდ ყურადღებას არც თქვენ გვაქცევდით, ამიტომ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ჩვენში არავინ იყო და თუ იყო იგიც ზაქარია ჭიჭინაძის, ცხონებული პეტრე უმიკაშვილის და თავადი ილია ჭავჭავაძის მეოხებით. ამ ბოლო წლებში ზოგიერთი კაი მასწავლებელიც დარჩა. არ მიხება ბრძანებას და სკოლაში ასწავლა. ახლა ქართულის წამკითხავი თითქმის ყველა სოფელშია და დიდი სამადლო საქმე იქნება, თუ ნახმარ გაზეთებსა და წიგნებს გამოგვიგზავნით.

სხვა რაღა თავი შეგაწყინოთ. აჭარის ღარიბი ხალხი შეუღდა ყანის მუშაობას, მაგრამ აპრილიდან მოკიდებული აგერ მისიც ილევა და სულ აედრება. აპრილის ნათეს ყანებზე თოვლი მოვიდა, ზოგი არ ამოვიდა და რაც ამოვიდა, თავი აფუტებს. ჩემზე ძველი კაცები ამბობენ ამისთანა წელიწადის მომსწრე არა ვართო და ამ წელს აუცილებლათ შიმშილი მოყვებაო. ხეხილი ძლიერ ნაკლებია, კაკალი (ნიგოზი) და ვაშლი. აპრილის თოვლმა გააფუტა. ყურძენი შეიძლება დარჩეს... ჩვენი მდგომარეობა უკიდურესი იყო. მშვიერი ვიყავით, მარა გამოგზავნილმა სიმიწდმა მოგვისწრო და სული შევიბრუნეთ.

უფალო რედაქტორო, გთხოვთ იგი ჩემი ნაწიდან „აზრში“ შემისწორო და ისე დამიბეჭდო. ჩემი მოხუცების გამო, მეტი აზრი ვერ მივატანე.

ძველი გაზ. „ივერიის“ დაფიწყებული კორესპონდენტი აჭარელი მიქელაძე...

გოთა ქუჩიძე

## დრო მოითხოვს

დიდი ამოცანები დაუსახეს საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას სკკ XXVII ყრილობამ, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა. მათ უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიის მიერ შემუშავებული კურსის — გარდაქმნისა და დაჩქარების კურსის განხორციელებაში, თავიანთი წვლილი შეიტანონ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებაში.

ადამიანის ფაქტორი, როგორც ცნობილია, გონებაც არის და გრძნობაც, მაგრამ უპირველესად მაინც იმის შეგნებაა, რომ სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში მონაწილეობა აღმადლებს ადამიანს, განაპირობებს მისი პირადი თვისებების, ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლინებას. მხოლოდ საზოგადოების დიად კეთილშობილურ ამოცანათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში ყალიბდება იგი როგორც პიროვნება, როგორც შემოქმედი. ერთი სიტყვით, ადამიანის ფაქტორი — ეს არის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია. მასში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ინიციატივა და საქმიანობა, ახლის, პროგრესულის დაუცხრომელი ძიება, ე. ი. ნოვატორული სულისკვეთება და შეურიგებლობა რუტინისადმი, ნეგატიური მოვლენებისადმი, რომლებიც არა მარტო აფერხებენ ქვეყნის წინსვლას, არამედ ბევრად განაპირობებენ ადამიანის ზნეობრივ გადაგვარებას, მის მორალურ დაცემას.

ამრიგად, გარდაქმნა და დაჩქარება უკლებლივ ყველას ეხება, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებსაც. დრო, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, სტერეოტიპებისა და ინერციის დაძლევას, სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი ტრადიციების გამრავლებას ნოვატორობის საფუძველზე. ახლა არ გამოგვადგება ძველი საზოგადოება, ფაქტობრივად მიღწეულით რომ იფარგლებოდა. ჩვენ როგორღაც მივეჩვიეთ დღევანდელი შევადაროთ გუშინდელს და ხშირად სიამაყითაც კი ვამბობთ, რომ დღეს უკვე გვაქვს ის, რაც გუშინ არ გვქონდა, ვიციწყებთ, რომ მთავარი ის კი არ არის, რა არ გვქონდა და დღეს გვაქვს, არამედ ის, რაც უნდა გვქონდეს და არა გვაქვს, ე. ი. ვაძლევთ ვართ ვიმუშაოთ პერსპექტივით, გავითვალისწინოთ რას მოითხოვს დრო, რა სურს მკითხველს და რამდენად სრულად ვაკმაყოფილებთ მის სურვილს.

ამოცანა, როგორც ხედავთ, არტულ ადვილია და იგი წარმატებით რომ გადავწყვიტოთ, საქირაა შეუპოვარი შრომა, მოქალაქეობრივი გამგედაობა, მიზანსწრაფულობა. სხვანაირად თავს ვერ დავაღწევთ ნეგატიურ დანაშრევებს, გზას ვერ გავუკაფავთ ახალს, პროგრესულს, ჩამოვრჩებით დროს, ცხოვრების მდინარებას. აი რატომაა აუ-



ცილებელი ყოველნაირად ავამაღლოთ თითოეულის პასუხისმგებლობა, გავაძლიეროთ მომთხოვნელობა, ვიყოთ ბოლომდე პრინციპულნი, ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ე. ი. არსებითად გარდავიქმნათ.

ერთი სიტყვით, პრობლემა ბევრია, მაგრამ მათგან საგანგებო ყურადღებას, ჩვენი აზრით, მაინც ლიტერატურის გმირის პრობლემა მოითხოვს, რამდენადაც იგი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ფაქტორს, მის გააქტიურებას.

საბჭოთა ლიტერატურა, როგორც ცნობილია, გაჩენის დღიდანვე გამოირჩეოდა სინამდვილის ერთგულებით, ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლით, რამეთუ ხალხის წიაღში უდგას ფესვები და მის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. მაშინაც კი, როცა ფენი მოიკიდა „უკონფლიქტობის თეორიაში“, მცდარმა შეხედულებაში, თითქოს ჩვენი საზოგადოების მარმოწეული განვითარება თავისთავად გამოიყვანებოდა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს და, მაშასადამე, კონფლიქტურ სიტუაციებსაც. ქართული მწერლობა სიმართლის ერთგული დარჩა. იგი გაბედულად ამხილებდა ნეგატიურ მოვლენებს, მომხვეჭელებსა და მექრთამეებს, კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებს. როცა თითქმის ამ ოცი წლის წინ გამოქვეყნდა გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვალი პატროსანი“, ფრიალ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია გარკვეულ წრეებში და მისი ხაზარა განხილვა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სასურველად არ მიიჩნეხ. საბედნიეროდ, ასეთი ვითარება საქართველოში სხევებზე ადრე შეიცვალა და ქართული ლიტერატურა მხარში ამოუდგა პარტიასა და ხალხს ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში. თქმა არ უნდა, ეს იყო დადებითი პროცესი. ნაკლოვანებებისა და ცხოვრების მახინჯი მხარეების წარმოჩენა და დაგმობა დღესაც აუცილებელია, მაგრამ არც პოზიტიური ძვრები უნდა დავივიწყოთ, თუ გვინდა, რომ სინამდვილე სიმართლით ავსახეთ — არც შევალამაზოთ და არც დავამახინჯოთ.

სიმართლე — აი რა გვეპირდება დღეს უველგან და, ცხადია, ლიტერატურაშიც. მაშასადამე, საჭიროა მწერლობაში სინამდვილე ასახოს არა ცალმხრივად, არამედ მთელი მისი მრავალფეროვნებითა და წინააღმდეგობებით, უტყუარად გვიჩვენოს განვითარების ტენდენცია, ახლისა და ძველის ჭიდილი, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი დღევანდლობისათვის. თვით დრო, ჩანაფიქრთა დიაღოზა მოითხოვს ლიტერატურამ აქცენტი გადაიტანოს იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნება ადამიანთა აზროვნება და ფსიქოლოგია, როგორ ვძლევთ ჩამორჩენილობასა და კონსერვატიზმს, ნეგატიურ მოვლენებს, როგორ ვამკვიდრებთ სოციალურ სამართლიანობას. ამ ძნელსა და რთულ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, თუ თავად არ გარდავიქმენით, თუ ღრმად არ ჩაუწვდით ხალხის ცხოვრებას, სიმართლითა და დამაჯერებლად ვერ წარმოვაჩინეთ დიადი გარდაქმნის პროცესი და ადამიანები, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ, უწინარესად კი ისინი, ნამუსიანად რომ იღვწიან თავიანთ უბანზე და ავანგარდში მდიან.

მაშასადამე, ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს დადებითმა გმირმა, ადამიანმა, რომელიც არათუ ფხვს უწყობს ცხოვრებას, არამედ წინაც მიჰყავს იგი, ამკვიდრებს კომუნისტურ იდეალს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს დადებით გმირს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ჩვენი მწერლები. არადა, სწორედ დადებითმა გმირმა უნდა უჩვენოს მკითხველს, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ადამიანმა სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ეძლევა, რა წარმოადგენს ნამდვილ ღირებულებებს, რა ზნეობრივ თვისებებს უნდა ფლობდეს საერთოდ ადამიანი. ჩვენი ქვეყანა იმდენად მდიდარია მოწინავე ადამიანებით, რომ მწერალს, თუ იგი ჭეშმარიტად

ჩიტი შემოქმედია, არ უნდა გაუჭირდეს ნამდვილი და არა გამოგონილი, არა შეთხზული დადებითი გმირის გამოძიწვა.

არ შეიძლება ითქვას, თითქმის ჩვენი მწერლები საერთოდ უგულებელყოფენ დადებით გმირს, მაგრამ იგი სწორად უფერხორცოა, უსულო და სტანდარტული, სტერეოტიპულია და ამის გამო ვერ იზიდავს, ვერ იპყრობს მკითხველს, მის სულსა და გულს და, ცხადია, ვერც მიბაძვის სურვილს აღძრავს მასში. ეს კი იმის შედეგია, რომ ჩვენი მწერლები ღრმად არ სწავლობენ ცხოვრებას, ადამიანებს, არ იკვლევენ სინამდვილეს, მიმდინარე მოვლენებს. მას ისიც ადასტურებს, რომ პრესაში შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ ვხვდებით მათს პუბლიცისტურ გამოსვლებს მწვავე ცხოვრებისეულ პრობლემებზე, არ გვიჩვენებენ მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს, ეს მაშინ, როცა პუბლიცისტიკა რომანსა და მოთხრობაშიც კი შეიჭრა.

ამის მიუხედავად, უდავოა, რომ ჟჰარის მწერლებმა ბოლო დროს არაერთი საუურადღებო ნაწარმოები შექმნეს და პრესტიჟული პრემიებიც დაიმსახურეს. არა მარტო საბჭოეთის, არამედ საზღვარგარეთის ბევრმა თეატრმა დადგა ალექსანდრე ჩხაიძის პიესები, სულ ახლახან კი შორეული შანხაის თეატრმაც წარმოადგინა მისი პიესა „სამიდან ექვსამდე“. საგულისხმოა, რომ ეს იყო საბჭოთა დრამატურგის პირველი პიესა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უჩვენეს მაყურებელს უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე. საქართველოს ფარგლებს გარეთაც გახდა ცნობილი შოთა როყვას პიესა „მდინარის გაღმა ჩემი სოფელია“. ბულგარეთსა და ფინეთში დაიბეჭდა ვახტანგ ახვლედიანის წიგნები. მოწონება დაიმსახურა არა მარტო უფროსი და საშუალო თაობის, არამედ ახალგაზრდა მწერლების მთელმა რიგმა თხზულებებმა.

და მაინც, თუ გულახდილი ვიქნებით, ბევრი თხზულების მხატვრული და იდეური დონე ჭერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის მოთხოვნებსა და გემოვნებას. მომრავლდა ე. წ. „საშუალო“, უფერული და აშკარად სუსტი ნაწარმოებები. ისინი, როგორც წესი, არ შეიცავენ რაიმე ამაღლებულ იდეებს, მოვლენის, ადამიანთა ქცევის შეფასებას. მათში არ ჩანს პერსონაჟთა სულიერი სამყარო, დამოკიდებულება ისეთი წარუვალი ღირებულებებისადმი, როგორიცაა სინდისი, პატიოსნება, თავისუფლება, მეგობრობა და, თუ ჩანს, პლაკატურად, პერსონაჟები მოქმედებენ არა ხასიათისა თუ გარემოების შესაბამისად, არამედ მწერლის სურვილ-სამებრ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მწერალს ძალა არ შესწევს ასახოს ცხოვრება და ადამიანები, რომლებიც სინამდვილეს რომ გარდაქმნიან, თავდაც გარდაიქმნებიან, იმდიდრებენ სულიერ სამყაროს, ხდებიან უფრო უკეთესი და კეთილშობილი. ეს იმის შედეგია, რომ ხელოვანი არ იკვლევს, არ ეძიებს, არ გვახარებს ახალი აღმოჩენებით და გვიქადაგებს ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებას იმის ნაცვლად, რომ გვიჩვენოს ადამიანის „სულის დიალექტიკა“.

რაკი ასეა, უპრიანია ვიკითხოთ: რატომ იბეჭდება ასეთი ნაწარმოებები?

საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს გაჩნდნენ თუ მომრავლდნენ ე. წ. „გამტანები“, რომლებიც იმდენ დროს არ ხარჯავენ ლექსისა თუ მოთხრობის შექმნაზე, რამდენსაც მათს დაბეჭდვაზე. ისინი იმუქრებიან, ტყუენ აჟალ-მაჟალს, წერენ საჩივრებს, ერთი სიტყვით, მოქმედებენ „ძალის პოზიციიდან“. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, არცთუ იშვიათად, ზოგჯერ ზემდგომი ორგანოების ჩარევითაც, საწყდელს აღწევენ და თავისი გააქვთ (ამიტომ შეარქვეს მათ „გამტანები“) — გამომცემლობები თუ რედაქციები ვეღარ იგერიებენ მათს შეტევებს და, ბოლოსდაბოლოს, დათმობაზე მიდიან. ასეთ ავტორთა წიგნებს, რაკი ნებით ცოტა ვინმე თუ იძენს,



მაღაზიის მუშაკები დებენ კარგ, დეფიციტურ წიგნებში და ამ გზით ცდილობენ მათს გასაღებას.

აქ უთუოდ თავისი სიტყვა უნდა თქვას ლიტერატურულმა კრიტიკამ მისი ამოცანა სრულიადაც არ არის ვინმეს წერა ასწავლოს, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. მწერლობას ვერც ვერავინ ასწავლის და ვერც ვერავინ ისწავლის. იგი ნიჭია, რომლითაც ბუნება ყველას როდი აჯილდოებს. სავსებით მართალი იყო აკაკი წერეთელი, როცა ამის თაობაზე ამბობდა: „წერა ყველას შეუძლია, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი მწერლობა კი არა“. კრიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველს უნდა გაესაუბროს, ცხადყოს, თუ რა და როგორ თქვა მწერალმა, რამდენად შეესაბამება მისი თხზულება სინამდვილეს, სწორად გამოხატავს თუ არა საზოგადოების განვითარების ტენდენციას, ზერეულ დაკვირვების, ჭკერების შედეგია იგი თუ ცხოვრების ღრმა ანალიზისა.

აქარაში მაღალკვალიფიციურ კრიტიკოსთა მთელი პლეადაა, მაგრამ, რარიზ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს ეს, ლიტერატურული კრიტიკა არა გვაქვს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მწერალთა დიდ ნაწილს არასწორი წარმოდგენა აქვს კრიტიკაზე, მიაჩნია, რომ იგი უნდა აქებდეს მათ, ზოტბას ასხამდეს და ამის გამო სულ უბრალო შენიშვნაც კი აღწიანებს, ძლიერ მტკივნეულად განიცდის მას და პირად შეურაცხყოფად, თავისი ავტორიტეტისა და ღირსების შელახვად თვლის. რაც შეეხება ე. წ. „გამბანებს“, ისინი ხომ თავებდეს აწყველინებენ კრიტიკოსს, თუ გაზედა და უარყოფითად შეაფასა მათი ნახელო. ასე რომ, კრიტიკას მხოლოდ ქების მისია დააკისრეს და კრიტიკოსებმაც დათმეს პოზიციები — ან მარტო სახობო რეცენზიებს წერენ, ან ღუმოლს ამჯობინებენ, არ მონაწილეობენ ლიტერატურულ ცხოვრებაში. შემთხვევითი არც ის არის, რომ მკითხველთა კონფერენციები, ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვები და სხვა ამგვარი ღონისძიებანი ამა თუ იმ მწერლის ხელალებით ქება-დიდებად გადაიქცა.

რარიზ განსხვავდება ჩვენი მწერლების ასეთი პოზიცია ლიტერატურული კრიტიკისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებისაგან. როცა დიდმა მწერალმა თავისი „ოთარანთ ქვრივი“ გამოაქვეყნა, ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, ბევრი რამ უსაყვედურეს ავტორს და ყველა ეს შენიშვნა თუ საყვედური დაიბეჭდა... „ივერიაში“, რომელსაც თვით ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა. მეტად საყურადღებო და საგულისხმოა რედაქტორის ერთი მინაწერი მიხეილ ხელთუბნიშვილის სტატიაზე „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივისა“. მასში ნათქვამია, რომ კრიტიკოსს თავის სტატიასთან ერთად ილიასთვის გაუგზავნია ცალკე წერილი, რომელშიც წერდა: „შეიძლება თქვენ არ გეხერხებოდეთ თავის გაზეთში ჩემი შენიშვნების იმ ალაგების დაბეჭდვა, სადაც მე ქებით მოგიხსენიებთ თქვენ, მაგრამ საჭიროა არ დაივიწყოთ, რომ „ივერია“ ერთ-ერთი (არასპეციალური) გაზეთია და რომ აქაც არ შეიძლება დღეს თქვენზე როგორც ავის, ისე კარგის თქმაც. მაშინ ჩვენ თითქმის იძულებული ვიქნებოდით სრული სიმართლე არასოდეს გვეთქვა“. ამის პასუხად ილია წერდა: „ჩვენ სწორედ იმ ადგილს მოვერიდებით, რომელსაც ავტორი ასახელებს. სხვა დანარჩენს კი სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელად ვბეჭდავთ“.

ამ ამონაწერში ხაზგასასმელია ორი მომენტი. კრიტიკოსს სრულიადაც არ ეეჭვებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე სტატიას დაუბეჭდავდა, თუმცა იგი ბევრ კრიტიკულ შენიშვნას შეიცავდა, მარტო ის აფიქრებდა, ქებას წაშლისო და ასეც მოხდა. დიდმა მწერალმა თავისი ქება ამოიღო, ყველა შენიშვნა თუ საყვედური კი უცვლელად დაბეჭდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ამით შეილახა თუ, პირიქით, ამაღ-

ლდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი? მაშ, რატომ უნდა ჰქონდეს რომელიმე ჩვენს მწერალს ილიაზე მეტი პრეტენზია? ჩინგიზ აითმათოვი თანამედროვეობის ერთი უთვალსაზიროესი ბელეტრისტია, მაგრამ მისი ბოლო რომანის „საქალაქო უსუნძი“ თაობაზე ცოტა კრიტიკული შენიშვნა როდი გამოითქვა რუსულ პრესაში. არა მგონია, ამის გამო მწერლის ღირსებას რაიმე ჩრდილი მისდგომოდეს. კრიტიკისაგან დაზღვეული არავინ არ უნდა იყოს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ხელოვანიც, თუნდაც ლიტერატურის „ვარსკვლავიც“.

დრო, საზოგადოებრივი ვითარება მოითხოვს, რომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა გააქტიურდეს, თქვას სრული სიმართლე, არ მოერიდოს ავტორიტეტებსა და ჩინოსნებს. ყველამ უნდა გავითვალისწინოთ მისი დიდი როლი მთელ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ყოველნაირად შევეუწყოთ ხელი მის განვითარებას. ახლებურად აზროვნება, გარდაქმნა სწორედ იმას ნიშნავს, რომ გამოვიჩინოთ კრიტიკისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება. მწერალი არ უნდა განაწყენდეს, თუ ზოგი რამ არ მოუწონეს, ხოლო კრიტიკოსი ვალდებულია მოქმედებდეს არა პირადი სიმპათიანტიპათიით, არამედ ბოლომდე ობიექტური იყოს, არ აჰყვეს ემოციას და გრიგოლ ხანძთელივით მოიქცეს, „რომელი პოვოს სიტყვაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჭერკვალი განაგდის“.

ლიტერატურული კრიტიკის ნაკლოვანებებს და მის დიდ როლს ხაზი გაუსვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისადმი. „დროა, — თქვა მან, — ლიტერატურულ-მხატვრულმა კრიტიკამ მოიშოროს გულ-არხეინობა და ჩინმოთნეობა, რომლებიც ჯანსაღ მორალს აწყულულებენ, ამასთან უნდა ახსოვდეს, რომ კრიტიკა საზოგადოებრივი საქმეა და არა ავტორთა პატივმოყვარეობისა და ამბიციების მომსახურების სფერო“.

ჩვენი ქვეყანა შევიდა განახლების, გარდაქმნის პერიოდში, უნდა გარდაიქმნან ჩვენი მწერლებიც, რათა ღირსეულად გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული დიდი და საპატიო ამოცანები, გახდნენ ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მთავარ მისწრაფებათა გამომხატველნი.





## „ამ თქვენი ქართული კილოც მიყვარს“

პარლო კალაძის დაბადების 80 წლისთავის გამო

პარლო კალაძის პირველი ლექსი 1920 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ პოეტი უანგაროდ ემსახურება სამშობლოს, ხალხს.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისა თუ ხალხის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც პოეტს გულთან არ მიეტანოს, არ გამოხატუ-  
რებოდეს.

კ. კალაძე პირველია ქართველ დრამატურგებს შორის, რომელმაც აჭარის სინამდ-  
ვილე „სცენაზე წარმოგვიდგინა. გამოირჩევა ამ მხარისადმი მიძღვნილი მისი ლექსები.  
მწერალი ამ კუთხის ხშირი სტუმარი იყო, ერთხანს კიდევაც ცხოვრობდა აქ.

ჯერ კიდევ 1929 წელს ბათუმში წარმოადგინეს მისი დრამა „ხატიჯე“, მისი დად-  
გმა განახორციელა ქუთაის-ბათუმის დასმა, რომელსაც კ. მარჯანიშვილი ედგა სათა-  
ვეში.

ამ ოთხმოქმედებიან დრამაში ვითარება აჭარისწყლის პიღროელქტროსადგურის  
მშენებლობის ფონზე იშლება და პიესა ახალი ყოფაცხოვრებისათვის გაჩაღებულ  
ბრძოლას, ძველი ადათებისა და ჩვეულებების კვდომას ასახავს. ასეთია სოციალური  
ფონი ამ ნაწარმოებისა.

დრამის მთავარი გმირი ხატიჯეა. ახალი ეპოქის იდეებმა ისე დაისადგურეს მის  
შეგნებაში, რომ სიცოცხლესაც არ იშურებს მათი დამკვიდრებისათვის. იგი საკუთარი  
მამის — გულბათის ხელით იღუბება.

გულბათი ძველი დროის, ბნელი და დამღუპველი ტრადიციების მიმდევარი და  
დამცველია. იგი ვერ ეგუება ახალ წესებს, სახელდობრ, ქალის განთავისუფლებას სა-  
უკუნეობრივი მონობისაგან, ჩადრის ახდას.

1930 წლის მარტში ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო დასმა თავისი გასტროლების  
დროს „ხატიჯე“ თბილისელ მაყურებელს უჩვენა. გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა:  
უ. ჩხეიძე გულბათის როლში იძლევა საცხებით სწორ და ფსიქოლოგიურად დამაჯე-  
რებელ სახეს. მსახიობს ყველაფერი აწონილი და გაზომილი აქვს, არცერთი ზედმე-  
ტი და ყალბი მოძრაობა არ ჩანს მის თამაშში. ტიპი დასრულებულად განსახიერებუ-  
ლია.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლებში ეს დრამა ერევნის სუნდუკიანის სახელო-  
ბის სახელმწიფო თეატრსაც დაუდგამს, ხოლო 1968 წლის სექტემბერში საქართველოს  
ტელევიზიამაც უჩვენა.

„ხატიჯე“ თვალსაჩინო ქართველ მხატვარსა და მოქანდაკეს, საქართველოს ხელო-  
ვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კ. კალაძის მეუღლეს, თამარ აბაკელიას გაუფორმე-  
ბია. ეს იყო 1931 წელს, როდესაც კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ დაიდ-  
გა „ხატიჯე“, გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ წერდა: ქართული დრამატურგიის სინამ-

დვილში ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც კონკრეტულად, დამაჯერებლად გვიჩვენებს სინამდვილეს, ძლიერ ეპიზოდებს აჭარის ცხოვრებიდან. წარმატებას ხელში უწყობს თამარ აბაქელიძე. სხვათა შორის, ხელოვანმა შემდეგ მხატვრულად გააგრძელა რამა კ. კალაძის წიგნი „მგზავრობის დროს თქმული ლექსები“, რომელიც 1935 წელს გამოიცა ბათუმში.

თ. აბაქელიძისთვის აჭარის თემა ახალი არ იყო. 1920 წელს მისი მშობლები ზონიდან ბათუმს გადმოსახლებულან და პატარა თამარი თან წამოუყვანიათ. ჩვენს ქალაქში გადმოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი შემოქმედისათვის. ბათუმში იგი მოხვედრილა სტუდიაში ცნობილი მხატვრის ვალერიან ილუშინისა, რომელმაც გოგონას ხატვა შეაყვარა. ფერწერის დაუფლებასთან ერთად თამარი წარმატებით სწავლობდა ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც 1923 წელს დაამთავრა.

მხატვარი არაერთხელ დაუბრუნდა აჭარის თემატიკას. მას ეკუთვნის ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ფასადზე გაკეთებული ბარელიეფური ფრაგმენტები, რომლებიც დამაჯერებლად გადმოგვცემენ აჭარის მშრომელთა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

1967 წელს თბილისში გამოცემულ ალბომში „თ. აბაქელია“ შესულია სურათი „მოხუცი აჭარელი“ — უ. ჩხეიძე დრამა „ხატიჯეს“ გმირის გულბათის როლში, ფრაგმენტები ბარელიეფისა „1902 წლის დემონსტრაცია ბათუმში“, რომელიც ამჟღავნებს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის მონუმენტურ შენობას თბილისში.

აჭარის, კერძოდ, ქობულეთის რაიონის სინამდვილიდან აღებულია „ჩაის კრეფა“. ასევე ითქმის „ნარიჩხის კრეფაზე“, რომელიც 1932 წელს არის შესრულებული.

ბათუმის თეატრმა 1931-1932 წლების სეზონი გახსნა დრამა „ხატიჯე“-თი. მაშინ განმეორებით უჩვენეს აგრეთვე რევოლუციურ-რომანტიკული დრამა „როგორ“. სხვათა შორის, ხულოს სახალხო თეატრმა ეს ნაწარმოები დადგა 1946 წლის აგვისტოში, ხოლო „ხატიჯე“ — 1967 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წელთან დაკავშირებით.

30-იან წლებში აჭარის თემაზე დაწერილი კ. კალაძის ნაწარმოებებიდან გამოირჩეოდა ლექსები „კახაბრის ველი“, „გონიო“, „ჭოროხის გზით“, „მთებიდან დაბრუნება ღამით“, „საახალწლო მგზავრული“, „ზღვის მიერ მიტოვებულ მთებში“, „ზღვა“ და სხვა.

ალბათ აჭარაში ძნელად მოიძებნება სოფელი, სადაც კ. კალაძე არ მისულიყოს, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან არ ესაუბროს, სიტყვით არ გამოსულიყოს, ლექსი არ წაეკითხოს.

1932 წლის ოქტომბერში ბათუმში ჩამოვიდნენ კ. კალაძე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიჭოვანი, ნიკო და კონსტანტინე ლორთქიფანიძეები, პ. ჩხიკვაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ლ. ქაჩელი, ნ. მიწიშვილი და სხვები. ისინი მონაწილეობდნენ აჭარის საბჭოთა მწერლების პირველ საგანგებო (დამფუძნებელი) ყრილობის მუშაობაში. 6 ოქტომბერს ეწვევნენ აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს სოფელ მახუნცეთში, სადაც გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რაც მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „აფჰესის დამკვერლამაც“ აღწუსა.

1938 წლის 22 აგვისტოს გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ გამოაქვეყნა პოეტის ნარკვევი აჭარაზე. მომდევნო წლის 7 იანვარს მშრომელებს შეხვდნენ კ. კალაძე, ს. ჩიჭოვანი, შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი.

1935 წელს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ მკითხველებს მიაწოდა კ. კალაძის კრებული „მგზავრობის დროს თქმული ლექსები“. ზოგიერთი მათგანი ავტორმა



შემდეგაც გამოსცა, ოღონდ გადაკეთებული სახით, ამასთან ნაწილს სახელწოდება, ზოლო მოქმედ პირებს სახელები შეუცვალა. მაგალითად, ლექსს „მგზავრულს“ შეარქვა „გზა ხულოს უღელტეხილზე“. მასში გადმოცემულია პოეტის მოთხრობები 1934 წლის დეკემბერში მაღალმთიან აჭარაში მოგზაურობისას.

იქვეა ლექსები „მთებზედან დაბრუნება ღამით“, „ზღვა“, აგრეთვე „მეზღვაურების შეხვედრა“, „ლ. გ. — გონიო“, გონიოში კ. კალაძე მეთევზეთა კოლმეურნეობას ესტუმრა... კრებულში შესული მოზრდილი ნაწარმოებები „მთების ეპოსი“, „ამბავი აჭარელი ამხანაგებისა, თქმული კარლო კალაძის მიერ“ და სხვ. „ამბავი“ პოეტის პირველი ეპიკური თხზულებაა. ეს ნაწარმოები კ. კალაძემ შემდეგ გადამუშავებული სახით გამოაქვეყნა, ოღონდ გულინეს სახელი ხატიჯეთი შეუცვალა. მისი პირველი ვარიანტი ასე მთავრდება: „ამგვარი ყოფილა მათი მოკლე წარსული ამბავი, მთქმელს და გამგონეს ჯანი ჰქონდეს დაუღალავი“.

ახალ ვარიანტში კი ნათქვამია, რომ აჭარის შავ ზღვისპირეთში ისევ გაზაფხულის დილაა, მშვიდობის დილაა, მშვიდობა მთქმელსა და გამგონესაცო.

კ. კალაძე ომის შემდგომ წლებშიც არაერთხელ იყო ქობულეთში, ბათუმსა და აჭარის მთიანეთშიც. დაესწრო ახალი სკოლებისა თუ ხიდების გახსნას, ახლდა აქ მოძმე ხალხების მწერლებს.

ასე, რომ პოეტი აჭარას არასოდეს ივიწყებს. ლექსებში აუცილებლად იხსენებს მის მთებს, რომელიმე სოფელს და ა. შ. ლექსში „საქართველოს მშვიდობიან გზებზე“, მაგალითად, ლაპარაკობს ქედაზე, მეზობელ სოფელ ვარჯანისსა და აჭარულ ცეკვა ხორუმზე. 1949 წელში დაწერილ ლექსში „მგზავრული“ ჩამოთვლის აჭარის სოფლებს. ყველგან ხარობს ფესვი. ბაღებს გვერდს ვერ აუვლი, კვლავ მიჰქრის მზით ავსებული სული, წინ კი ლენინის აწვდილი ხელებით დალოცვილი გზებილი.

შენც აწყევბი ამ სიმღერას,  
მხნედ ახედავ მწვერვალებს,  
მთელი ქვეყნის სიხარულით  
შენი გულიც მღელვარებს!  
სულ ერთია, კლდია თვალწინ,  
თუ ზურმუხტი მდელისი,  
სულ ერთია, ოღონდ იყოს  
კალთა საქართველოსი.

1968 წლის აგვისტოში ბათუმს მოადგა შავი ზღვის სანაოსნოს საოკეანო ლაინერი „შოთა რუსთაველი“, რომელსაც სახელმწიფოებრივი ზღვაოსანი ელიზბარ გოგიტიძე მართავდა, მან გემბანზე მიიწვია კ. კალაძე, ი. ნონეშვილი და ბ. უდენტი. მიტინგზე კ. კალაძემ წაიკითხა „გემი — რუსთაველი“, რომელიც ე. გოგიტიძეს უძღვნა.

გემს არ აჩნია ქარიშხლის დადი  
და არ სჭირდება ჩვენი ნუგეზი,  
დაცურავს, როგორც ოცნების ბაღი —  
საუკუნიდან საუკუნეში!  
გემის მესაქვე, გუთნისდგა ხარ —  
ზღვაზე ხნულს აჩენს შენი გუთანი,  
შენთვის შორიდან რომ დაგვეძახა,  
არ დავიშურებთ ხმა საკუთარი.

მამ, ქარიშხალიც ჩასთვალე არად,  
განაგრძე ბრძოლით გზა სასახელო...  
გახსოვდეს მარად, გახსოვდეს მარად,  
რომ გემს რუსთველად თვლის საქართველო.



ამავე წლის აპრილში პოეტმა იმოგზაურა თურქეთში, სადაც ულუ-დაღის მთებთან მოინახულა სოფელი მაჭახლა. იგი გასულ საუკუნეში აჭარის, კერძოდ, მაჭახლის ხეობიდან იძულებით აყრილ მუჰაჯირებს დაუარსებიათ. საუბარში პოეტმა ერთ-ერთ თანამემამულეს ასე უთხრა: „ნეტავ განახა, როგორ დაიწყო ჩვენი ბრწყინვალე ათასწლეული, ნეტავ განახა აჭარისწყალი განმანახლებურ შექად ქცეული! ნეტავ განახა მთების გულ-მკერდი, სასე ნარინჯი, ოქროს მედლებით, ნეტავ განახა, ჩვენს ახალ დღეებს თუ როგორ სჭედენ ჩვენი მჭედლები“.

1969 წლის 20 ივნისს ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კ. კალაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა. კ. კალაძეს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი რ. მარგიანი, საქართველოს სახალხო არტისტი მ. ზინიკაძე, უნგრელი პოეტი ქალი ჟ. რაბი, მწერალი პ. ლორია, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა, კრიტიკოსი გ. მარგველაშვილი, მხატვარი დ. ინაიშვილი, პოეტი ზ. გორგილაძე.

იუბილარი მაშინ აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ადგილობრივმა გაზეთებმა საიუბილეო საღამოს ანგარიშთან ერთად გამოაქვეყნეს ს. ჭილაიას, ო. ჭელიძისა და სხვათა წერილები პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მისალმებანი, მისი ლექსები.

1970 წლის ივნისში კ. კალაძე სიტყვით გამოვიდა ბათუმში გამართულ გ. ლენინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.

1972 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევრასაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, აჭარის რადიომ მოამზადა გადაცემთა ციკლი. გადაცემები მიეძღვნა აჭარის ხუთივე რაიონსა და ქ. ბათუმს. მე ქედის რაიონისადმი მიძღვნილი გადაცემა მოვამზადე და იგი 22 ოქტომბერს აჟღერდა რადიოთი. გადაცემაში მონაწილეობდა კ. კალაძე. პოეტი იმხანად აჭარაში მოგზაურობდა, თხოვნაზე უარი არ გვითხრა და გამოსვლასთან ერთად ექსპრომატად ლექსიც დაგვიწერა. გამოსვლის ტექსტი აჭარის რადიოს ოქროს ფონდში ინახება, აი ისიც: „ძვირფასო ძმებო, ჩემო ქედელებო, გამარჯობათ! მე ახლა თქვენთან სულ ახლოს ვარ და ისე, როგორც ყოველთვის, გულით მინდა ზმა მოგაწვდინოთ. თქვენ ალბათ ახლა რთველს ამთავრებთ, თქვენს მოსავალს მეც მინდა თვალი გადავავლო და თქვენი სოფლების სიკეთით გავიხარო. თქვენს შრომას გაუმაჩვოს, თქვენს შვილებს და შვილიშვილებს, ახლა რომ გაკვეთილებს სხაპასუხით იმეორებენ, მინდა გვერდში გიდგეთ და როგორც ჭადარამორეულმა, წარსულის გახსენებითაც გავიმაგრო გული. რა მადლა ავსუღვართ, რამდენი რამ ახალი გავეთებულა!

ამ 43 წლის წინათ თქვენი რთველი პირველად ვნახე, პირველად გამოველაპარაკე თქვენს აჭარისწყალს, ახალგაზრდობას. ახლა ჩემთვის, გაჭაღარავებული კაცისათვის,



რამდენი რამ აღსადგენი და მოსავონარია. თქვენი ამბავი ყოველთვის მსურდა გაგეგო, ქედელეზო, რისთვისაც არაერთხელ ვყოფილვარ სტუმრად თქვენთან და ახლაც ხალხს სით მოგესალმებით. მინდა წლევანდელი მოსავალი მოგილოცოთ და მოგილოცოთ მოლოდინიც თქვენთან ერთად მქონდეს, იცოცხლეთ და იღვებოდეთ, ისე როგორც თქვენი მთაბარი და თქვენი შრომა, მე თქვენი ქართულის კილოც მიყვარს, ქედელეზო!

ახლა წაგიკითხავთ ლექსს „ქედა“:

ქედავ, მთებზე შეფენილო ქედავ,  
მე შენს ფერად შემოდგომას ვხედავ!  
როგორც ფრთხილი ნიაჭარის სუნთქვა —  
მე ამ დილით შენთან ვიყო, ნეტავ...

ქედავ, მთებზე შეფენილო ქედავ!  
მეძებს მთიდან გადმომდგარი ოდა —  
შარიშური მალა აწვდილ რტოთა!  
ვარჯანისის გზა — ბილიკი ჩემსკენ  
მორბის ისევ — ისე როგორც რბოდა.

ქედავ, მთებზე შეფენილო ქედავ,  
ვით სიმწვანე და სილაღე ჩვენი,  
სიუმაწვილევ განვიხლოთ ძველი,  
იმ პირველი სიხარულის ცრემლით.  
მაქვს მე ახლაც წამწამები სველი!

ქედავ, მთებზე შეფენილო ქედავ!  
ვხედავ მე შენს საქართველოს, ვხედავ.  
მინდა შენი ვარსკვლავები ვთვალო,

მანდ ამ ღამით ცად ამოვლას ვხედავ, —  
ჩუ დამაკლებ შუქს, აჭარისწყალო —  
ამღერებულ ჩანჩქერების დედავ,  
ვხედავ, მე შენს საქართველოს, ვხედავ.

„ციხისძირის წარჩეგბში“ — ასე ერქვა საქართველოს ტელევიზიის 1976 წლის 24 ივლისის გადაცემას, რომელშიც ციხისძირის მეცირუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან ქართველი მწერლების შეხვედრას მიეძღვნა. ტელევიზიანე ვიზილეთ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები კ. კალაძე, ა. კალანდაძე, რ. ამაშუკელი, ვ. ასათიანი, რ. თაბუკაშვილი, ფ. ხალვაში, ნ. მაღაზონია, გ. სალუქვაძე, მსახიობები მ. ხინიკაძე, ნ. საკანდელიძე, ლ. ღლონტი და სხვები. გადაცემაში მონაწილეობდნენ ბათუმის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ბევრი საინტერესო ღონისძიება მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ქართველმა მწერლებმა. 1977 წლის დეკემბერში თბილისის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერლები ესტუმრნენ აჭარას. ქართველ მწერლებთან ერთად იყვნენ საქართველოში სტუმრად მყოფი რუმინელი მწერლები.



ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მეგობ-  
რობის ლიტერატურული სადამო. სიტყვები წარმოთქმეს და ლექსები წარმოთქმეს  
კ. კალაძემ, ნ. მაღაზონიამ, რ. მარგიანმა, ა. გომიაშვილმა, ფ. ხალვაშმა, გ. ხალვაშ-  
ვაძემ, მ. კახიძემ, შ. როყვამ, ა. ფუხარევამ, ჯ. ჯაყელმა, ჯ. ქათამაძემ, შ. ზოიძემ  
და სხვებმა...

კ. კალაძემ პირველმა გაულო კარი ჩადრით მოსილ აჭარელ ქალს — ხატიჯეს,  
საზოგადო ასპარეზზე გამოიყვანა და ქართველ დებთან ერთად ახალი ცხოვრების  
ფერხულში ჩააბა. იგი პირველი გაესაუბრა აჭარელ ამხანაგებს და სამოქმედოდ  
გაიწვია.





## ზნეობრივი აღზრდის ტრიბუნა

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება შეიცავს ხალხურ დიდაქტიკას, ევრეთწოდებულ ეთნოდიდაქტიკას, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა თაობათა სწავლა-აღზრდისა და პრაქტიკული განვითარების საქმეში. ფოლკლორმა, როგორც უტყუარმა სარკემ, შესანიშნავად ასახა საუკუნეთა მანძილზე ხალხში დაგროვილი შეხედულებანი და გამოცდილებანი სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შესანიშნავად ეხმარება ქართული პოეტური ფოლკლორის ფორმით მცირე, მაგრამ თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით უთვალსაჩინოესი ჟანრი — ანდაზა, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და სხარტი, მოხლენილი ფორმით გვთავაზობს პასუხს მრავალ კითხვაზე, გვაძლევს რჩევა-დარიგებებს, გვაქმებს და გვახალისებს, გვკიცხავს და პირუთვნელად გვაზიარებს.

ანდაზის უდიდეს დიდაქტიკურ-პედაგოგიურ ფუნქციაზე მიუთითებს ამ ჟანრის ხალხური სახელწოდებებიც: „აზრის ქობი“, „სიტყვის მუხლი“, „სიტყვის ძალა“, „გლეხის იარაღი“.

ვ. ი. ლენინი დიდ როლს ანიჭებდა ანდაზას მშრომელთა მასების დამოძღვრად არაზმვის საქმეში. „არის ხოლმე ისეთი მოსწრებული სიტყვები, რომლებიც გასათვარი სიმბავილით გამოხატავენ საქმიან რთულ მოვლენათა დედააზრს“, — წერდა პროლეტარიატის დიდი ბელადი. ცნობილია, თუ რა დიდი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა ვ. დალის მიერ გამოცემულ „რუსულ ხალხურ ანდაზებს“ და რა ხშირად იყენებდა იგი ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრის თავის უცვლად ნაშრომებსა თუ ზეპირ გამოსვლებში.

მ. გორაკი წერდა: „ანდაზები და სიტყვის მასალები შესანიშნავად აფორმებენ მშრომელი ხალხის მთელი ცხოვრების, სოციალურ-ისტორიულ გამოცდილებებს“.<sup>2</sup>

„რა სიმდიდრე, რა აზრი, რაოდენი შეგონებაა თითოეულ ჩვენს ანდაზაში, ბაჯალლო ოქროს!“<sup>3</sup> — თქვა რუსული ხალხური ანდაზების აზრის სიღრმითა და სიბრძნით აღფრთოვანებულმა დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა.

ანდაზა და მისი შემოქმედი ხალხი შესანიშნავად დაახასიათა ილია ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანი“ შესავალში: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. საღა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელი? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვია: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.<sup>4</sup>

ანდაზა, თავისი მოქნილი ფორმის წყალობით, ადვილად ეგუება და ერგება სხვადასხვა ისტორიულ გარემოს, ზოგჯერ ძველ შინაარსს იცვლის და ახალი ეპოქის სამსახურში დგება. უმთავრესად კი იგი, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, რომლებიც უშუალოდ მშრომელი ხალხის გულმართალ, პატიოსან წრეშია შექმნილი, ყოველთვის იყო, არის და იქნება მაღალზნეობრიობისა და კეთილშობილების გამოხატველი და მქადაგებელი, რამეთუ მასში ჩაქსოვილია მშრომელთა განცდები,

ფიქრები, ოცნებები და მათი ტკბილ-მწარე ყოფის ამსახველი ყველა დეტალი. ამიტომაცაა, რომ უძველეს ხანაში შექმნილი ანდაზები დღესაც პირველყოფილი ცხოველ-მყოფელობითა და აქტიურობით გამოირჩევიან.

ზეპირსიტყვიერების ქანრებს შორის ანდაზა თემატურად ყველაზე მდიდარია. იგი ცოცხლად და მარჯვედ ემსახურება ყველა დროის ადამიანთა დამოძღვრის კეთილშობილურ საქმეს, განამტკიცებს და მომავალ თაობებს გადასცემს საუკუნეთა მანძილზე მშრომელი ხალხის ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად შემუშავებულ ზნეობრივ-მორალურ კოდექსს, გვიქადაგებს შრომისმოყვარეობას, პატრიოტიზმს, ჰუმანიზმს, გმირობა-ვაჟაკობას, ურთიერთგაგანას, სტუმართმოყვარეობას, პატიოსნებას, სიკეთესადმი უანგარო სამსახურს, წარსულისადმი პატივისცემას, აწმყოს გულშემატკივრობას და უკეთესი მერმისის რწმენას. მრავალ ეპოქათა ტევრში გამოვლილი ეს მაღალზნეობრივი და მარად ადამიანური იდეები დღესაც ამშვენებს ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ დროშას. ამ მხრივ ქართულმა კლასიკურმა ფოლკლორმა წინ გაუსწრო ეპოქებს და უხსოვარი დროიდან იქცა კეთილშობილური ადამიანური იდეების მაღალ ტრიბუნად. მშვენიერად შენიშნა დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა: „მეყენიერებაზე არ იკარგება არა მარტო ნივთიერება, არამედ ზნეობრივი ენერგია; რომელიც ხორციელდება მაღლიანს ცხოვრებაში. წმინდა, პატიოსანი ცხოვრების მიმდევარნი თავის ზნეობრივ ძალას პფენს თავის გარშემო არა მარტო სიცოცხლის დროსა, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ჰპოულობს მიმბაძავთ, რომელნიც განაგრძობენ და უკვდავ ჰყოფენ მის მაღლიანს ხასიათსა და სპეტაკ ზნეს და ამდიდრებენ ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ქონებრივის თანხაზედ“.

ამიტომაც იყო, რომ დიდმა მოძღვარმა თავის უკვდავ „დედა ენაში“ უხვად შეიტანა ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის — ანდაზებიც, ბევრ ანდაზზე კი მშვენიერი საბავშვო მოთხრობები შექმნა. ყრმათა სულის მესაიდუმლემ კარგად იცოდა, რომ მშრომელი ხალხის მართალ და უტყუარ სულიერ ქურაში გადადნობილი და გამოწრთობილი, მოქნილი პოეტური ფორმით გამოხატული სიბრძნე ქართული ანდაზებისა უკეთ ჩასწვდებოდა ყმაწვილის ფაქიზსა და სათუთ სულსა და გონებას.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ბრიუსელიდან მშობლიურ სოფელ ბანძაში მეუღლეს წერდა: „...გთხოვ, თინას (თ. სახოკიას ქალიშვილი — თ. შ.) მეგრული ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ჩქარა სათქმელები და ზღაპრები ასწავლე...“ სამოციანელთა ეროვნულ ტრადიციებს ნაზიარებმა და მშობლიური ზეპირსიტყვიერების დიდმა მოამაგემ კარგად იცოდა, რომ ყრმათათვის ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი სულიერი საზრდო ხალხური სიტყვიერებაა, რადგან საუკუნეთა ნაფიქრი და ნაღვაწი მასშია ჩაქსოვილი, ხოლო ეროვნულ ფესვებზე აღზრდილი ყმაწვილი კი ქვეყნისათვის საჭირო და საიმედო მოქალაქე დადგებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ამაგი დასდო თ. სახოკიამ ქართული ანდაზების შეკრება-პუბლიკაციის საქმეს.

შრომა, არსობის პურის მოპოვება ადამიანთა ზნეობრივი წვრთნის მძლავრი და უნივერსალური სკოლაა. შრომისმოყვარეობაზე, სიზარმაცის დაგმობაზე უამრავი ანდაზა შეუქმნია ქართველ ხალხს. მათში პირდაპირ თუ ალევგორიულად დაგმობილია გაურჯელობა; მუქთახორობა, „ცუდათ ჯდომა“ და შექმებული გარჯილობა, აქტიური მოქმედება: „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“, „ვინც დაიზარაო, არც გაიზარაო“, „ზარმაცისათვის ყოველდღე უქმეაო“, „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ და სხვა.

შრომის შესახებ უხსოვარი დროიდან მომდინარე ანდაზა „ვინც არ მუშაობს, ის არ ჰამს“ X საუკუნის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვ-



რებაშიც“ შევიდა: „რომელი არა შურებოდეს, ნუცაღა ჰვამს“, — მოგვძახის საუკუნეთა სიღრმიდან გიორგი მერჩულე. ამ ანდაზას იცნობს „ახალი აღთქმაც“: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰვამს“.6

საინტერესოა ვ. ი. ლენინის მოსაზრება ზემოგანხილული ანდაზის ლიტერატურული ფუნქციის შესახებ: „ვინც არ მუშაობს, დაე, ნურცა სკამს“ — ეს გასაგებია ყოველი მშრომელისათვის. ამის თანახმაა ყველა მუშა, ყველა უღარიბესი და საშუალო გლეხიც კი, ყველა, ვისაც ცხოვრებაში გაჭირვება უნახავს, ყველა, ვისაც ოდესმე საკუთარი ხელფასით უტყვორია. რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი ეთანხმება ამ ჰეშმარიტებას. ეს მარტივი, უმარტივესი და უთვალსაზიროესი ჰეშმარიტება სოციალიზმის საფუძველია, მისი ძალის აღმოუფხვრელი წყაროა, მისი საბოლოო გამარჯვების მოუხპობელი საწინდარია.7

ბელადის ეს სიტყვები სამოქალაქო ომის სუსხიან დღეებში ითქვა და თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ანდაზა — „ვინც არ მუშაობს, ის არ ჰვამს“ — დღევანდელი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შრომა-განაწილების პრინციპია.

სამშობლო ქართველი კაცისათვის მუდამ იყო და არის წმიდათაწმიდა და სათაყვანო. მამულისადმი სიყვარულს დედის ძუძუსთან ერთად იწოდა ქართველი ყრმა და მისთვის თავდადება, მის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლის მიტანა უზენაეს პატივად მიაჩნდა. ეს დიდი და კეთილშობილური გრძნობა მრავალ ანდაზაში გამოხატეს ჩვენმა წინაპრებმა და ძვირფას ნობათად უძღვნეს შთამომავლობას: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შეილი სჯობდეს მამასა“, „სადაც ჩიტი გამოიჩეკება, მისი სამშობლოც ის არისო“, „სამშობლო დედაა, უტხოეთი — დედინაცვალი“, „სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავის ქებას დიდი არა უნდა რაო“ და სხვა.

მრავალჭირგამოვლილმა, ათასი ჯურის მომხედურთაგან აწიოკებულმა ქართველობამ ყოველთვის იცოდა ძმობა-მეგობრობის, ურთიერთგებრივის ფასი. ამიტომაც მოძღვრავს ჩვენი ზეპირსიტყვიერება ახალ თაობას ამხანაგობის, ერთობის სიყვარულითა და კეთილშობილური, ჰუმანური იდეების ამსახველი ანდაზებით: „ერთი თხლის გული ცხრა ძმამ გაიყვო“, „ძმა ძმისთინაო, შავი დღისთინაო“, „ძალა ერთობაშიაო“, „კაცი კაცის წამალიაო“, „მეზობელი კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ და სხვა.

ძნელბედითი ისტორიის მქონე ქართველმა ხალხმა ვაჟკაცობის, გმირობა-რაიონობის საკუთარი კოდექსი შექმნა და სასოებით ჩააქსოვა ეროვნული ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრში, მათ შორის ანდაზებშიც. ვაჟკაცობასა და კაი ყმობაზე მოუბარი ანდაზები ერთგვარი ძლიერი ზემოქმედების წყაროა ყველა დროის ყრმათა აღსაზრდელად, მათი სულისა და სხეულის გაკეთება-გამოსაწრთობად. აი, ისინიც: „ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი“, „ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარც იქ არის“, „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“ და სხვა.

სტუმართმოყვარეობა ჩვენი ეროვნული ტრადიციების ერთ-ერთი ძლიერი ნაკადია. სტუმარი „ღვთისაგან გამოგზავნილად“ შერაცხა ჩვენმა წინაპრმა და ამით ყმაღათური თქვა. სტუმრისადმი პატივისცემა და სიყვარული, კარგი მასპინძლობის ქება-დიდება ასეა გამოხატული ქართულ ანდაზებში: „სტუმარი რომ ბჭედ დადგება, სახლი მაშინ გასწორდებაო“, „სტუმარი ძალღიჯ არ გაიგდება ვარეთ“, „კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო“, „პურ-მარილის დასწავლა ქვამაც იცისო“ და სხვა.

ხალხურ ანდაზებში ერთხმად არის დაგმობილი სიცრუე და მლიქვნელობა, ბო-

როტება და გაუტანლობა, მშობრობა და სიღატაკი, სიძუნწე და სიხარბე, შური და თავ-  
კერძობა და სხვა მანკიერი თვისებები: „ავსა ნუ იქ და ავისა ნუ გეშინიაო“, „კარგი  
ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე — წინ დაგხედებაო“, „ტყუილს მოკლე ფეხები გეგაფუქსო“,  
„შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ესობოდაო“, „უნამუსო ვირზე შესეგს, „აჩუ,  
არაფერიო“, „ძუნწი კაცის ჯამში ლუქმა არ ჩასველდებაო“, „თავის ქება კიტრად  
ღირსო“, „გლახა ამპარტყანი მიწის ემძიმებაო“ და სხვა.

სწავლა-ცოდნის აუცილებლობის, განათლების საჭიროების ქადაგება ყოველთვის  
იყო ანდაზების საყვარელი თემა: „ნასწავლი კაცი სოფლისათვის კარგია, უსწავლე-  
ლი — ბარგიაო“, „უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას მიემატაო“, „ჰქვიანი მტერი  
სჯობია უგუნურ მოყვარესო“ და სხვა.

ახალგაზრდა თაობის სწორი ზნეობრივ-მორალური აღზრდა, მისი ფორმირება  
კაცურ-კაცად, მართალ კაცად, ყოველთვის იყო ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრის,  
და მათ შორის ანდაზის, აქტუალური პრობლემა. „ავი შვილი დედ-მამის მაგინებე-  
ლიაო“, — მოგვძახის საუკუნეების სიღრმიდან ჩვენი ბრძენი წინაპარი და მოგვავა-  
ნებს, რომ კარგად აღზრდილი ყრმა ისევ თავის მშობლებს, თავის ქვეყანას გამოადგე-  
ბა, „დედის გულის ვარდი“ და ქვეყნის „რკინის კარები“ იქნება. მოზარდის აღზრდა  
და ფორმირება დიდად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც  
იზრდება. ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა ოჯახს, მშობლებს ეკისრე-  
ბათ. ამიტომაც უთქვამს ხლხს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხეო“, „დედა  
იკითხო, კვიცი იყიდო“, და სხვა.

მშობლების საქციელი, მთელი მათი მოღვაწეობა შვილისათვის მაგალითის მიმცე-  
მია. დედ-მამის მიერ პატიოსნად განვლილი ცხოვრება შვილის სწორ გზაზე სიარუ-  
ლის უცილობელი საწინდარია. ამიტომაც გვაფრთხილებენ ხალხური ანდაზები: „მამის  
ნაქამმა ტყემალმა შვილს კბილები მოაჭრაო“, „ისეთი ხიდი გადე, შენმა შვილიშვილ-  
მაც ზედ გაიაროსო“ და სხვა.

მშობლებს რომ დიდ მოვალეობას აკისრებს, ქართული ანდაზა შვილებსაც მოუ-  
წოდებს მშობლებისადმი, უფროსებისადმი პატივისცემას: „დედის წინ მარბენალ კეიცს  
მგელი შესჰამსო“, „შვილი, მომდურე დედისა, ურჩია თავის თავისაო“ და სხვა.

ანდაზებში თვალნათლივ შეიმჩნევა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა კვალი. მრავალმა  
ანდაზამ ჩვენს დრომდე მოიტანა წარსულისათვის დამახასიათებელი მანკიერე-  
ბანი და გადმოსცა მშრომელთა წუხილი ამ სამარცხვინო ინსტიტუტების გამო: „ბატონი  
ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ — მასთან ყმობასა“, „ბატონს ყმა უყვარს უსმელ-  
უქმელი, ტანთ ჩაუტმელი, შინმოუსვლელი“, „აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ  
დაიდებაო“, „მამასახლისის სახლში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალი ზემო თაროს დამი-  
კიდეთო“...

ანდაზური მეტყველება ამშვენებდა და ამშვენებს ჩვენს ეროვნულ ზეპირსიტყვი-  
ერებას და მწერლობას. ანდაზა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, მისწრაფებე-  
ბის, ზნეობრივ-მორალური იდეალებისა და შეხედულებების ნათელი სარკეა. მასში  
ცხოველმყოფელი, სხარტად და ლაკონურად არის ასახული და გადმოცემული ჩვენი  
წინაპრების მიერ სამყაროზე, ადამიანთა საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვების  
შედეგად შემუშავებული ზნეობრივ-მორალური სრულყოფილების მოძეგლი.

ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან ერთად, ანდაზა ყოველთვის იყო და ჩვენს  
საზოგადოებაშიც რჩება ხალხის დამოძღვრის, დიდაქტიკურ-მორალური კომუნიკაციე-  
ბის საუკეთესო საშუალებად, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ტრიბუნად; ზნეობრივი  
წვრთნა კი, როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ავლიბ ზურაბაშვილმა აღ-



ნიშნა, „ზუსტად ის გადაუდებელი პრობლემაა, რომელზედაც გაჩუმება არ შეიძლება...  
„ერმა, ხალხმა, საზოგადოებამ შეიძლება გაუძლოს ყოველგვარ ვაებას, მაგრამ ვერ  
გაუძლებს, აუცილებლად დაზარალდება, თუ მისი მორალური ხერხემალი გატეხილია,  
დაირღვა და ხინჯი შეეპარა“.<sup>8</sup>

### შენიშვნები

- 1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 340.
- 2 М. Горький, О литературе, М., 1937, стр. 221.
- 3 Пушкин в воспоминаниях современников, М., 1950, стр. 455.
- 4 ი. ჭავჭავაძე, ტ. 2, თბ., 1985, გვ. 112.
- 5 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 202.
- 6 ახალი აღთქმამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, საკათალიკოსო საბჭოს გა-  
მომცემლობა, თბ., 1963, გვ. 495 (ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი თესა-  
ლონიკელთა მიმართ II, 3.10).
- 7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 474.
- 8 ა. ზურაბაშვილი, ფიქრი კაცურ კაცობაზე, თბ., 1978, გვ. 18.



## კიდევ ჩამოვალ თქვენთან

ეს იყო 1980 წელს... პირველად. თითქმის ძალით ჩამომიყვანა ქობულეთში ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ექიმმა ქეთინო ბლუაშვილმა. არადა, იმ წელს ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს...

ქობულეთი... თავისი განუმეორებელი ჰავით, შესანიშნავი პლაჟით, სიმყუდროვითა და ულამაზესი ფიჭვნარით ვის არ მოხიბლავს და დაატყუევებს...

სანატორიუმ „საქართველოში“ მოვეწყვეთ, ლამაზად მოწყობილ მყუდრო და ფაქიზ ბინაში...

თვითონ სანატორიუმში ერთი სამსართულიანი კორპუსია, პატარა და ქათვათა. ეზო ზღაპარს მოგვაცნობს ფიჭვნარითა და ყვავილნარით. პერსონალი თავს დასტრიალებს და თვალისჩინივით უვლის როგორც შენობას, ისე მის ეზო-გარემოს...

შესვლისთანავე, გულდიად შეგხვდებით ამ სანატორიუმის თავკაცი, მისი მოადგილე, გულისხმიერად მიგიღებთ, როგორც ძველ ნაცნობ-მეგობარს. მოგისმენთ, შესაფერადგილს მიგიჩენთ, ხოლო შემდეგ დღეებში აუცილებლად მოგიწახულებთ და ამბავს შინაურობით გამოგკითხავთ და საერთოდ, თავიდანვე სითბოთი აგავსებთ...

აი, ასეთი სითბოთი, ყურადღებით და ალერსით მიმიღეს იმ წელს, მომიარეს და გამომაჯანმრთელეს ჩვენმა სათნო მეურნალმა ქალბატონებმა, მთელმა მუდგერსონალმა...

მას შემდეგ, აგერ რამდენიმე წელია ზედიზედ ჩამოვდივარ ქობულეთში დასასვენებლად, რაღა თქმა უნდა, ისევ ჩემს სანატორიუმში ვჩერდები.

მახსოვს, იმ ხანებში კულტმუშაკად მუშაობდა ჩვენი ცნობილი „ძია მიშა“, რომელიც თვითონაც თავგამოდებით უკრავდა და მიკროფონით მთელი ხმით გვიწევდა საცეკვაოდ.

ადამიანის ბუნება ისეა აწყობილი, რომ განიკურნები თუ არა, უცებ გავიწყდება გადატანილი ავადმყოფობა, ხოლო ამ თბილ გარემოში შენც ხალისდები და მხრებიდან ჩამოიბერტყავ დარდას და განცდას... ისეთებიც გამოგვეჩვენა ხანდისხან, რომ ოპტიმისტურად განეწყობიან და ხალისით თვითონვე მღერიან, ან უკრავენ და თვით სხვებსაც ახალისებენ.

მახსოვს, ახლად ჩასული ვიყავი ქობულეთში, ნაცნობმა დამსვენებლებმა მითხრეს, — დღეს საინტერესო კონცერტი გველის ჩვენს კლუბშიო. აქ ერთი დამსვენებელი ჩამოდის ყოველ წელს და ჩვენი თხოვნით ყოველთვის დიდი სიამოვნებით მღერისო...

დანიშნულ დროზე თითქმის ყველა უკლებლივ მოვიდა კლუბში...

შემოვიდა ლამაზი აღნაგობის, ჭარბავი, მაგრამ მხნე და დარბაისელი, მომხიბლავი ღმილიანი კაცი. ყველას მოგვესალმა, ავიდა სცენაზე, მიუჯდა პიანინოს და ჩვენი პატარა კლუბის კედლებმა გაიწია თითქოს, ისეთი სასიამოვნო, ისეთი მომაჯადოებელი ჰახვებით გაიგოს დარბაზი...

ვისაც ბატონ ლევან ჭაფარიძის შესრულებით ქართული თუ რუსული რომანსები მოუხსენია, დამეთანხმებთან, რომ შეუძლებელია, დიდხანს არ დაამახსოვრდეს.



როდესაც თავისი „რეპერტუარი“ მოათავა ბატონმა ლევანმა, მსმენელებს შეეძლოთ, კიდევ რა გიმღეროთო.

ძლივს გამოვერკვიე ამ სასიამოვნო შთაბეჭდილებიდან და „ტურფის მღერის“ მემღერი“ იმღერეთ, ბატონო ლევან-მეთქი, ვთხოვე...

— რომ არ ვიცოდ?

— მე დავიწყებთ და თქვენ ამყვით-მეთქი...

ახალგაზრდობაში კი ვმღეროდი, მაგრამ, ეხლა არ ვიცი, რა ძალა მომეცა და რა ხმა, რომ მართლაც ძველებურად წამოვიწყე. ის იყო, ხმაშეწყობილად დავიწყეთ სიმღერა, რომ გვერდით ხანდაზმულმა მამაკაცმა ისეთი ბანი შემოგვაწია, რომ უკვე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ბუნებრივად, ლაღად ვმღეროდით და ყველა სიამოვნებით გვისმენდა. დავამთავრეთ სიმღერა და იგრილა ტაშმა... ბატონმა ლევანმა გვთხოვა; ამობრძანდით სცენაზეო. რა ძალა მქონდა, ავედიტ მე და ჩემი მეგობარი ნათელა ორჯონიძე, რომელიც აგრეთვე შესანიშნავად მღერის და ცეკვავს, აქვეა სუ-ხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე ირა კავილაძე, — რაღა თქმა უნდა, ჩვენი „შემომატებული“ ბანიც...

ისე საუცხოოდ ჩატარდა ის საღამო, როდესაც გამოვდიოდით, ყველა დიდ მადლობას გვიხდოდა, ყველას თვალებში ისეთი სიხარული ჩამდგარიყო, თითქმის წნევა და გულის ჩივილიც არავის ახსოვდა.

იმ დღეს გავიგე, რომ ბატონი ლევან ჯაფარიძე, თურმე, უკვე 30 წელია, რაც ამ სანატორიუმში ჩამოდის დასასვენებლად, თავის მეუღლესთან ერთად.

შემდეგ ბატონ ლევანს ვკითხე, — მართლა 30 წელია ბატონო ლევან, რაც ამ სანატორიუმში ისვენებთ-თქო?

იუბილეც კი გადამიხადესო, — მითხრა, — პირველად 1980 წელს, მეორედ კი 1985 წელს...

— ძალიან დამწყდა გული, რომ ამ იუბილეს ვერ დავესწარი, რადგანაც ცოტა მოგვიანებით ჩამოვედი, — ვუთხარი მე.

— ჩქარა მოვა 1990 წელიცო, — იმედიანად, მისებური ოპტიმიზმით მითხრა ბატონმა ლევანმა...

ვის არ შეხვდებით აქ დასასვენებლად ჩამოსულს, — ჩვენს გამოჩენილ ხელოვნების მოღვაწეებს, კინორეჟისორებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, კომპოზიტორებს... აქ ყველა ერთი ვართ და ერთმანეთის პატრონნი...

არასოდეს დამავიწყდება შეხვედრა კინორეჟისორ სიკო დოლიძესთან, ტკბილად მოსაუბრე, კეთილშობილ ადამიანთან. რამდენი თბილი დღე და საღამო მახსოვს მასთან და მის კეთილშობილ მეუღლესთან, ქალბატონ მეგი წულუკიძესთან ერთად გატარებული. თვითონ ძალიან უპირდა ბატონ სიკოს იმ წელს, ვერ გრძნობდა თავს კარგად, მაგრამ ჩვენ გვატრონობდა და გვეფერებოდა.

რა კეთილები, რა გულისხმიერები ვართ ასეთ გარემოცვაში...

არის შემთხვევა, როდესაც სასიამოვნო ამბებთან ერთად, ზოგჯერ არასიამოვნო ამბავიც გამოერევა და როდენ გულდასაწყვეტია, რომ დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულ კაცს გუნება-განწყობას გაგიღუპებს ვინმეს უსულგულო და უტაქტო მოქმედება...

ერთ დღეს სასადილოში აღელვებული დამხვდა თითქმის ყველა...

ერთ-ერთი დამხვენიბელი, — კოლმეურნე, შრომის გმირი — სასადილოში ჩვეულებრივად მიამაგრეს ერთ-ერთ მაგიდასთან, სადაც ცოლ-ქმარი სადილობდა...

სადილის დამთავრებისას მათ ალიაქოთი ატეხეს, შეურაცხვეს დიეტეტნიები, — აქაოდა, როგორ გაგვიბედეთ და ეს „გლეხი“ დავისვით გვერდითო...

საწყალი კაცი სამი-ოთხი დღის განმავლობაში ისე დადიოდა თავჩაღუნული, არავის ელაპარაკებოდა, თითქოს მას დაეშაუებინოს ვინმესთვის...  
მთელი სანატორიუმი აღშფოთა ამ ფაქტმა და თითქმის ყველა დამსვენებელი განუდგა და ზურგი შეაქცია იმ ცოლ-ქმარს.

ბიზნისი

ბევრჯერ ვცადე გამოვლაპარაკებოდი განაწყენებულ დამსვენებელს, მაგრამ რა-ღაცა ვერ აეწყო საუბარი, ეტყობოდა, ჯერ კიდევ გულნატკენი იყო...

ერთ საღამოს, როცა ისევ ისეთივე ეშხით უკრავდა ჩვენი აკორდეონისტი და სა-ცეკვაოდ გვიწვევდა ყველას, ჩვეულებრივად შეიკრა წრე, მაგრამ ცეკვას რატომღაც ვერავინ ბედავდა. უტბად, მე არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი შუა წრეში... ერთი წრე რომ შემოვუარე, უცებ ჩვენ საყვარელ კაცზე სოციალისტური შრომის გმირი, წითელ-წყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილისკენ გამექცა თვალი. არც დავფიქრებულვარ, ისე გავუჩერდი წინ და საცეკვაოდ გამოვიწვიე...

ვენაცვალე, ამ ჩემი მიწა-წყლის საამაყო კაცს, რომ არ გამაწბილა, გადმოვიდა, გაშალა მკლავები და ისე მომხიბლავედ იცეკვა, დღესაც თვალწინ მიდგას.

ეს იყო დაუფიწყარი საღამო...

ბატონ ნიკოს შემდეგ, ის ჩვენი განაწყენებულ კოლმეურნე გამოვიწვიე საცეკ-ვაოდ. მაშინვე სიამოვნებით გამომყვა ისიც, მართალია, ბატონ ნიკოსავეთ ვერ იცეკ-ვა, მაგრამ მთავარი ეს სომ არ იყო, ვაცეკვე.

მგონი, იმ საღამოსვე დავიწყე წყენა, რადგანაც ჩემს მიერ „გახსნილ ცეკვის საღამოს“ თვითონ პირველი აგრძელებდა და ყოველთვის თავგამოდებული ცეკვავდა...

გვრძნობდი, თვალეზით მე რომ მეძებდა, მაგრამ, მე ამ დროს ფიჭვნარში ვიჭეძე ჩემთვის და გულით მიხაროდა, რომ იმ საღამოს კიდევ ერთ აღამიანს ვაჩუქე ღიმბილი და დაუბრუნე ძველი განწყობა და ხალისი...

გვერდით მჯდომი ერთი ბათუმელი დამსვენებელი — ჩემი საყვარელი ქალი კი მძღობის ნიშნად უკვე მერამდენედ მეფერებოდა და მკოცნიდა, მე ამითაც ვიყავ ბედნიერი...





ნელი ღუმბაძე

## ოცდაათიანი წლების ქართული პოეზია

ოცდაათიანი წლები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში იყო ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ეპოქა. 1932 წლის 23 აპრილს გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის თაობაზე. ამ დადგენილებით გაუქმდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და შეიქმნა ერთიანი კავშირი საბჭოთა მწერლობისა. მწერალთა გაერთიანება ერთ შემოქმედებით ორგანიზაციაში ქმნიდა ახალ შესაძლებლობებს გაბედული შემოქმედებითი ძიებებისათვის. გავიდა სულ ორი წელი და მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებმა დაადასტურა სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის სიკეთე და დროულობა.

საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური ხასიათი, ეროვნული ლიტერატურისადმი თანმიმდევრული მზრუნველობა და მხარდაჭერა განაპირობებდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებასა და წინსვლას.

სოციალისტური გარდაქმნების ასახვა ერთ-ერთი ძირითადი იყო ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში. პაოლო იაშვილის ლექსი „კოლხიდის პირველ მოსახლეს“ ამ გარდაქმნებს ეძღვნება. პოეტი ხატავს ძველი და ახალი კოლხეთის ცხოვრების სურათებს და მათი დაპირისპირებით ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სოციალისტური მშენებლობის სიკეთეზე. ახლის დამკვიდრება სიხარულით ავსებს შემოქმედის გულს.

ვხედავ, დასახლდა პირველი გლეხი  
და ცას შეჰხარის პირველი კვამლი,  
ვხედავ, სხივებში შეხიზნულ ხეხილს,  
მესმის ყვირილი კოლხიდის მამლის...

ლექსში ძველი კოლხეთი ისახება როგორც ნესტის, გვიმრისა და თქეშის უდაბნო, შმორის ნისლში მძინარე ფართობი, სადაც ფუტკარი უთაფლოა. „ვერ ხარობს წყარო, ვერც ვარდი ვარდობს“.

ცხენი ვერ აპობს აზელილ ტლაპოს,  
მდუღარე საპონს ჰგავს ტბორზე ტბორი;  
სადაც რიონის გაშლილ კალაპოტს  
დახრჩოლილივით მოჰყვება მორი.  
სად სიხარული არის საბრალო  
და ტკბილი სიტყვაც თითქოს შურიც,  
საზე უკეთესი და მოზაფრანო  
და თითქოს გაუღივ მოხარშულია.

თავისუფალი შემოქმედებითი შრომის დიდი შედეგი ის იყო, რომ ძველი ბნელი ცხოვრება ინგრეოდა და მის ადგილზე ნათელი ბედნიერი ყოფა მკვიდრდებოდა. „კოლხიდის პირველ მოსახლეს“ განსაკუთრებით მდიდარია რეალისტური გონიერება. ტული ხილვებით, ზუსტი მხატვრული სახეებით. ლექსში მიღწეულია სემანტიკური, ემოციური და მეტრული ევფონიური კონტაქტი. ოცდაათიან წლებში დაწერილი ეს ლექსი ქართული პოეტური კულტურის მაღალ დონეს მიგვანიშნებს, რაც შედეგი იყო, რაღა თქმა უნდა, პოეტის ნიჭისა, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პოლო იაშვილმა სიმბოლისტური პერიოდის კრიზისი დასძლია განახლებული ცხოვრების პირობებში და ამ ცხოვრების გავლენით. კარგად წერს გურამ ასათიანი: „საჭირო იყო გარდამტეხი ისტორიული ძვრების შემოქმედება, რომ მათ (ქართველ სიმბოლისტებს და მათთან ერთად პ. იაშვილს, ნ. დ.) საბოლოოდ მიეგნოთ თავიანთი დაკარგული ფესვებისათვის, მტკიცედ დამდგარიყვნენ ეროვნულ ნიადაგზე და ქართველი ხალხის ბედ-ილბალთან, მის სულიერ ცხოვრებასთან აღედგინათ კავშირი“.

იმის შეგნება, რომ „დაუბრუნდა მიწას“, რომ აღდგენილია კავშირი ერისა, ახალი სოციალისტური წყობის სასიცოცხლო ინტერესებთან, პოლო იაშვილს ათქმევინა:

როგორც აფრის ტაკუნე

მოვარდნილი ზღვიდან,

ისეთი ვაჟკაცური

გაქროლება მიწდა.

ლექსი „როგორც აფრის ტაკუნე“ დაიწერა 1932 წელს. მასში პოეტი აყალიბებს რეალისტურ ესთეტიკურ პრინციპს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ასახოს სინამდვილე.

მორთმეულია სამყარო გობით,

მხოლოდ აკლია ოქროდ დადნობა,

და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და კოპიტს

ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა.

ამართულია სოველ ქვიშიდან

ცამდე კრიალა შუშის კედელი;

და მე არ ვიცი, რაღა მიშლიდა

მეთქვა სიმღერა განუწყვეტელი.

წმინდათაწმინდა ვალი — ეთქვა განუწყვეტელი ახალი სიმღერები, პოლო იაშვილმა პირნათლად მოიხადა. ოცდაათიან წლებში შექმნა პოეტმა თავისი შესანიშნავი ლექსები „პოეტის საქმე“, „მაგიდა — ჩემი პარნასი“, „ლირიკული მისამართიდან“, „სამგორისათვის“, „საკუთარ თავს“, „სამასი არაგველი“, „წინ, ესპანეთის გმირულ ხალხო!“ და მრავალი სხვა, პოლო იაშვილი ოცდაათიან წლებში ნამდვილი და დიდი გატაცებით უმღეროდა ახალ საქართველოს, მის ქალაქებსა და სოფლებს, მშობლიურ გამრჩე ხალხს, მეგობრობას, სიყვარულს. ერთი სიტყვით, პოეტი ცხოვრების შუაგულში იდგა და ჩვეული რაინდული შემართებით მღეროდა, სამაგიეროდ კი იმკიდა საყოველთაო აღიარებასა და პატივისცემას.

ალექსანდრე აბაშელის ოცდაათიანი წლების საქართველოს რომანტიკა განსხვავებული მხატვრული პლანით არის ნაგრძნობი. თუ საერთოდ ვისაუბრებთ სიმწელებზე, რომლებიც წინ ეღობებოდათ თანამგზავრ მწერლებს, ალ. აბაშელის შემოქმედება მწველზე მეტად გამოვავლდება ამის საილუსტრაციოდ.

საერთოდ, პოეტის წინააღმდეგობრივი შეხედულებები სათავეს იღებდა ახალ მოვლენებში გაურკვევლობიდან. მაგრამ ამასთან ერთად, პოეტი აღტაცებას გამოხატავდა,



როცა ავკალიდან მონადენმა შუქმა გააცისკროვნა თბილისი. ალ. აბაშელმა დიდებული მეტაფორით გამოხატა ეს სიახლე: „წავა და სადმე ქალაქის ბოლოს თავს ჩამოხრჩობს ტფილისის ღამეო“, მართლაც რომ დიდებული მეტაფორაა! ალ. აბაშელმა კიდევ უფრო შექმნა ლექსები, რომლებშიც მოცემულია მთელი საბჭოეთის და, კერძოდ, საქართველოს განახლებული ცხოვრების ფერადოვანი სურათები. განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „სიმღერა სამშობლოზე“:

ბრწყინავს, როგორც ნატვრის თვალი,  
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი —  
მრავალ ჭირთა ნატვრითაღი,  
დღეს დოვლათით გულდამტბარი.  
გაზაფხულის ფერად ყვავილთ  
ვხედავთ ნაცვლად ნარ-ეკათა.  
სავსე არის ოქროს ხევით  
ჩვენი ქვეყნის მწვანე კალთა.  
მზით გამთბარი შავი ზღვიდან  
პაპანინის კარავამდე  
გმირობა და შრომა ზრდიდა  
ჩვენი ქვეყნის შარავანდედს...

სამშობლოს ფერადოვან სურათს ხატავს ა. აბაშელი ლექსში „ახალ საქართველოს“. ლექსი გამოირჩევა ხალისიანი განწყობილებით; საქართველოს ღამაში პეიზაჟი შერწყმულია ისტორიულ რეალებთან, ცხოვრებიდან მიღებული აღტაცებული გრძნობებით სავსეა ლექსი. რაც მთავარია, ჩანს მომავალი დიადი გზა — „აღმართ-აღმართ აღმავალი დიდება“. ლექსის მეტაფორული წყობა ერთ მიზანს ემსახურება — სამშობლო ბედნიერია და პოეტის ბედნიერების საფუძველიც სწორედ ეს არის, საქვეყნო, სახალხო, საერთო და პირადული განუყოფელია.

ასე გაიკაფა ალ. აბაშელის შემოქმედებაში რეალისტური შემოქმედების გზა, ახალი შემოქმედებითი მრწამსი ჩამოყალიბდა. მაშასადამე, გამოსახვის ობიექტმა, სინამდვილემ შემოქმედება მოახდინა ცხოვრების შემეცნებისა და ასახვის პრინციპებზე.

შემოქმედებითი მეთოდის შეცვლა, ახლებური დამოკიდებულება ეპოქის სოციალურ, საზოგადოებრივ პრობლემებთან მკვეთრად გამოამჟღავნა სიმბოლისტური სკოლის ყოფილმა წარმომადგენელმა კოლაუ ნადირაძემ ლექსში „ორფეოსის სიმღერა“, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ფოლკლორული მასალის შემოქმედებითად გადამუშავების ფაქტად. „ორფეოსის სიმღერა“ ბალადისაქენ იხრება. ორი განყოფილებისაგან შედგება და სიუჟეტი გვახსენებს არგონავტებისაგან ოქროს ვერძის მოტაცების მითოლოგიურ ამბავს.

თუ კითხვას დავსვამთ ასე: რა მიზნით მიმართა კოლაუ ნადირაძემ ფოლკლორს, ხომ არ ნიშნავს არგონავტების მითის გამოყენება ლიტერატურის „ფოლკლორიზაციას?“ — ჩვენი ღრმა რწმენით, მითის გამოყენება კ. ნადირაძის ოცდაათიანი წლების შემოქმედებაში, კერძოდ ლექსში „ორფეოსის სიმღერა“, მიზნად ისახავს წარსულის მხატვრული სიმდიდრის ათვისებას ახალი პოზიციებიდან. ეს რომ ასეა, ამაში გვარწმუნებს ლექსის მეორე განყოფილება, რომელსაც ჩვენ მთლიანად მოვიტანთ:

საუკუნეთა დაცხრა ხმაური,  
წყალმა დაფარა კოლხეთის მხარე,  
მაგრამ კვლავ ისმის ხმა უცნაური  
და სხვანაირად ელვარებს მთვარე.

სხვა სასწაულის მოწამე ხდება  
კოლხეთის მხარე ქაობით სავსე,  
აქ თითქოს მიწა ხელახლა ჩნდება  
და მზეც პირველად ამოდის ცაზე.  
თითქოს ლეგენდა ცოცხლდება ისევ  
და დედამიწა სიმღერას ამბობს,  
პირველ სხივებით უბეებს ივსებას  
და პირველ თავის ნაყოფსაც ატკბობს!  
ზღაპრული ოქრო ამოაქვს თითქოს,  
რომ ის უბრძოლოდ დაუთმოს იმათ,  
ვინც გრძნობს ახალი ცხოვრების სიბოძს,  
**ახალ ცხოვრებას გაბმია სიმაღ!**  
და კოლმეურნეს ვაჟკაცურ მხრებით,  
მიწის პატრონი რომ არის სრული,  
მოცხმის უკვდავ სიმღერის ხმები,  
რომ გაუგებრა ორფეოსს გული!

ლექსში „ორფეოსის სიმღერა“ აღდგენილია კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის არა გაიგეების ნიშნით, არა ისტორიული რგოლების ერთ მთლიანობაში მოქცევით, არამედ ნაწევნებია ის დიდი განსხვავება, რაც წარსულ ცხოვრებასა და პოეტის თანადროულობას შორის არსებობს. ეს განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: თავისუფალ ქვეყანაში დედამიწა ამბობს იმ მომაჯადოებელ სიმღერას, რომელსაც ძველად ორფეოსი და სირინოზები მღეროდნენ. ეს სიმღერა შრომის, ძმობის, ხალხთა მეგობრობის და მშვიდობიანი თანამშრომლობის სიმღერაა. ახლა ზღაპრული ოქრო უბრძოლველად ხედა წილად, „ვინც გრძნობს ახალი ცხოვრების სიბოძს“, ვინც ფეხი აუწყო წინსვლას და პროგრესს, ვინც მონაწილეობს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებელი ადამიანი დღეს იგივე ორფეოსია, სირინოზების ტკბილი ხმებით სავსეა ირველივ არემარე. ეს არის ლექსის შინაარსი, ლექსის იდეა.

ოცდაათიანი წლების მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთი მთავარი იყო ზნის არჩევის პრობლემა: ძიება, ახლის, სოციალისტურის დასამკვიდრებელი საშუალებების, მეთოდების, ზერხებისა, ერთი სიტყვით, ახალი გამარჯვების გზების მიგნება და მათი ვარგისიანობის დამტკიცება-დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კარლო კალაძის პოემა „უჩარდიონი“, რომელიც დაიწერა 1932 წელს. პოემა ცხრა კარისაგან შედგება და წამძღვარებული აქვს შემდეგი: „ოცდაათიანი წლების ქართული ქრონიკები“. მართლაც რომ დროსთან დაკავშირებულ, მიმდინარე ცხოვრების ამსახველ ამ პოემაში ვეცნობით საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებას, გამწვავებულ ბრძოლას ახალსა და ძველს შორის და მისწრაფებას ახლის გამარჯვებისათვის.

მართალია, ოცდაათიანი წლების ლიტერატურა გამსჭვალულია პუბლიცისტური პათოსით და კ. კალაძის პოემითაც შეიძლება ეს დადასტურდეს, მაგრამ პოეტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის ცდილობს მოტივირება გაუკეთოს ხალხის აღფრთოვანებას და კოლექტივისადმი მხარდაჭერას. პოემაში შეუწელებლად პულისირებს მწვავე, მაძიებელი აზრი.

პოემაში კარგად არის გამოკვეთილი სოფლისა და ქალაქის კავშირი, საბჭოეთის ერთიანობა, საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების ურთიერთდახლოება, ძიების გზაზე პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაფრისათვის, რაც ახალთან იყო დაკავშირებული. პოეტი ამჩნევს და გვიჩვენებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცალ-



კეული ადამიანების, ხელმძღვანელების საზოგადოებასთან ერთიანობას, მასობრივ გრძნობას შრომისადმი, საკუთარი მოვალეობისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შეგნებას.

პოემაში გამოკვეთილია გმირის თვისობრივი სახეცვლილების საკითხი, გმირების წრის გაფართოება.

პოემის გმირი არის კომკავშირელი გულდა. გულდას მხატვრულ სახეში კ. კალაძემ წარმოაჩინა რთული ბედის მქონე ძლიერი ხასიათის ახალგაზრდა, რომლის ხასიათში არეკლილია წარსულის წინააღმდეგობა.

„უჩარდიონში“ არის ცდა ეპიკურისა და ლირიკულის შერწყმისა. მასში მეღანდება ინტერესი ადამიანისადმი, ადამიანურისა და ინტიმურისადმი, საზოგადოებრივისა და პირიქითის შერწყმისადმი, მაგრამ ეს ინტერესი სუსტია, არ სცილდება ძველის ახალთან ბრძოლის ფარგლებს, ძველი გამოკვეთილად სრულყოფილია. ახალი გამძაფრებული სოციალური მასშტაბურობით ისახება.


„უჩარდიონი“ არის ცდა აისახოს ეპოქის სამსახურში მყოფთა კოლექტიური პორტრეტი. ასეთი მიდრეკილება ოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელია. პოემაში ვეცნობთ კოლექტიურ პორტრეტს ხალხისა, რომელმაც საკუთარი თავისა და ცხოვრების გარდაქმნა გადაწყვიტა. ამის მიხედვით პოემის მთავარ მოქმედ პირებად გვესახება შრომის და ბრძოლის პროცესით ორგანიზებული სოფლის ღარიბი გლეხკაცობა, რომლის გამორჩეული შვილები არიან გულდა, ჯაბა და სხვები. გულდა მტრის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მას სჯერა, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაღუპულ ადამიანს არასოდეს არ დაჰკარგავს ხალხი. გულდას სწამს საბჭოთა მორალის სიწმინდე. პოეტი გულდას სიტყვებით გადმოგვცემს თავის თანადგომას ყველაფერი ახლისა და პროგრესულისადმი.

როდესაც ლადო ასათიანის შემოქმედებაზე ვიწყებთ საუბარს, უპირველესად მისი დიდი პოპულარობა უნდა აღვნიშნოთ.

რით მოიპოვა პოეტმა ასეთი პოპულარობა? — ლადოს ლექსი ქართველი ხალხის სულის ანარეკლია, გულწრფელია და ნათელი.

ლექსი „კრწანისის ყაყაჩო“ ისტორიულ თემას ეძღვნება. კრწანისის ტრაგედია ამ ლექსში თვისობრივად ახალი ფაზაში წარმოგვიდგა. საოცარი ინტიმი იგრძნობა ლექსში წარსულისადმი საერთოდ და, კერძოდ, გმირებისადმი, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაიღუპნენ. მშვენივრად წერს კრიტიკოსი გურამ ასათიანი: „საერთოდ კარგად ცნობილია გახსენების როლი და მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. წარსული მოვლენების გახსენება იძლევა სწორი განსჯის საშუალებას, ხელს უწყობს გამოცდილების გამდიდრებას, აქტიურებს ცნობიერებას, იძლევა სტიმულს ახალ-ახალი ქმედებისათვის. ლადო გვახსენებს წარსულს, წერს ისტორიულ ბრძოლაზე არა იმიტომ, რომ ეს მომგებიანია, არამედ ამ თემის იქით, კრწანისის ბრძოლის ისტორიული თარიღის მიღმა გვაგრძნობინებს დიდ ქართველებს, გვახედებს ერის ტრაგიკული მოვლენების არსში. ყველაფერ ამას ლადო ასათიანმა მოუწია ისეთი განუმეორებელი ხატი, როგორიცაა „ყაყაჩოს ცეცხლი“. ლადო ასათიანს ეკუთვნის რამდენიმე პოეტური სახე, რომელიც მუდამ ელვარებს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში... ყაყაჩოს შუქი პოეტისათვის ჩვენს მიწა-წყალზე დაღვრილი მადლის, კდემამოსილების, და ამასთან ერთად, რაინდული გზების სიმბოლოც იყო... მას სწამდა ამ დიდი სინათლის უკვდავებისა და სჯეროდა, რომლის შემდგომ მრავალ მომმეთაც „სიკეთედ დაგებდბოდათ“ დედაბუნების ალერსიანი ღიმილი“.

როგორც ვხედავთ, „ყაყაჩოს ცეცხლი“ ლადო ასათიანის ლექსში გააზრებულია არა მარტოდენ გმირების დაღვრილ სისხლად, არამედ ის არის ჩვენი ქვეყნის სილა-



გაზის, ქართველი ხალხის კდემამოსილები და რაინდული შემართების სიმბოლო-ხატი და ყველაფერი ამის წინაშე მუხლს იყრის პოეტი. მკითხველსაც განაწყობს, ალაფროთ-ენებს, რადგანაც თუ არა წინაპართა უზადო მამულიშვილობა, საქართველო ვერც გადურჩებოდა კალიბებივთ შემოსეულ მტრებს. ლექსი „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ საქართველოს ისტორიის პოეტური ინტერპრეტაციაა. 1939 წელს, როცა ეს ლექსი დაიწერა, ჰაერი დატენილი იყო მტრის ტყვიის ღენით. 22 წლის ლაღო ასათიანი თავის მოქალაქეობრივ იდეალს სამშობლოს ბედნიერების, მისი თავისუფლების დაცვაში ხედვას და გვახსენებს გმირ ქალებს, რომელთა საბრძოლო აქტიუობა არაფრით ჩამოუვარდებოდა ვაჟკაცებისას. ამით ხაზგასმულია ხალხის ბრძოლის მასიურობა, რომ მტრების წინააღმდეგ იბრძოდა ყველა — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. ერთსულოვნებაში, მშრომელი ხალხის ალაღმა პატრიოტულმა შემართებაში იხსნა სამშობლო და ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ მივბაძოთ მათ, ვიყოთ ღრთა სიღრმეში დატრიალებული ტრაგედიის მონაწილე, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავითავისოთ წარსული როგორც ცოცხალი სინამდვილე.

ქართველი ხალხის ერთსულოვანი ბრძოლის სურათი ლექსში ასეა დახატული:

**ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჭარები  
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,  
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები  
და მტერს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები!**

ძველი გმირები ცოცხლდებიან პოეტის წარმოსახვაში, სულს იდგამენ, წარსული აწყობში აგრძელებს არსებობას. ლაღო ასათიანმა ხალხური პოეზიიდან მხატვრულ ლიტერატურაში გადმოასახლა მათი წყნეთელი და თამარ ვაშლოვანელი, გვაგრძნობინა ეროვნული სულის ძალა და მარადიულობა.

მირზა გელოვანის პოემა „შავნაბადა“ (დაწერილია 1938 წელს) რევოლუციური ბრძოლის თემას ეხება, კერძოდ, მასში პირველად დაიხატა მეზრძოლი კომკავშირელის ბორის ძნელადის მხატვრული სახე, კომკავშირელი ბორისი პოემის მიხედვით აგრძელებს რევოლუციურ აზრებს, ატარებს კონსპირაციულ კრებებს.

მირზა გელოვანი არ გაჰყვა ძველ გზას, არ გვიჩვენა მთავარი გმირის გაშლილი საბრძოლო საქმიანობა. პოემის სიუჟეტი ვითარდება მოულოდნელი პლანით. კრებას ფარულად ყურს უდებებს გოგონა, რომელიც მოიხიბლა ახალგაზრდების საუბრის შინაარსით და შეუყვარდა კიდეც რევოლუციონერთა შეკრების მეთაური.

მეორე დილით კრების უნებლიე მოწმე გოგო დააბატირებს და ციხეში მოიყვანეს.

რა მძლავრი ზნეობრივი ძალის მატარებელი ჩანს გოგო, რომელმაც დაფარა, არ გაამხილა კრების მონაწილენი, რომლებსაც პირადად არც იცნობდა. მან ხომ მხოლოდ ერთის სახელი გაიგონა, მან ხომ მხოლოდ ბორისი იცის, მაგრამ არ გასცა, არც გაიმეორა ყურმოკრული სახელი. ამით პოემაში ხაზგასმულია მოქალაქეობრივი მოვალეობის მტკიცე შეგნება და რაც მთავარია, აღამიანთა მოვალეობა განსაზღვრულია არა მარტო კონკრეტული ვითარებით, არამედ საერთო ზოგადი პლანით. ეს არის პოეტის უშუალო პასუხი ცხოვრების მიერ წამოჭრილ ერთ-ერთ ურთულეს საკითხზე — როგორი უნდა იყოს მოქალაქე. მოქალაქეობა, მირზა გელოვანის მიხედვით, არის ამაღლება პირადულზე, სულიერ ფასეულობათა შენარჩუნება, კეთილშობილი, გულწრფელი, პატიოსანი მოქმედება. გოგო, რომელიც სიკვდილით დასაჯეს რევოლუციის მტრებმა, განმარტოებული ჩანს. მის გმირულ თავდადებას არც მოწმე ჰყავს და არც მნახველი; მის ზნეობას ერთი მოკავშირე ჰყავს, ეს არის



რწმენა. რწმენა სულიერი სრულყოფისაკენ სწავლის ერთადერთი საშუალებაა. პათე-  
ტიკურად ჟღერს პოემის ბოლო სტრიქონები, თავისუფლების მოპოვებისას მკაცრ-  
რძოლნი სავსებით იმსახურებენ ქება-დიდებას და მირზა გელოვანს ცალკეულად მათ.

მათი ხსოვნის ნიშნად შევსვათ,  
მათ გაკვალეს გზა საძნელო.  
ძმებო, ასწით აზარფეშა,  
იყოს გმირთა სადღეგრძელო.

მირზა გელოვანი იმასაც გვიჩვენებს, რომ გმირების პატივისმცემელია ხალხი, საშობლო ინახავს გმირთა სახელებს, ხალხს უყვარს და ყოველთვის ეყვარება ის, ვინც ღირსებით გამოირჩეულია. წარსული ცოცხლობს აწმყოში, უკვდავება არის ხვედრი გმირ მამულიშვილთა.

ბოლოს იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ „შაენაბადა“ მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

როგორც ვხედავთ, ოცდაათიანი წლების ქართველი პოეტები ერთობლივი მი-  
ზანდასახულობით იღვწოდნენ და ქმნიდნენ დროის შესატყვის მხატვრულ პროდუქ-  
ციას, ასახავდნენ სოციალისტურ მშენებლობას ქალაქად თუ სოფლად.





# გარიასიანი საფეხბურთო თამაზი



## სამოგავლო დიალოგი „გურიის“ სტადიონის წიგნ

- ილიკო, იმ უცხო კაცს რა გამოართვი გუშამ?
- ავტოგრაფი!
- რაცა, ჩვენებურს არ ჰგავდა, ვერ ვიცანი...
- მიჰგარა თავი ხომ სირცხვილით?.. დიეგო იყო, ცა, მარადონა!
- შარშან რომ ჩამოართვი მაი ავტოგრაფი, იი ვინ იყო?
- ჩვენი კაცი, ოლეგეი ბლოხინი.
- გუშინ რომ სტუმრები გყავდა ოჯახში, აღესა რომ ასვი და კრიმან-ჭული რომ ამღერე, იგენი ხომ იყვნენ გურულები?
- ქლათ არა, მარა არც ბევრი აკლიათ... ბასკები იყვნენ ესპანეიდან.
- ამ დილას რომ ჭიშკარზე მოგადგენ ვინცა-ვინცები, რაიო, ხაშის ჭაბა ხომ არ გვინდა?
- არა, ლანჩხუთის სტადიონისკენ მიმავალ გზას კითხულობდნენ, „ლიეპრპულის“ ფეხბურთელები ვართო.
- რაფერ ეტყობათ, პირველად რომ არიან ლანჩხუთში და გზაი რომ დაეხნათ, აეროდრომიდან მეტროთი უნდა წამოსულიყვნენ და ზედ „გურიის“ სტადიონს მიაღვებოდნენ...

## ბაღა პრეზიუმისა

მამა რომ ძალზე მოხუცდა, შვილებს სთხოვა, მოდიო, დღეს სტადიონზე ერთად წავიდეთო.

წავიდნენ, დასავლეთ ტრიბუნის ცენტრალურ სექციაში დასხდნენ... პოლანზე ფეხბურთელები ბურთს კი დასდევდნენ, მაგრამ სტადიონზე მაინც სამარისებური სიჩუმე იდგა. მამამ უფროს ვაჟს უბრძანა, ხმა ამოიღო, ჩვენს გუნდს უქმობაო.



— „დინამო!“.. „დინამო!“ — დაიწყო უფროსმა, მაგრამ არავინ აჰყვა. არც შუათანასა და უმცროსის შეძახილს არ გამოეყომა. არავინ მაშინ მოხუცმა ურჩია შეილებს, ყველამ ერთად დავიძახოთ.

— „დინამო!“.. „დინამო!“ — ისე ომახიანად დაიძახეს, ძამამ და შეილებმა, რომ მთელი სტადიონი აგუგუნდა, და გამხნეებულმა ფეხბურთელებმა გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

— ხომ ხედავთო, ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა ბერიკაცმა, — სანამ ერთად ვიქნებით და ერთად ვუქმავებთ, ჩვენს გუნდს ვერც მოწინააღმდეგე დაამარცხებს და ვერც მსაჯიო...

## რეჟაზ სანადირაძე

### ნუ უმეგობრებ...

ნუ უმეგობრებ ღვინოსა,  
მოიმკი შფოთს და ძრწოლასა,  
დაგავიწყდება ოჯახი,  
ისწავლი ლაფში წოლასა,

ბახუსი ენას წაგართმევს,  
გადაგავიწყებს სათქმელსა,  
სხვის გაკეთებულს წაახდენ,  
თავს ვერ მოაბამ საქმესა.

უსმინე, ქვეყნად სიკეთეს  
ვინც გირჩევს, შთაგავონებსა,  
თორემ გეტყვიან: კუზიანს  
სამარე გაასწორებსა!..

### მისიილ მოდებაძე





## რუსული პოეზიის პენია

150 წელი გავიდა რუსული პოეზიის გენიის ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალებიდან. 1987 წელი გამოცხადებულია პუშკინის წელიწადად.

გენიალური რუსი პოეტის ხსოვნას აღნიშნავენ აჭარის მშრომელებიც. ავტონომიური რესპუბლიკის შემოქმედებით ორგანიზაციებში, საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა პოეტის ხსოვნის საღამოები.

ა. პუშკინის ხსოვნის საღამო გაიმართა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის კლუბში. იგი გახსნა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფ. ხაღვაშმა.

სიტყვით გამოვიდნენ და პუშკინის ლექსების საკუთარი თარგმანები, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს შ. ქურიძემ, გ. სალუქვაძემ, მ. ვარშანიძემ, რ. სურმანიძემ, ჯ. ჭაყელმა, ვ. ახვლედიანმა, დ. გიგინეიშვილმა, ჯ. ქათამიძემ, ც. ანათემ, ი. მელიამ, ვ. ღლონტმა.

ა. პუშკინის ლექსი წაიკითხა მოსწავლე თეონა თედორაძემ.

## ბათუმის თეატრის პრემიერა

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მალაქაშვილის მორიგ პრემიერად უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგის შ. შამანაძის პიესა „მხოლოდ ერთხელ — ისიც ძილში“, რომელიც დადა რეჟისორმა მ. ლებანიძემ, მხატვრულად გააფორმა ვ. ბესელიამ, მუსიკალურად — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. შამილაძემ.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ სა-

ქართველოს დამსახურებული არტისტი ც. აბზიანიძე, აჭარის დამსახურებული არტისტი ლ. ჭიბლაძე, მსახიობები თ. მეიშვილი, ლ. ჩახნაშვილი.

## ლალო ასათიანს მიემძვან

აჭარის პროფკავშირების კავშირთაშორისო კულტურის სახლის ბიბლიოთეკის საბჭომ ლიტერატურულ გაერთიანებასთან ერთად მოაწყო ცნობილი ქართველი პოეტის ლალო ასათიანის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თემაზე „ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა“.

ლალო ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის მომსახურეობის განყოფილების გამგემ ნ. ქეონამ.

მოგონებებით გამოვიდნენ პოეტის სტუდენტობის მეგობრები კრიტიკოსი შ. ქურიძე და ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი ნ. დუმბაძე.

ბიბლიოთეკის მკითხველებმა და ლიტერატურული გაერთიანების წევრებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი.

სიტყვებით გამოვიდნენ ურნალისტი მ. კობლაძე, ბიბლიოთეკარი დ. ფალავანდოშვილი, № 22 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ქ. გიორგაძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის ლაბორანტი ბ. ქებურია, ხოლო საკუთარი ლექსები წაიკითხეს მ. ცეცხლაძემ და ნ. გიორგაძემ.

პროფკავშირის კულტურის სახლის ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა შეასრულა ლალო ასათიანის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.



კინოთეატრ „კომკავშირელში“ მოეწყო ახალი ქართული მხატვრული ფილმის „ნეილონის ნაძვის ხის“ პრემიერა.

ფილმის ჩვენების წინ მაყურებელი შეხვდა მასში მონაწილე ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებს — რესპუბლიკის სახალხო არტისტს მ. შერვაშიძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ნ. კეჭეყმაძესა და აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს ბ. ინჭიკრელის.

მსახიობებმა ისაუბრეს სურათის შექმნის შესახებ, გაიხსენეს ცალკეული ეპიზოდები.

შემდეგ გაიმართა ფილმის პრემიერა.

### ღვთაყვანილის ღაფხასება

ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის მარია შურის დაბადების 60 და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა სასწავლებლის დირექტორმა ი. ბარდანაშვილმა.

პირველი განყოფილება დაეთმო პედაგოგის მოსწავლეთა გამოსვლებს.

მეორე განყოფილებაში მ. შურის მიესალმა და მის შემოქმედებით გზაზე ისაუბრა საფორტეპიანო განყოფილების მეთოდოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ბაუშაძემ, მხატვრული აკომპანიმენტის მეთოდოლოგიური კომისიის სახელით გამოვიდნენ პედაგოგები ლ. ქელიძე და თ. შარტავა.

მისახალმებელი სიტყვით გამოვიდნენ № 1, 2, 4 სამუსიკო სკოლების დირექტორები ზ. გოგოტიშვილი, ნ. ოგანეზოვა, ს. გიორგაძე, სასწავლებლის პედაგოგები მ. მახარაძე, დ. ჭვარციშვილი, ე. ქიქავა, გ. საღარაძე, მ. ფანტალისი.

მ. შურის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ადრესი და საპატიო სიგელი გადასცა მეთოდისტი-ინსპექტორი

მა თ. ქარუმიძემ, სიტყვით გამოვიდა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ბ. მახარაძე.

დასასრულ მ. შურმა გულმოდგინედ აღმოაჩინა მისი ღვაწლის ესოდენი დაფასებისათვის.

### შენგებულმა მკითხველმა

ალამბრელმა მშრომელმა თავიანთ კულტურის სახლში შეხვედრა მოუწევს აჭარის მწერლებს.

ლიტერატურული საღამო გახსნა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ტაყიძემ.

ქ. მუავამ, ჯ. ქათამაძემ, რ. სურმა-ნიძემ, ნ. მოდებაძემ, შ. რომანაძემ წაიკითხეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები, ილაპარაკეს მომავალ გეგმებზე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. კომახიძემ მადლობა გადაუხადა მწერლებს საინტერესო შეხვედრისათვის.

\* \* \*

აჭარის პროფკავშირის კულტურის საოლქო სახლის ლიტერატურულმა გაერთიანებამ საქწიგნის № 5 მაღაზიის თანამშრომლებთან ერთად შეხვედრა მოუწყო პოეტ ჯ. ქათამაძეს. განიხილეს პოეტის ლექსების კრებული „ტირის ქარში“.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მაღაზიის გამგე ზ. ნაკაშიძემ.

კრებულის შესახებ ილაპარაკა ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. რუსეიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ „საქწიგნის“ აჭარის განყოფილების მმართველი ა. ბოლქვაძე, № 1 მაღაზიის გამგე ა. ბარაბაძე, ბიბლიოლექტორი ზ. ნიკურაძე, საქონელმცოდნე ვ. თავართქილაძე და სხვები.

პოეტის ლექსები წაიკითხეს ე. დოლიძემ და ბათუმის № 2 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლემ ნ. არ-

ოშიდემ. საკუთარი ღეჭები წაიკითხა  
ლიტერატურული გაერთიანების წევრმა  
ნ. გიორგაძემ.

ჯ. ქათამაძემ მადლობა გადაიხადა სა-  
ინტერესო შეხვედრისათვის, ისაუბრა  
თავის შემოქმედებით გეგმებზე.

\* \* \*

მასინჯაურის ისრაფილ ჭინჭარაძის  
სახელობის საშუალო სკოლის ლიტერა-  
ტურული წრის წევრებმა განიხილეს ჯ.  
ჩაყელის ახალი მოთხრობების წიგნი  
„ღმართი მარადიული მშვენიერებისა“.

წიგნის შესახებ ილაპარაკეს სკოლის  
დირექტორმა ს. ჩაყელმა და ლიტერა-  
ტურული წრის ხელმძღვანელმა პედა-  
გოგმა გ. ჭინჭარაძემ, აგრეთვე მოსწავ-  
ლეებმა ა. ახვლედიანმა, ზ. ჩაყელმა,  
თ. დიასამიძემ, ე. ბაგრატიონმა, დ. ბე-  
რიძემ, მ. გორგილაძემ, პოეტმა ჯ. ქა-  
თამაძემ.

ჯ. ჩაყელმა მადლობა გადაუხადა ლი-  
ტერატურული წრის ხელმძღვანელებს  
და უპასუხა შეკითხვებს.

\* \* \*

ქობულეთის რაიონის შინაგან საქმე-  
თა განყოფილების მუშაკებმა შეხვედრა  
მოუწყვეს აჭარის მწერლებს.

შეხვედრა გახსნა რაიონის შინაგან  
საქმეთა განყოფილების უფროსმა ი. ჯო-  
რთმენაძემ.

მწერლებმა ჯ. ქათამაძემ, შ. ზოიძემ,  
ნ. მოდებაძემ, რ. სურმანიძემ, შ. რო-  
მანაძემ ისაუბრეს თავიანთ შემოქმედე-  
ბით გეგმებზე, წაიკითხეს ახალი ნაწარ-  
მოებები, უპასუხეს შეკითხვებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ  
სისხლის სამართლის სამძებრო განყოფი-  
ლების ინსპექტორი ნ. ქეზულაძე, გა-  
მომხიებელი რ. ნოდრიდელი, სისხლის  
სამართლის სამძებრო განყოფილების  
უფროსი გ. კონცელიძე.

„საბჭოთა აპარამ“ გამოსცა

მკითხველმა მიიღო 40-ათასიანი ტირაჟის  
რუსთა დასტამბული წიგნი „ძველი თბილისის  
ლიტერატურული ბოჰემა“. მისი  
ავტორი — გამოჩენილი ქართველი პო-  
ეტი იოსებ გრიშაშვილი წლების მანძი-  
ლზე აგროვებდა თბილისისა და თბილი-  
სელების ყოფის დამახასიათებელ ნიმუ-  
შებს.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ:  
„ვისაც სურს გაიცნოს ძველი თბილისის  
გმირები, უარაჩოხელი თუ თვალთმაქცი  
კინტო, იხილოს ყეენობისა თუ კრივის  
განუშეიერებელი ხალხური სცენები, ნა-  
ხოს ამჟართა ღამაში სელოვნობა და  
გაიგოს აშულთა სევდიანი სიმღერების  
მიწეგები, უნდა წაიკითხოს იოსებ გრი-  
შაშვილის „ძველი თბილისის ლიტერა-  
ტურული ბოჰემა“.

\* \* \*

„ფრთები“ — ასე ჰქვია შოთა როყვას  
რომანს, რომლის ფრაგმენტები შარშან  
„ქორხის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა  
და რომელიც ასლანს ცალკე წიგნად და-  
ისტამბა.

როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ,  
რომანის პირველი წიგნი ამ სუთიოდე  
წლის წინათ გამოვიდა, ამჟერად კი პირ-  
ველ და მეორე წიგნს ერთად გავცნობა  
მკითხველი.

„ფრთები“ დღევანდელი სოფლის  
ცხოვრებას ასახავს. რომანში ნაჩვენე-  
ბი არიან აღმსიანები, რომლებიც ქვეყ-  
ნის სვლინდელ დღეზე ფიქრობენ და  
ებრძვიან ყოველგვარ დროშოჭმულს,  
რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე,  
მხატვარი — თ. დიასამიძე.

\* \* \*

გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატის ოთარ თურმანიძის ნაშრო-  
მი „აჭარის სოციალურ-პოლიტიკური



განვითარება ომისშემდგომ პერიოდში“  
(1946-1965 წ.წ.).

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ:  
„ნაშრომში მარქსისტულ-ლენინურ მე-  
თოდოლოგიაზე, კომუნისტური პარტიის  
და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვე-  
ტილებებზე დაურდნობით, მდიდარი სა-  
არქივო და სხვა მასალების გამოყენე-  
ბით გაშუქებულია აჭარის ასსრ სოცია-  
ლურ-პოლიტიკური განვითარება ომის-  
შემდგომ წლებში. ნაშრომში დახასია-  
თებულია ავტონომიური რესპუბლიკის  
პოლიტიკური სისტემა, მოსახლეობის  
სოციალურ-კლასობრივი შემადგენლო-  
ბა, მშრომელთა მატერიალური და სა-  
ყოფაცხოვრებო პირობები, მასების  
ინიციატივა და შემოქმედება. წიგნი ის-  
ტორიული შემეცნებით და იდეურ-აღმ-  
ზრდელობით დახმარებას გაუწევს ამ

საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.“  
ნაშრომის რედაქტორია დოცენტი მ.  
ჩავლეიშვილი, რეცენზენტები  
დოცენტები ლ. კალანდარიშვილი და რ.  
ზოსიძე.

\* \* \*

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გა-  
მოსცა აჭარის მასწავლებელთა დახელო-  
ვნების ინსტიტუტის სასწავლო-მეთო-  
დიკური კაბინეტის გამგის აკაკი ზოიძის  
წიგნი „საბჭოთა სახელმწიფოს სიმბო-  
ლოები“. რეცენზენტები არიან დოცენ-  
ტები ა. გობრონიძე, ე. ცივაძე, გ. ზუნ-  
წარია, პედაგოგიკის მეცნიერებათა კან-  
დიდატი თ. დარჩია და მეთოდისტი მას-  
წავლებელი გ. დოლიძე.



გარეკანის 1-ლ გვერდზე — ლესია უკრაინკას ძეგლი ბათუმის ზღვის-  
პირა პარკში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

6139/89



წაკ 40 კკკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118